ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2018 წელი, 14 ოქტომბერი, №18-19-20 (6481)

# ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან
ფასი 1 ლარი

## დღეს ყვარელში გაიმართება ილია ჭავჭავაძის 181 წლისთავის აღსანიშნავი ილიაობა



### 8 ნოემბერი ილია ჭავჭავაძის დაბადების დღეა



### მთავარია, მეორედ მოსვლის წინ როგორები ვიქნებით

2 გვ.



### ყველაფერი კარგი და ახალი ბაგა-ბაღების აღსაზრდელ-თათვის

6 გვ.



### ახლა უკვე, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თეატრი აღდგა, განახლდა და არსებობს

11 გვ.



### ყვარელი – ილიას აკვანი

5 გვ.



### სწავლების ხარისხის ამაღლება მოხდება მხოლოდ მაშინ, როცა ვისწავლით წარსულ ნერგზე ახლის დამყნობას

12 გვ.



### ილიას მარანი გმასპინძლობთ

10 გვ.



### „ჰა, კალამი და ჰა, მოედანი!“ კეთილი იყოს მათი პირველი ნაბიჯები – გაზეთის სამყაროში

19 გვ.

# მთავარია, მეორედ მოსვლის წინ როგორები ვიქნებით

*ნეკრესისა და ჰერეთის ეპარქიას 1997 წლის ნოემბრიდან მიტროპოლიტი სერგი (ჩეკურიშვილი)წინამძღვრობს. ამ უზარმაზარ სამწყსოში არც ერთი მონასტერი არ იყო, სასულიერო პირებიც თითზე ჩამოსათვლელნი იყვნენ. „ეპისკოპოსის ჯვარს ვერავინ გაიგებს, გარდა თავად ეპისკოპოსისა. ეს ჯვარი მძიმეა, მაგრამ სასიამოვნოც, ვინაიდან ბევრ ადამიანთან გიწევს ურთიერთობა, – ამბობს მეუფე სერგი, – როცა ეპისკოპოსი ხდება ადამიანი, საკუთარ თავთან მარტო რჩება. ერთხელ მეუფე იობთან ერთად ვიყავი. უწმინდესთან საუბრისას თქვა: მე ძაღლიც კი არ მყავს ერთგულიო. მაშინ, ასაკით უმცროსებს, ძალიან გაგვიკვირდა მისი ნათქვამი, ხოლო როცა ეპისკოპოსად მაკურთხა, ეს სიტყვები გამახსენდა... ეპისკოპოსი ხშირად სულ მარტო რჩება, ეს კი საკმაოდ ძნელია“...*

**– მეუფე სერგი, როგორ მიიღო ოჯახმა თქვენი ბერობის გადაწყვეტილება?**



– ცოტა სხვანაირი ბავშვი ვიყავი. მშობლებს რჩევას ნაკლებად ვეკითხებოდი. მამა მძღოლი იყო, დედა – პედაგოგი გახლდათ. დედაჩემი ოთხი-ხუთი წლით ადრე მიხვდა, რომ ბერი გავხდებოდი. წუწუნებდა – ეს ცოლის მომყვანი არ არისო. ბერად შედგომა იმ დროს მომიწია, როცა სარწმუნოებას ბევრი სირთულე ელობებოდა. მადლობა ღმერთს, დავძლიეთ და ჩემი მშობლები, ორივე მორწმუნე, მაზიარებლები აღესრულნენ. დედა ბოლოს სკვნილით დადიოდა.



მამაჩემის ბიძა ბერი იყო. კომუნისტებმა მისი მონასტერი დახურეს და ლადო პაპა (ასე ვეძახდით) გამოაგდეს. მამას არ უნდოდა, მე და ჩემი ძმა მის გზას დავდგომოდით და მკაცრად გვექცეოდა. ჩემი ძმა მხატვარია და წვერმოშვებული დადიოდა. ამაზე მშობლები სულ ეჩხუბებოდნენ. მერე მე თმამოშვებული რომ დამინახეს, კინაღამ გაგიჟდნენ.

**– ვიდრე ეპარქიაზე ვისაუბრებდეთ, გვიამბეთ ცოტა თქვენს შესახებ. რა გზა გაიარეთ ეპისკოპოსობამდე?**

– დავიბადე რუსთავში 1953 წლის 13 აპრილს. იქვე დავამთავრე სკოლა. შემდეგ ჯარში წამიყვანეს. მეათე კლასიდან ვთამაშობდი ახალგაზრდულ საფეხბურთო გუნდში. ჯარში ყოფნის დროსაც გავაგრძელე თამაში. მერე ხარკოვის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩავირიცხე და ხარკოვის მეორე ლიგის გუნდშიც ვთამაშობდი. „მაიაკი“ ერქვა ჩვენს გუნდს. შემდეგ ყველაფერს დავანებე თავი და ხარკოვის საკათედრო ტაძარში დავიწყე სიარული. მალე წავედი ქალაქ ზაგორსკში სასულიერო სემინარიაში ჩასაბარებლად. არ მიმიღეს. მითხრეს, თუ აქ, ერთ-ერთ საწყობში, მუშად დადგები, მიგიღებთო. ზუსტად ათი თვე ვიმუშავე მტვირთავად და ჩავაბარე სასულიერო სემინარიაში. ეს იყო 1985 წელი. სემინარია მონასტრის ტერიტორიაზეა. აქ ყველაფერი – ლოცვაც და სწავლაც – სულიერებასთან იყო შეზავებული. პედაგოგები ბერ-მონაზვნები იყვნენ. სწავლის მაღალი დონე იყო. მეოთხე კურსზე ვიყავი, როცა საქართველოში ჩამოვედი და ლოცვა-კურთხევისთვის პატრიარქთან მივედი. უწმინდესმა მითხრა, – იქნებ ჩამოხვიდე, ძალიან კარგ ადგილას უნდა გაგიშვაო. მართლაც, 1988 წელს საფარაში ჩამოვედი. სამ-ოთხ წელიწადში სამცხე-ჯავახეთის ეპისკოპოსად მაკურთხეს. შემდეგ გაიყო ჩვენი ეპარქია: ახალციხე, ასპინძა და ადიგენი ვარძიასთან ერთად მე დამიტოვეს, ხოლო ახალქალაქისა და ბორჯომის მწყემსმთავრად მეუფე სერაფიმე დანიშნეს. 1997 წელს პატრიარქმა გადმომიყვანა ლაგოდეხში, ნეკრესის ეპარქიაში.

**– საფარის მონასტერში თქვენი წინამძღვრობის დროს სასულიერო სემინარია დაარსდა. რას გვეტყვით ამაზე?**

– მეუფე ანანიას უწმინდესმა აჩუქა გარკვეული თანხა და ერთად მოვიფიქრეთ საფარის მონასტერთან სასულიერო სემინარია დაგვეარსებინა. ეს იყო 90-იანი წლები. მე მგონია, რომ საუკეთესო სასულიერო სასწავლებელი იყო. პირველ წელიწადს თერთმეტმა ყმაწვილმა ჩააბარა. მათგან დღეს ექვსი ბერია, ორი ეპისკოპოსი გახდა – მეუფე თეოდორე და მეუფე საბა. ღმერთმა ქნას, ბოლომდე ასე კარგები დარჩნენ. მთავარია, მეორედ მოსვლის ჟამს როგორები ვიქნებით.



**– საფარის მონასტერში საკუთარი გაზეთი გქონდათ. თუ აგრძელებთ ისევ საგამომცემლო საქმიანობას?**

– დიახ, გამოვცემდით გაზეთს „საფარა“, რომელიც მთელ საქართველოში ვრცელდებოდა. შემდეგ ნეკრესის ეპარქიის გაზეთი დავაარსეთ. მასში ბერების სტატიები იბეჭდებოდა. სამწუხაროდ, სულ ერთი წელიწადი იარსება. გარდა ამისა, გამოვეცით სასულიერო ლიტერატურა: „ჩვენთან არს ღმერთი“, ლოცვანები, ვთარგმნეთ თეოფანე დაყუდებულის შრომები. მატერიალური უზრუნველყოფა რომ გვქონდეს, უფრო მეტს გამოვცემდით.

**– რა შეიძინეთ ზაგორსკის სასულიერო სემინარიაში?**

– ზაგორსკში ძალიან ძლიერი სკოლაა. შევეცადე, იქაური გამოცდილება საქართველოში გადმომეტანა. რამდენად შევძელი ეს, მრევლმა უნდა თქვას.

**– ვინ არის თქვენი სულიერი მოძღვარი?**

– ჩემი მოძღვარია მამა ნაუმი. სერგის ლავრაში მსახურობს. მან აღმკვეცა ბერად ამავე მონასტერში. ბოლო რამდენიმე წელია, ველარ ვახერხებ იქ ჩასვლას და აღარ შევხვედრივარ. აღსარებას მეუფეებთან ვამბობ ხოლმე, თუმცა სულიერ მოძღვრად მამა ნაუმს ვთვლი.

**– როგორია თქვენი, როგორც ეპისკოპოსის, ცხოვრების წესი?**

– ბოლო თვე-ნახევარია, ავადმყოფობის გამო განრიგი შემეცვალა. ადრე ხუთ საათამდე ვდგებოდი. დილის ლოცვების შემდეგ, ცხრა საათიდან ვიწყებ საქმიანობას. 12 საათზე ვიძინებ. ადრე ორჯერ ვიკვებებოდი. რაც დიაბეტი დამემართა, ექიმებმა ოთხჯერადი კვება დამინიშნეს.

**– მეუფე სერგი, ბერად აღკვეცამდე დაოჯახებაზე არ გიფიქრიათ?**

– ხარკოვში სწავლისას მყავდა შეყვარებული, მასაც ვუყვარდი, თუმცა დაოჯახებაში ხელი შეგვეშალა. მე დღესაც ვლოცულობ მისთვის, რომ კარგი ოჯახი ჰქონდეს. შემდეგ 24 წლისამ ბერად შედგომა გადავწყვიტე. 28 წლის როცა გავხდი, ჩემი დაბადების დღეზე, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ბერად აღმკვეცეს სერგის სახელობის ლავრაში. უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევითვე, დამერქვა სერგი.

**– თქვენი ცხოვრების შეცვლა რომ შეგეძლოთ, ისევ ამ გზას აირჩევდით?**

– დაუფიქრებლად.

**– მეუფე სერგი, თქვენს ეპარქიას დავუბრუნდეთ. როგორია სამონასტრო ცხოვრება?**

– ეპარქიაში სამი მამათა და ორი დედათა მონასტერია. მონაზვნები არიან თავად ლაგოდეხში, რეზიდენციაში, და დუბის მონასტერში. დუბის ტაძარი VI საუკუნისაა, ღვთისმშობლის შობის სახელობისა. იქვე ვიყიდეთ სახლი და მონასტერი დავაარსეთ. ამჟამად იქ ცხრა მონაზონი ცხოვრობს. კახში, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, მონასტერი გაიხსნა. ნეკრესის მონასტერში ხუთი ბერია, ოთხი მონაზონი და ორი მოხუცი სქემმონაზონი. გრემში ხუთი სასულიერო პირი გვყავს.

**– მოქმედი ეკლესიებიდან რომელს აღნიშნავთ?**

– ლაგოდეხში არის საკათედრო ტაძარი, აქვეა წმინდა ნიკოლოზისა და სამების ტაძრები. მოქმედია ასევე თელის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია ვარდისუბანში. სოფელ გიორგეთშიც არის ტაძარი, სოფელ ლელიანში წმინდა თეოდორეს საყდარია, ახალსოფელში ორი ეკლესიაა – იოანე ნათლისმცემლისა და ფერისცვალების სახელობისა, სოფელ კართუბანში უკვე მთავრდება ახალი ტაძრის მშენებლობა.



ჰერეთშიც არის ოთხი მოქმედი ეკლესია. სამწუხაროდ, იქ ერთი სასულიერო პირი გვყავს – ბერი. იმედია, პოლიტიკური მდგომარეობა ისე შეიცვლება, რომ მომავალში ნებას დაგვრთავენ ჰერეთში თუნდაც კიდევ ერთი, ოღონდ ცოლოსანი სასულიერო პირი, მღვდელი გავუშვათ, რადგან ბერისთვის ძალიან მძიმეა ნათლობის, ჯვრისწერის ჩატარება. მათთვის საცხოვრებელი პირობებიც არ არის. თავად იქაურებიც მოსაქცევნი არიან. ზოგმა არ იცის, რა არის სასულიერო პირი, როგორ უნდა მოექცეს მას. უფრო მიწათმოქმედი ხალხია და წირვა-ლოცვაზე დასწრება უჭირთ. თუმცა ზოგადად მორწმუნეები არიან და საკმაოდ მტკიცედ იცავენ სარწმუნოებას.

**– იქაურ მუსლიმანურ სალოცავებზე რას გვეტყვით?**

– ლაგოდეხში, სოფელ კაბალაშიც აქვთ მეჩეთი. ჩვენ მათ არ ვეწინააღმდეგებით. აზერბაიჯანელები არ არიან აგრესიულად განწყობილნი, ძირითადად კეთილი დამოკიდებულება გვაქვს ერთმანეთთან.

**– ახლახან ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფელში გაიხსნა ბაპტისტების სალოცავი...**

– ბაპტისტებისთვის იქ სახლი იყიდეს. ჩვენი ვალია, ეს მხარე სარწმუნოებრივად ავაღორძინოთ, უფრო მეტი სასულიერო პირი უნდა ჩამოვიდეს ამ მხარეში, რათა ყველგან იქადაგებოდეს ჩვენი ჭეშმარიტი სარწმუნოება – მართლმადიდებლობა.

**– კიდევ რა პრობლემები გაქვთ ეპარქიაში?**

– ეკონომიკურად გვიჭირს. უდენობა ბევრ საქმეს გვიფუჭებს. ტაძრები სარემონტოა. ახლა ვარემონტებთ ლაგოდეხში ყაზანის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარს. იქ ძალიან კარგი ხალხი ცხოვრობს და ეს მამშვიდებს.

**– რას გვეტყვით საუბრის ბოლოს?**

– ღმერთმა ქნას, რომ მეორედ მოსვლას ღვთის ნებით შევხვდეთ და სასუფეველი დავიმკვიდროთ.

**სტატიის ავტორი**
**თეა ცაგურიშვილი**
**კარიბჭე**



# ილია ჭავჭავაძე და საქართველოს სამეფო



ვისაც კი როდესმე ილია ჭავჭავაძის სოციალ-პოლიტიკურ შეხედულებებზე დაუწერია, ამოსავალ დებულებად ყველასთვის ქცეულა ლელთ ღუნიას სიტყვები: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“. ზოგადად ამით განსაზღვრავდნენ ხოლმე ილია ჭავჭავაძის, როგორც ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მედროშის მრწამსს. უკეთეს შემთხვევაში ილიას ბიოგრაფიიდან მოჰყავდათ ის სამოქმედო პროგრამები, რომელთაც იგი უსახავდა თავის ხალხს მიმდინარე პოლიტიკურ სიტუაციაში.

განსახილველი საკითხისადმი დიდი პასუხისმგებლობა და კონიუნქტურით განპირობებული მოსაზრებები ზღუდავდა მკვლევარებს, უფრო შორსმიმდინარე დასკვნები გაეკეთებინათ: სახელდობრ, თუ როგორ წარმოედგინა ილიას საქართველოს სახელმწიფოებრივი მომავალი იდეალურ ვითარებაში.

მკითხველის სულგრძელობისა და მიმტევებლობის გათვალისწინებით, წერილის ავტორი თავს ნებას აძლევს, შეჰბედოს მას მოკრძალებული ვარაუდი და წარმოუდგინოს ილიას პორტრეტი, როგორც საქართველოს სამეფოს აპოლოგეტისა და მისი აღდგენის მოსურნისა დამოუკიდებელსა და თავისუფალ საქართველოში.

ამ მიზნით თავდაპირველად ილიას შემოქმედებიდან ის ადგილები იქნება მოხმობილი, სადაც იგი ღვთიური წარმოშობის იდეასა და აღმატებითს შეხედულებებს ამკვიდრებს ქართველ მეფეებზე, ხოლო შემდეგ – ცალკეული მაგალითები, რომლებიც ცხადად თუ ფარულად ამხელენ ილიას ოცნებას თავის იდეალზე.

უპირველესად უნდა ითქვას, რომ ილია განსაკუთრებული პატივისცემითა და სიყვარულით წერს ყველა იმ მეფეთა შესახებ, რომლებსაც თავი გამოუჩენიათ ერის წინაშე თავიანთი მოღვაწეობით.

ფარნავაზიდან მოყოლებული („აჩრდილი“) დიდებით მოიხსენიებს საქართველოს ღირსეულ მეფეთა სახელებს: გორგასალს, დავითს, თამარს („აი, ისტორია“). მთელ პოემას წერს დიმიტრი თავდადებულზე. ცალკე წერილებს უძღვნის დავით აღმაშენებელსა და ლუარსაბ წამებულს. შარავანდედით მოსავს თამარის სახელს სრულიად სხვადასხვა ნაწარმოებებში.

მაგრამ იმისათვის, რომ დაამკვიდროს ხალხში მეფის ერისადმი მზრუნველობისა და თავდადების იდეა, ილია ხშირად მიმართავს მათი ღვაწლის ზოგადად წარმოსახვას:

ა). ქართველი მეფეები იბრძვიან საქართველოს სახელის სადიდებლად სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ:

„საქართველოს მეფენი, ჰგრძნობდნენ რა სიდიდეს წმიდათა მამათა მოღვაწეობისას საქართველოს გარეთ, არა ჰზოგავდნენ არა სახსარს, რომ ქონებით ულონობა და ნაკლებულობა არა ჰქონოდათ მონასტრებსა და ეკლესიებს, ქართველებისას. ამიტომაც ყველაზე უფრო შემწირველნი მეფენი იყვნენ. დიდძალი მამულები შეჰსწირეს, დიდძალი ყმები, რომ ამ გზით წყარო ცხოვრებისა შეუწყვეტელი ყოფილიყო ქართველთა მოღვაწეთათვის საქართველოს გარეთ სადიდებლად და გასაძლიერებლად ქრისტეს სარწმუნოებისა“ („ათონის ქართული სავანის შესახებ“, ტ.8, გვ. 306).

ბ). საქართველოს მეფენი იღწვიან საქართველოს კეთილდღეობისათვის შინ:

თუ გავითვალისწინებთ ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებას, რომ ილია ჭავჭავაძეს მიწისმფლობელობის წესი მიაჩნდა „იმ ეკონომიურ საფუძვლად, რომელმაც ქართველ ერს მრავალრიცხოვან მტრებთან ესოდენ ხანგრძლივი ბრძოლის წარმოება შეაძლებინა“, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქართველ მეფეთა მცდელობა ამ წესების განუხრელად დაცვისათვის. ილია თავის დასკვნაში აღნიშნავს: „აქედამ ცხადია, ჩვენი მეფეები რას უნდა გაჰფრთხილებოდნენ. როგორც ეტყობა, უფრთხილდებოდნენ კიდეც“... („ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“ ტ. 4. გვ. 177).

გ). ქართველი მეფეები იხსენიებიან თვით ისეთ შემთხვევებშიც კი, სადაც თითქოს საამისო აუცილებლობა არ არსებობს. ილია ცდილობს მათი ღვაწლის საგანგებოდ წარმოჩენას:

„როდესაც არაბები საქართველოში შემოვიდნენ და მაჰმადიანობის გავრცელებას ცდილობდნენ, ეხლანდელი ოსმალეთის საქართველო ქრისტიანობისათვის ილვწოდა ბაგრატიონების მეთაურობითა და წინამძღოლობით“ („ოსმალოს საქართველო“ ტ.4, გვ.11).

იმისათვის, რომ გამაჰმადიანებული საქართველოს მიწა-წყალი უძველესი ქრისტიანობის აკვნად გამოეცხადებინა, ილიასათვის სრულიად საკმარისი იყო ეთქვა არაბთა ექსპანსიის წინაღმდეგ მკვიდრი მოსახლეობის შეურიგებლობის შესახებ და იქვე დაესვა წერტილი. მაგრამ ილია განზრახ უსვამდა ხაზს ბაგრატიონების „მეთაურობასა და წინამძღოლობას“, რადგან ამით ქვეცნობიერად ამკვიდრებდა მკითხველის შეგნებაში ამ წინამძღოლობის კეთილისმყოფელ სურათს და იწვევდა მათი სახელებისადმი მოკრძალებას და თაყვანისცემას.

ქართველ მეფეთადმი ასეთი დამოკიდებულება მჟღავნდება ილიას ყოველ ნაწარმოებში, მაგრამ გამორჩეული ადგილი მაინც თამარ მეფეს ეკუთვნის. „გლახის ნაამბობში“ სიკეთის მადლით ცხებული მღვდლის პირით სრულიად განსაკუთრებული სიამაყითა და ღირსებით აღწერს ილია თამარის ეპოქას:

„თუ წელში გამართულა როდისმე ჩვენი ქვეყანა, ეგ იმის მეფობის დროს გაიმართა. მზეს თუ როდისმე საქართველო გაუნათებია და გაუთბია, იმის დროს ყოფილა; სიტყვას თუ ძალა გამოუჩენია, გულსა სიმტკიცე, მკლავსა სიმაგრე, ეგ დალოცვილის მეფის თამარის დედობის დროს მომხდარა! ის დედა იყო, ჩვენ შვილები“...

როდესაც ილია თამარს „დედას“ უწოდებს, მხოლოდ სვიანი მეფობა და დიდთა საერო საქმეთა ქმნა არა აქვს მხედველობაში. მანამდე ქართველ ერს დედა-ღვთისმშობლის გარდა „დედა“ ასეთი ყოვლისმომცველი მნიშვნელობით არავისთვის უწოდებია. როდესაც ილია თამარს უწოდებდა „დედას“, აქ მისი ღვაწლის მიღმა ბაგრატიონთა გვარის ღვთაებრივი წარმომავლობაც ჰქონდა უთუოდ ნაგულისხმევი.

იგივე ხდება მეფე დიმიტრი თავდადებულის მიმართაც. ილიასათვის დიმიტრი მამაა ერისა. ურდოში გასამგზავრებლად განმზადებულს, შიშით მიმართავს მას ქართველობა:

„მაგრამ ჩვენ რა გვეშველება,
ჩვენ, მეფეო, შენს დამკარგველთ?
მამობასა ვიღა უზამს
შენგან დაობლებულ ქართველთ?“

ხოლო რაკი თავად მეფე დიმიტრიმ იცის, რომ: „ეს ქვეყანა ღვთისაგან აქვს მონაბარი“, ამ დიდი ვალის შეგნებით მიმართავს ღმერთს:

„ღმერთო, ღმერთო! თვალწინ მიდგა
დიდტანჯული მე ძე შენი...
ვით ძით ყველა, ისეც ჩემით
ერი ჩემი დაიხსენი“.

მეფის ლოცვაში ერთდროულად ვლინდება როგორც მისი მტკიცე და შეუდრეკელი ხასიათი, ამავე დროს – გარკვეული უფლებამოსილებაც, საკუთარი განცდების ძე-ღმერთის განცდებთან გათანაბრებისა. ამგვარად ილია ხარკს უხდის ქართულ ისტორიოგრაფიულ ტრადიციას, რომელიც ქართულ სამეფო გვარეულობას ღვთიურ საწყისებთან აკავშირებს.

ხოლო პირველი ლექსი, სადაც ილია ჭავჭავაძე დაუფარავად ამხელს თავის პოლიტიკურ მრწამსს, არის „იანიჩარი“. 1860 წელს დაწერილ ამ ლექსში აღწერილია ივერიელი მხედრის სიჩაუქე და ოსტატობა, რომელსაც იგი თავისი ქვეყნის დამმონებელ ხელმწიფის წინაშე ამჟღავნებს. პოეტი სინანულს გამოთქვამს ამის გამო:

„ვსთქვი, თუ ვისთვის შენ კისკასობ,
ვისთვის იჩენ სიმარდესა?
შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამლუპველს ოსმალეთსა?
შენს სიმარდეს, სიჩაუქეს ქართლი შენი არ დაჰყურებს,
მეფე შენი თავის ქებით ჭაბუკს გულს არ გიხალისებს!“...

რომც არ არსებობდეს ლექსის თავდაპირველი ვარიანტი, ჩვენთვის მაინც ადვილი იქნებოდა ქართველი კონდოტიერის სათანადო გეოგრაფიულ გარემოსთან დაკავშირება. მაგრამ რადგან არსებობს, ამდენად იგი სხვა მხრივ არის საყურადღებო: ორიგინალში ლექსის სათაური ყოფილა: „კანვოელს“, ხოლო ზემოთმოყვანილი სტროფის მეორე ტაეპში ნაცვლად „შენს დამლუპველს ოსმალეთსა“ ეწერა: „შენით ბნელსა ჩრდილოეთსა“. მართალია, ილიამ საბოლოოდ ლექსის იგავური ფორმა აირჩია, მაგრამ პირვანდელი სათაურითა და შინარსით დასტურდება, რომ იგი ასახავს სიუჟეტს რეალური სინამდვილიდან. ლექსის გმირი ყმაწვილისათვის სწორედ ამ რეალურ სინამდვილეში არ არსებობს „მეფე შენი“. სამაგიეროდ არსებობს „მეფე სხვისი“. ხოლო ამ სხვისა მეფესთან მისგან თავის გამოჩენას და ამდენად, ეროვნულ ძალთა მტრის სამსახურში ჩადგომას ვერ ეგუება ილია. ამავე დროს, რადგან ლექსი რეალურ გარემოშია წარმოშობილი და სავსებით შეესატყვისება იმდროინდელ ვითარებას, საკუთარ („მეფე შენი“) მეფეზე ნატვრა ილიას მისწრაფებად უნდა მივიჩნიოთ და „იანიჩარი“ კი შემოქმედების იმ ნიმუშად, სადაც ილია ავლენს თავის სიმპათიებს სამეფო ხელისუფლებისადმი.

ილიას შემოქმედების მკვლევარნი თვლიან, რომ თავისი მოღვაწეობის დასაწყისში იგი ესწრაფვოდა საქართველოს სრულ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას. სამაგიეროდ ერთსულოვანი არიან მისი ცხოვრების მომდევნო ეტაპების შეფასებაში და მიაჩნიათ, რომ არსებულ პოლიტიკურ ვითარებათა გამო მან თავის ლოზუნგზე უარი თქვა და მიემხრო საქართველოს ავტონომიას რუსეთის იმპერიის ფარგლებში.




მაგრამ, მართლა თქვა ილიამ საქართველოს რუსეთისაგან გამოყოფაზე უარი და თვითონვე დაასამარა ჭაბუკობაშივე ჩასახული ოცნება? რეალური ფაქტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თითქმის ასე გამოდის: 1905 წელს იგი თავად იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი, რომელიც მოითხოვდა მსგავს ავტონომიას.

ხოლო თუ ფაქტების მიღმა ილიას ჭეშმარიტ თვალსაზრისს ჩავწვდებით, მაშინ ცხადი გახდება, რომ ასეთი საქციელი მხოლოდ დროის შესაფერი დროებითი კომპრომისი იყო.

როგორც ილიას თანამედროვე, ექიმი და საზოგადო მოღვაწე ვასილ წერეთელი აღნიშნავდა: „ეროვნული ავტონომია არ მიაჩნდა ილიას საბოლოო იდეალად... ამას სხვათა შორის ისიც ამტკიცებს, რომ ილიამ პირველი რევოლუციის დროს ხელი არ მოაწერა ინტელიგენციის მიერ შედგენილ პეტიციას, რომელიც თავადაზნაურობის დეპუტატთა კრების სახელით უნდა წარედგინათ რუსეთის სათათბიროსთვის; ეს პეტიცია მოითხოვდა საქართველოსათვის ავტონომიას, ილია კი სეპარატისტი იყო (ხაზი ჩემია – ზ.ა.) („მოგონებანი ილია ჭავჭავაძეზე“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“ 23.10.1987წ.).

ესე იგი, თუ ილია სეპარატისტი იყო, მას 1905 წელსაც კვლავინდებურად სურდა საქართველოს რუსეთისაგან გამოყოფა და, ცხადია, არც თავისი მონარქიული შეხედულებები ექნებოდა დავიწყებული.

იმის თაობაზე, რომ ილიას არ შეუცვლია თავისი მსოფლმხედველობა სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, სრულყოფილ წარმოდგენას გვაძლევს ფრაგმენტი ნინო ნაკაშიძის მოგონებიდან, რომელიც 1905 წლის რევოლუციის პერიოდში არის ჩაწერილი. საუბრის გმირები არიან ილია ჭავჭავაძე, ნასაკირალის აჯანყების მონაწილე გლეხი გოგელია და საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე თამარ გრუზინსკაია – თავადაც ბაგრატიონი და მეუღლე ერეკლე მეფის შვილიშვილის, ირაკლისა. ილია აცნობს გურულს გრუზინსკაიას და ეუბნება: „თქვენ იცით, ეს კნეინა გრუზინსკაია, ჩვენი თავმჯდომარე, საქართველოს რომ თავის მეფე ჰყოლოდა, ახლა ჩვენი დედოფალი იქნებოდა.

გოგელიამ სწრაფად შეხედა გრუზინსკაიას.

– ოჰ, ბატონო, ეს რომ ჩვენი დედოფალი ბრძანებულიყო ერთ წელიწადს კიდევ მოვითმენდი, დავიცდიდი და რევოლუციას არ მოვახდენდი“.

ამ ნაწყვეტში, გარდა ილიას სრულიად გარკვეული დამოკიდებულებისა საკითხისადმი, გურული გლეხის დადებითი პასუხიდან ჩანს ხალხის წიაღში ჩაბუდებული ოცნებაც თავის ქართველ ხელისუფალზე. დიალოგი შემდგომ ასე გრძელდება:

„ილიას გაეცინა და თქვა:

– რით არ არის ახლა ეს გურული გლეხი „Светский“ კაცი, და მიუბრუნდა ისევ გოგელიას:

– თქვენ, გურულებს არ გიყვართ მეფეები და თავადები...

– თქვენისთანები გვიყვარს, ბატონო, თქვენი „კაკო ყაჩაღი“ ჩვენ ყველამ ზეპირად ვიცით“.

უკანასკნელი დიალოგიდან თავისთავად გამომდინარეობს, რომ თუ მათ, გურულებს, რაღაც არ ყვარებიათ, რის გამოც ილია საყვედურით მიმართავს მოსაუბრეს, ესე იგი ის, რაც მათ არ მოსწონთ, ძვირფასია თვით ილიასათვის.

სამეფო ხელისუფლებისადმი ერთგულება ილიას იმდენად მიაჩნდა გამართლებულად, რამდენადაც მონარქიულ პრინციპს თვლიდა ერთადერთ საშუალებად რუსეთის ხელიდან სამშობლოს გამოსახსნელად. არჩილ ჯორჯაძისთვის მას ანდერძივით დაუბარებია:

„ახალმა თაობამ კარგად უნდა დაინახსომროს ერთი რამ. ჩვენ უნდა ვიყვნეთ მომხრენი მონარქიული პრინციპისა. რუსეთის იმპერატორი ამავე დროს ქართველთა მეფეა. 1783 წლის ხელშეკრულება, რომლის ძალით საქართველო რუსეთს შეუერთდა, რუსეთის მონარქთან გვაქვს დადებული. თუ გინდათ, რომ ჩვენს უფლებათ ისტორიული მნიშვნელობა არ დაეკარგოსთ, ხელუხლებელი და პატივსაცემი უნდა იყოს თქვენთვის მონარქიული პრინციპიო“. (არჩ. ჯორჯაძე, „ჩვენი საზოგადოებრიობა“, წ.11, გვ. 223-224, 1911წ).ამ უფლებების აღდგენა და დამკვიდრება კი ცხადია, განახლებულ ქართულ სამეფოში უნდა მომხდარიყო. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ილიას დიდი თაყვანისმცემლისა და თანამოაზრის, იონა მეუნარგიას ერთი მოგონება. თავის მემუარებში ის წერს:

„საქართველოს საუკეთესო კაცს და მამულის მოყვარეს მუდამ სწავლული და მამულის მოყვარე მოსამსახურე ებედებოდა.

თვითონ ილიამ გვიამბო: ერეკლე ბატონიშვილს ვაჟი რომ დაებადა, დილაადრიან ჩემთან შემოიჭრა ბიჭი და ჩვენს შორის ამგვარი დიალოგი გაიმართა:

– მომილოცავს, ბატონო!

– რა, ბიჭო?

– ბატონის რძალს ვაჟი ეყოლა ამ დილას“.

გარეგნულად ამ ეპიზოდში ილიას მოსამსახურის მაღალ შეგნებულობაზეა ლაპარაკი. მაგრამ დავუკვირდეთ: რა უხარია მას? ბაგრატიონების მემკვიდრის დაბადება. ვის ახარებს ამ ამბავს? – ილიას. მოსამსახურეს გულითაც შეიძლება ახარებდეს მომხდარი და თვალთმაქცობდეს კიდეც. მაგრამ რაც უცილობელ ჭეშმარიტებას წარმოადგენს – მას სურს ილიას ახაროს ეს ამბავი. ხოლო ვინ შეიძლება იყოს სამეფო გვარეულობაში მემკვიდრის გაჩენით გახარებული თუ არა პიროვნება, სახელმწიფოებრიობისა და ტახტის აღდგენის მოსურნე?! ამრიგად, თუ ამ მოგონებათა ქვეტექსტებს გავაცნობიერებთ, მათში ილია ჭავჭავაძის მონარქისტული მისწრაფებების ამოკითხვაც მოხერხდება.

მაგრამ მონარქიაც არის და მონარქიაც. სახელდობრ, როგორ მონარქიაზე შეეძლო ეოცნება ილიას? თუ იმ საკითხში ნამდვილად შევთანხმდებით, რომ ილია უეჭველად ესწრაფვოდა საქართველოში სამეფო ხელისუფლების აღდგენას, მაშინ იმის ვარაუდიც შეიძლება გავწიოთ, რომ ეს უნდა ყოფილიყო არა ფეოდალური აბსოლუტური მონარქია, არამედ პარლამენტური, კონსტიტუციური მონარქია.

რა გვაძლევს ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს? ჯერ კიდევ 1884 წელს ილიას შესახებ საიდუმლო პოლიციის ანკეტაში იყო ასეთი ჩანაწერი: „поднадзорный Чавчавадзе Илья Григорьевич известный в Грузии поэт, принадлежит к той группе либералов, кои желают добиться в автономии Грузии и мечтают о Грузинском парламенте“.

(ციტ. პრ. რატიანის შრომის მიხედვით).

თუკი ილია მართლაც ოცნებობდა ქართულ პარლამენტზე, ბუნებრივია, რომ ამ პარლამენტის საუკეთესო ფორმად მას მონარქიულ-პარლამენტური სახელმწიფო მიაჩნდა. ამას ადასტურებს მისი სიმპათიები ინგლისის პარლამენტის მიმართ, რომელიც ილიას ერთობ დიდ მოწონებას იმსახურებს, რადგან:

„მოქალაქეთა უფლება-მოვალეობები და თავისუფლებები შეუძლებელია აქ დადგენილი იქნას საზოგადოების თანხმობის გარეშე“.

ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებულ მიღწევად უთვლის ინგლისის პარლამენტურ-მომარქიულ სახელმწიფოს იმ გარემოებას, რომ თუ პარლამენტში ორი პარტიაა, მთავრობა იქმნება პარლამენტის არჩევნებში გამარჯვებული პარტიისაგან, მაგრამ: „რომელს დასსაც უნდა ეჭიროს სამინისტრო, ვიგები იქმნებიან თუ ტორები, ინგლისში ისეთი შეურყეველი ჩვეულებაა, რომ თუ სამინისტროს კანონი და პროექტი არ მოიწონა პარლამენტმა და არ დაუმტკიცა, უნდა გადადგეს და სამინისტრო მეორე დასს დაუთმოს“ (ტ.9, გვ.197).

ამრიგად, თუ გავთვალისწინებთ ილიას მისწრაფებას საქართველოს სამეფოს აღდგენისაკენ და იმავე დროს მის სიმპათიებს ხელისუფლების თვითმმართველობის პარლამენტური საწყისებისადმი, უნდა ვიფიქროთ, რომ კონსტიტუციური მონარქია იქნებოდა სწორედ ის ფორმა, რომელიც სრულად შეესატყვისებოდა ილიას იდეალს. ერთის მხრივ ეს საშუალებას მისცემდა საქართველოს, მისი ყველა კუთხე და ყოველი წოდების კაცნი მოერიგებინა და გაეერთიანებინა ბაგრატოვანთა დროშის ქვეშ, ხოლო მეორეს მხრივ, პარლამენტარიზმის პრინციპი ქვეყანაში დააკანონებდა ჭეშმარიტი დემოკრატიის საფუძვლებს. ამით საქართველო შეინარჩუნებდა ისტორიული, ტრადიციული ქვეყნის სახესაც და მას შეერწყმოდა თანამედროვე პოლიტიკური ფორმაც, რაც შექმნიდა პირობას ქვეყნის ჰარმონიული განვითარებისათვის.

**გიორგი ერიშვილი**

# წმიდა ილია მართალი (ჭავჭავაძე)

## შეგონებანი



* * *

სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ესა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს.

* * *

ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ჰნიშნავდა მთელის საქართველოს მიწა-წყალს, ჰნიშნავდა ქართველობას. დღესაც, მთელს ამიერკავკასიაში ქართველი და ქრისტიანი ერთისა და იმავეს მნიშვნელობის სიტყვები არიან. გაქრისტიანების მაგიერ გეტყვიან: გაქართველდაო. ჩვენმა სამღვდელოებამ კარგად იცოდა, რომ მამული და ეროვნება, რჯულთან ერთად შეერთებული, რჯულთან შეხორც-შეთვისებული, უძლეველი ხმალია და შეულეწელი ფარია მტრისა წინაშე. სიტყვას ქადაგებისას, სწავლას, მოძღვრებას იგი სულ იმაზედ მოაქცევდა ხოლმე, რომ მამული და ეროვნება რჯულამდე გააპატიოსნოს, სარწმუნოებამდე აღამაღლოს, ასწიოს და ყოველივე ამ სამს წმინდას და უდიდეს საგანს, ერთად შეერთებულს, თავდადებით ამსახუროს, თავგანწირვით ამოქმედოს.

აი, სად და რაში ჰპოულობდა ჩვენი უწინდელი სამღვდელოება თავის სულიერს და ხორციელს ღონეს, თავის ძლიერებას, პატივისცემას! აი, როგორ გაიმაგრა სამღვდელოებამ სარწმუნოება ქრისტეში ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც გარშემო ვეშაპი მტრები ეხვივნენ და ჰლამობდნენ, ქრისტიანობა ძირიანად ამოეგდოთ. აი, რამ მოაგერიენებინა ამ პატარა ქვეყანას აუარებელი მტერი! მამული და ეროვნება მოაშველა სამღვდელოებამ რჯულს, რჯული – მამულსა და ეროვნებას, და ეგრეთ მოძღვრებულმა ერმა ეს სამება წაინძღვარა წინ, ათასხუთასი წელიწადი ომითა და სისხლისღვრითა გამოიარა და ქართველს ბინაც შეუნახა და ქართველობაცა.

* * *

ქრისტეს რჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვიტკირიც იყო საქართველოს მრავალ ნაწილის გასაერთებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა. დრო იყო ამისთანა და სხვა არა-რა ელემენტი მაშინ შემძლებელ არ იყო ეს ჩვენის ისტორიის დასაბამიდამ სასურველი ერთობა დაედგინა. სხვათა შორის, ქართველი ამისთვის უფრთხილდებოდა თავის რჯულს, რომელიც, თავის შინაგან ღირსების გარდა, დუღაბობას უწევდა ერთობასა. ამ სიკეთეს დიდი ხანია მიაგნეს ჩვენთა ბედის-გამგებელთა და არ არის ჩვენში არც ერთი სახელგანთქმული კაცი, ან მეფე, რომ, სხვათა შორის, ამ თვალით არ ეყურებინა ქრისტეს სარწმუნოებისათვის. ამიტომაც, მოაცალებდათ თუ არა პოლიტიკური ტრიალი ბედისა, ყოველი მათგანი სცდილობდა, არაფერს ზოგავდა, ქრისტეს რჯული, შინაგანის ღირსებით განდიდებული და მიმზიდველი, გარეთა ღირსებითაც განედიდებინათ, გაემშვენიერებინათ და მისი მონასტრები და ტაძრები ყველგან მოეფინათ ქრისტეს რჯულის სახსოვრად და სადიდებლად.

* * *

საქართველოს ერმა გადაიხსნა გული, შიგ განიბნივა იგი ჯვარი პატიოსანი და თვითონაც ჯვარს ეცვა და არავის კი არ შეარყევინა არც თავისი გული და არც გულში ღრმად და მკვიდრად გაბნეული ჯვარი. მას აქეთ თხუთმეტი საუკუნე გულში ჯვრით და ხელში ხმლით იბრძოდა, იღვწოდა, სისხლსა ჰღვრიდა ქართველი კაცი და ნათელი ბნელზედ ვერავინ შეაცვლევინა.

ჩვენი ისტორიის სახელი და დიდება, ჩვენთა დიდებულთა წინაპართა სასწაულმოქმედი მხნეობა, თავგანწირვა, თავდადება, ვაჟკაცობა სულ იმ ნათლით არის გასხივოსნებული, იმ შარავანდედით არის მოსილი, რომელიც „ძელმა ჭეშმარიტებისამ", წმინდა ნინოს მადლით და ღვაწლით აღმართულმა, მოჰფინა მთელს ჩვენს ქვეყანასა. ამ ძელზე სხივოსანის ასოებით, ქრისტეს წმინდა სისხლით დაწერილი იყო და არის იგი მცნება, რომელიც უდიდესია ყოველს მცნებაზედ: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი".

ამ მცნების მოძღვარს ეთაყვანებოდა ჩვენი ქვეყანა, იგი აღიარა ღმერთად და იმას აუნთო თავისი გული წმინდა სანთლად, რომელიც დღეს აქამომდე არ გამქრალა და არც გაჰქრება, მინამ არ გაჰქრება თვითონ ქართველიცა. ამ კაცთმოყვარე ღმერთისათვის იწამა ჩვენი ქვეყანა, ამას ანაცვალა, მას შესწირა ყოველივე, რაც კი ადამიანს საბედნიეროდ აქვს მონიჭებული, ეკლის გვირგვინი დაიდგა თავზედ, თხუთმეტი საუკუნე გულგაუდრეკლად ატარა თავ-პირდასისხლიანებულმა ჩვენს დრომდე შეუმწიკვლელად მოიტანა

* * *

წმინდა ნინოს მოციქულობით მოფენილმა და დამკვიდრებულმა ქრისტიანობამ გვიხსნა ჩვენ არამცთუ სულიერად, არამედ ხორციელადაც. იმა უდიდესმა მოძღვრებამ, რომელიც ქრისტე ღმერთმა მოუვლინა ქვეყანას ხსნად და ცხონებად, თავისი ძლევამოსილი კალთა გადააფარა ჩვენში ჩვენს მამულს, ჩვენს ეროვნებას, ვითა ობოლნი შეიკედლა, თავისის ღვთაებურის ძალ-ღონით გამოჰზარდა, შეჰმოსა, შთაუდგა გული რკინისა, გაუმძლვარა ჯვარი პატიოსანი და ძელი ჭეშმარიტებისა. და, აი, ათასხუთასი წელიწადია, ამ ძალ-ღონით ქრისტიანობამ შემოგვინახა ჩვენ ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ენა, ჩვენი ვინაობა, ჩვენი ეროვნობა.

ქრისტიანობის მოფენა და დამკვიდრება თითონ ცალკედ, თავსითავად დიდი ღვაწლია, და რომ ქრისტიანობამ ქვითკირსავით შეგვკრა და გაგვამაგრა, რომ ქრისტიანობა გაგვიძლვა მამულისა და ეროვნების შერჩენისა და ხსნისათვის, ღვაწლი იგი გვიორკეცდება, გვიდიდდება, გვიძლიერდება. ეგ გაორკეცებული, ეგ განდიდებული ღვაწლი დაგვდო ჩვენ ჩვენმა განმანათლებელმა წმინდა ნინომ. აი რით არის მართლა სადიდებელი, მართლა სადიდ-დღესასწაულო იგი დღე, როდესაც ჩვენი ეკლესია დიდებით იხსენიებს ამ მოციქულთა-სწორს ქალწულსა. ამა ღვთაებურის მადლით მოსილმა მოციქულმა დაგვაწაფა დაუშრობელს წყაროს ღვთაებურის ჭეშმარიტებისას და მოგვივლინა იგი მოძღვრება, რომელმაც იშვილა ჩვენი მამული, ჩვენი ეროვნება, და ერთსაც და მეორესაც უპატრონა დღემდე.

* * *

ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენს ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავუღეღეთ მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი, და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი. გავწყდით, გავიჟლიტენით, თავი გავწირეთ, ცოლ-შვილი გავწირეთ, უსწორო ომები ვასწორეთ, ხორცი მივეცით სულისთვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მამულს – სამართლიანის თავმომწონებით ვეძახით.

* * *

სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს. ქართველმა, თავის სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი, ებრაელნი, თვით მაჰმადიანნიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წაგვაყვედრებენ. სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და ჩაგრულნი – აქ ჩვენში ჰპოულობდნენ მშვიდობის-მყოფელს სავანესა და სინდისის თავისუფლებასა.

* * *

საქართველო, როცა-კი მოიცლიდა ხოლმე გარეშე მტერთა ზედმოსევისა და მოგერიებისაგან, მაშინვე შეუდგებოდა ხოლმე ქრისტეს აღსარების განმტკიცების და გაძლიერების საქმესა. როცა-კი ქვეყნის მდგომარეობა ნებას აძლევდა, ქართველნი, ცნობილნი სულიერის მოღვაწეობითა და აღრტყინებულნი ღვთის მოსაობით და სარწმუნოების გრძნობითა, გამოდიოდნენ გამავრცელებლად და მოსარჩლედ მართლმადიდებელის სარწმუნოებისა აღმოსავლეთში: მცირე აზია, სირია და თვითონ ბალკანეთის ნახევარკუნძული თვისდა ახლო მახლო კუნძულებითა დღესაც ჰმოწმობენ ქართველთა მოღვაწეობას სარწმუნოებისათვის. აქ ყველგან მრავალგვარი ნაშთია დღესაც უტყვ, მაგრამ უტყუარ მოწამედ იმისა, რომ გულმოდგინებას ქართველებისას სარწმუნოებისათვის შორსაც გაუდგამს ფეხი და ხელი გაუწვდენია. მონასტრები, ქართველთა ხარჯით და ფულით აშენებულნი, არა ერთი და ორი დღესაც ჰღაღადებს ათონის მთაზედ, სინაზედ, სირიაში, იერუსალიმის ახლომახლო, რომ ქართველთა თაგვამომეტებით და დიდის მხნეობით ულვაწნიათ თავის ქვეყნის გარეთაც სადიდებლად თვისის სარწმუნოებისა.

* * *

„ვით მამა ზეცისა იყავნ შენც სრული" – აი თავი და ბოლო ადამიანის ცხოვრებისა. ვის რა მანძილი გაუვლია, ცალკე ადამიანია თუ მთელი ერი, – ამ სისრულის გზაზე, ვინ რამოდენად წინ წამდგარა, ვის რამოდენად აღფრთოვანებული აქვს სულთა-სწრაფვა ამ გზაზე დაუღალავად სიარულისათვის, – აი საწყაო, როგორც ცალკე ადამიანის ღირსებისა, ისეც მთელის ერისა.

* * *

ადამიანი და ნამეტნავად ერი არა მარტო „პურითა ერთითა ცოცხალ არს". მართალია, მშიერი დიდს მანძილს ვერ გაივლის ამ მადლისა და ბოროტების ჭიდილის გზაზე, მაგრამ უმადლოდაც, როგორც ხორცი უსულოდ, არაფრის მაქნისია. ცხოვრება ერთიანი მდინარეა ორის დიდის ტოტისა: ერთს რომ ხორცისათვის მოაქვს საზრდო, მეორე სულისათვის. თუ ან ერთი დაშრა, ან მეორე, – გვამი ერისა მკვდარია, ვითარცა უსულოდ ხორცი და უხორცოდ სული, სააქაოსათვის მაინცა. ამიტომაც, ვინცა ჰჩივის და ჰღაღადებს სახოციელო პურისათვის, ის იმდენადვე, თუ არ მეტად, უნდა იღვწოდეს სასულიერო პურისათვისაც. ადამიანი, თუ მთელი ერი, იმისათვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური სჭამოს, არამედ პურსა სჭამს იმისათვის, რომ კაცურ-კაცად იცხოვროს და აცხოვროს თავის შთამომავალი.

* * *

ღმერთს შენთვის გონება, გული მოუცია, ავარჯიშე, მინამ სიცოცხლე შეგწევს. გონება გზას გაგინათლებს, გული – გაგითბობს, ღმერთი ძლიერია... ყველას გულში, – ბატონია თუ ყმა, მე ვარ თუ შენა, – ღვთისგან ანთებული ცეცხლი ანთია; ის ცეცხლი არ უნდა გავაქროთ, თუ რომ გვინდა პირნათლად შევეყაროთ ჩვენ გამჩენსა, ის ცეცხლი მეც, შენც და სხვასაცა ხანდახან იმისთანა საქმეს გვაქმნევინებს, რომ ქვეყანა აკვირვებს... რა ვუყოთ, რომ მე და შენ დღეს პატარები ვართ? ვინ იცის... ხვალ ბედი რომ გადატრიალდება, ვინ წინ მოექცევა და ვინ უკან?.. რაც შეგვეძლოს, ჩვენ ისა ვქნათ, ღმერთიც ჩვენგან იმას თხოულობს და კაციცა.

* * *

ღმერთმა ყველას გონება და გული, სიკეთის შეძლება დაგვირიგა, ზოგს, მართალია, ცოტა, ზოგს ბევრი, მაგრამ ბევრს ბევრი მოეკითხება და ცოტას – ცოტა. იმისათვის კი არ დაგვირიგა, რომ იმ ზარმაც მონასავით კიდობანში, ან მიწაში დავმალოთ, – იმისათვის, რომ ბევრი გაჭირვებულია ქვეყანაზედ, უნდა გავცეთ, რომ მოვიგოთ რამე, თორემ ხელცარიელები დავრჩებით, როცა ღმერთი მოგვკითხავს. ამიტომაც არიან ეგრე გულმართალნი ეს სიტყვები: „რასაცა გასცემ – შენია, რაც არა – დაკარგულია". ის ღვთის მადლი, რომელიც ყოველ კაცს თავდაპირველვე ჩაგვსახებია, ჩვენთვის დაკარგულია, თუ სიკეთე არ მოვაგებინეთ.

* * *

იქნება გეგონოს, ვინც კაი საქმეს ჰშვება, სახელისათვის ჰშვება? არა, სახელი თავისთავად მოდის ხოლმე და კეთილ საქმეს ზედ გამოებმება. მართალია, არიან იმისთანა კაცები, რომელნიც სიკეთეს იქმოდნენ მარტო იმისთვის, რომ სახელი დაგვრჩებაო. მაშინ ისინი იმ კაი საქმეს სახელზედ ჰყიდიან. ეს ცუდია, მაგრამ მე და შენ რა დავა გვაქვს? დაე, თუნდ გაჰყიდონ, ოღონდ ნივთი კარგი რამ იყოს, დაე, საქმე საქებური იყოს და გულის წადილის გაჩხრეკა ღვთის ნებაზედ მივაგდოთ.

* * *

როცა... ადამიანს პირს არიდებ, მითამ ქრისტე-ღმერთისთვის მოგირიდებია პირი. იესომ ბრძანა: განკითხვის დღეს გეტყვითო მწყურვალი ვიყავ და არ მასვითო; მშიერი ვიყავ, არ მაჭამეთო; შიშველი ვიყავ, არ ჩამაცვითო; სნეული ვიყავ, არ მომიარეთო. როცა მეტყვიანო უფალო! სადა განახეთ, რომ არ გიშველეთო მე ვეტყვიო: ყოველი გაჭირვებული კაცი, თქვენგან არ გაკითხული, მე ვიყავიო... სხვა შენთვის და შენ სხვისთვის, აი გზა ცხოვრებისა, აი ხიდი ცხონებისა, აი გასაღები სამოთხისა!..

* * *

ეს წუთისოფელი ცოდო და მადლის ჭიდილია, სხვა არაფერი. ზოგი ცოდოს იკიდებს ზურგზედ და ტყვიასავით მძიმეა, ზოგი მადლს და ბუმბულსავით სუბუქია.

* * *

სადაც სურვილია დატკბობისა, იქ სიყვარული არ არი; სიყვარული ტანჯვაა; „ტანჯვაა ვალი და სხვერპლი უზომო სიყვარულისა" – ამბობს ერთი ჩვენი ქართველი პოეტი. მართალიც არი!.. სიყვარულში თვითონ სიყვარული უნდა ეძებოს კაცმა, სიყვარულში თვით სიყვარული უნდა უყვარდეს სიყვარულისთვის კაცსა და არა რაიმე სურვილისთვის. სადაც გამოერევა ადამიანის „მე", იქ უთუოდ უნებლიედ წარმოსდგება მონებაცა ერთისა მეორეზედ. უფრო უძლურმა უნდა დაუთმოს უფრო ძლიერს, იქ იქნება დესპოტობა, მონება და არა სრული ერთხმოვანი გარმონია ორთა თანასწორთა სულთა, რომელთა შეერთება შეიქმს ხოლმე ერთ დაკარგულს ერთარსებასა; უნდა დაივიწყო შენი „მე" და შეერთდე იმის „მესთან"; მაშინ აღსრულდება მნიშვნელობაც სიყვარულისა, მაშინ გადაიშლება მთელი ზღვა ტანჯვისა...

* * *

კაცად მაშინ ხარ საქები,
თუ ეს წესი წესად დარგე:
ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო, –
აბა, მე დღეს ვის რა ვარგე?

* * *

სიკეთით სძლიე შენს მტერსა,
ერიდე სისხლით ზღვევასა,
სულგრძელობითა ძლევა სჯობს
ვაჟკაცობითა ძლევასა

* * *

გებრალებოდეს, ნუ ჰრისხავ
კაცს შენზედ შურით მწდომსაო!..
კეთილი ფარად უფარე
შენთვის ბოროტის მდომსაო,
მადლისა წყაროს ასმევდე
ცოდვის გუბეში მდგომსაო.

* * *

არაფერი ქვეყანაზე არც იმით დაიწუნება, რომ ძველია, არც იმით მოიწონება, რომ ახალია. ამ სადა ჭეშმარიტებას დიდი ლარი და ხაზი არ უნდა, არც მეტისმეტი გონების გახსნილობა, რომ კაცმა ახალი ტალახი ძველს ვარდს არ ამჯობინოს მარტო იმის გამო, რომ ტალახი ახალია და ვარდი კი ძველი.

* * *

შეწყნარება დაჯერებას არ ჰნიშნავს, გინდა თუ არა, არამედ პატივსა, რომლითაც უნდა მოექცეთ სხვის აზრს, თუნდაც თქვენს უსიამოვნოს, თქვენს წინააღმდეგს. პატივით მოქცევა კიდევ იმას ჰქვიან, რომ მთქმელს, თუ გამკითხველს საბუთი გაუჩხრიკოთ, საბუთი აუწონოთ თქვენს საკუთარ სასწორზე, ასე თუ ისე საკუთარი ფასი დასდოთ და მისაწყავი ისე მიუწყათ. ყოვლად საკადრისი საქციელი გონებაგახსნილისა და მართლა განათლებულის კაცისა სწორედ ეს გზაა და სხვა არარა. ვისაც ეს არა სჭირს, ტყუილად თავსა სდებს განათლებაზე, ტყუილად აბრიყვებს თავისთავსაც და სხვასაც, განათლებული ვარო. იგი ყოველ გონებადახშულზედ უარესია.

* * *

ერთის ბრძენისა არ იყოს, ქვეყანაზე ზოგი იმისთანა საგანია, რომ თუ არ დაინახე, ვერ ირწმენ და ზოგიც იმისთანაა, რომ თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ. ცასა, თუ ცას იქით, სწორედ იმისთანა ადგილებია მაძებარ გონებისათვის, რომ თუ არ ირწმუნე, ვერას დაინახავ.

* * *

კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო, – ამბობს ჩვენი ერი: – ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლიო. ეს ანდერძი ქართველისა ისე არავის შეუსრულებია, როგორც დავით მეფესა. აქ აღმაშენებლის სახელი დარჩა, როგორც მეფეს, და იქ, როგორც დიდ-ბუნებოვანმა კაცმა – წაიყოლია სახელი წმინდანისა, დიდების გვირგვინით შემკობილი.

* * *

ეს ანდერძად გქონდეს ჩემგან: არა საქმეში უზნეობა, უპატიოსნობა არ გაურიო. გახსოვდეს ყოველთვის, რომ ქვეყანაზედ ქაღალდის გარდა არის კიდევ სინდისი, რომელზედაც იწერება პირობა იმ სიმკვიდრით და სიმტკიცით, რომ არავითარი ძალა არ ამოშლის და არ გააუქმებს. ადამიანთა ურთიერთობა შეუძლებელია დააფუძნო უზნეობის საწყისებზე და საქმე, რომელიც ზნეობრივი პრინციპების დარღვევიდან გამომდინარეობს, არავის გამოადგება. სამუდამოდ დაიმახსოვრე, რომ მოვალეობის გარეშე უფლება არ არსებობს, ხოლო მოვალეობა ისაა, რომ პატივი სცე, დაიცვა კიდეც სხვისი უფლება და არ დაარღვიო იგი.

* * *

რა არის სიმდიდრე? სიმდიდრე კარგი რამეა... მე მის საწინააღმდეგოდ რა მეთქმის, მაგრამ ის მაინც არ არის საჭირო პირობა ბედნიერებისა. უიმისოდ ბედნიერება კარგადა გრძნობს თავს და იგრძნობს კიდევ, თუკი ჩვენ ვიქნებით ისეთი ადამიანები, რომლებიც უპირველესად ზნეობრივი მხარის დაკმაყოფილებას ესწრაფვიან.

* * *

თუ ადამიანს თავისი ვინაობა არარად მიაჩნია, მაშინ იმ ადამიანში ადამიანური რაღაა? დრო გამოიცვლება, დრო მოვა, როცა თავისის ვინაობიდან გადამდგარი კაცი ყველასაგან შერისხული იქნება, როგორც ულირსი, თითონ იმათგა-

გაგრძელება მე-5 გვ. -ზე

დასაწყისი მე-4 გვ. -ზე

ნაც კი, ვინც ახლა სიხარულით ამისთანა კაცს შეიკედლებს ხოლმე და ულოლოებს. დრო მოვა, როცა ყველასათვის ცხადი იქნება, როგორც ორჯერ-ორი, რომ თუ კაცი თავისას გაუდგა, სხვისას ვერ უერთგულებს. ეს ჭეშმარიტება დღეს ცოტამ იცის და ხვალე ბევრს ეცოდინება, და მაშინ ვაი თავის ვინაობაზედ გულაცრუებულს, გულგრილს და ხელაღებულს!

* * *

რაც კაცს უფრო საკეთილოდ მიაჩნია, უფრო საუმჯობესოდ, უფრო სამართლიანად, მას უნდა მთელის თვისის მხნეობით და ღონით შეეწიოს იმისდა მიუხედავად, ეწყინება ვისმე, თუ არა. იქ წყენა რას მიქვიან, საცა ჩემი რწმენა, ჩემი ადამიანობა მიწვევს სამოქმედოდ და ქვეყნის საკეთილდღეოდ. იქ მამულისშვილობის ვალი ითხოვს, რომ არაფერს მოვერიდო და ცხარედ ჩავკიდო ხელი მას, რაც ჩემმა კაცობამ, ჩემმა რწმენამ, ჩემმა სინდისმა წინ დამისვა ნიშნად. ამას ითხოვს მოქალაქეობრივი გულადობა, ვაჟკაცობა და ქველობა.

* * *

დადგა მარხვა სინანულისა, მოვიდა დღე განკითხვისა. იმ განკითხვისა კი არა, რომელსაც საშინელი განკითხვა ჰქვიან და რომელსაც ჯოჯოხეთი და „ღრჭენა კბილთა“ მოსდევს... ეს იმისთანა განკითხვაა, საცა თვითონ ბრალეული თავის-თავის გამკითხველია და მსაჯული. მაშასადამე, აქ „კბილთა ღრჭენას“ და ჯოჯოხეთს ადგილი არ ექნება. აქ მხოლოდ ის არის საჭირო, რომ კაცმა თავისი ცოდვები ჩამოთვალოს და სთქვას: ვინანიო. რაკი ეგრეა, ყველა კაცი უნდა დაუფიქრდეს თავის წარსულს ცხოვრებას თავისის ცოდვა-მადლის გასარჩევად, თუ სურს ქრისტიანული წესი აღასრულოს და დრო სინანულისა ტყუილუბრალოდ არ გააქარწყლოს.

* * *

რა საკვირველია, რომ მე ჩემი უფრო მიყვარდეს, ჩემსას უფრო შევხაროდე, ჩემი უფრო მიამებოდეს და ჩემსას უფრო ხელს ვუწყობდე. გული ადამიანისა ფიცარი ხომ არ არის, რომ ერთი წაშალო და მის მაგიერ სხვა რამ დასწერო. გრძნობა თავისიანის სიყვარულისა ისეთივე ძლიერია, ისეთივე მკვიდრია, ისეთივე ბუნებრივია, მაშასადამე, ისეთივე სამართლიანი და პატივსაცემი, როგორც სიყვარული მამა-შვილური, დედა-შვილური. ვერა ძალი მაგ სიყვარულს ვერ ამოჰკვეთს ადამიანის გულიდამ! ყოველივე იარაღი მის წინაშე უქმია!

* * *

უეჭველია, ძლიერ გონივრად იქცევა ისა, ვინც მუდამ ჟამს კითხულობს საღმრთო წერილსა. იმის წამკითხავი ორნაირად არის სარგებლობაში, პირველად: შეისწავებს ღვთის ვედრებასა და რამდენსაც მომატებულად კითხულობს, იმდენად მკვიდრად დაინერგება იმის გულში სარწმუნოება ქრისტესი; და მეორედ: იქ შეხვდება მრავალ ნამდვილ ქართულ სიტყვასა, რომელნიც ამჟამად ბევრნი მათგანნი აღარ იხმარებიან საერო ლაპარაკში, და მაშინ, როდესაც საღმრთო წერილი გადმოუთარგმნიათ ქართულად ბერძნულიდგან, ხმარებაში ყოფილა. მხოლოდ იქიდგან გამოტანილი სიტყვა უნდა მოიხმარონ ისე, იმ კილოზე, როგორც ამჟამად ლაპარაკობს ხალხი.

* * *

სიმღერა, გალობა სხვა არა არის რა, გარდა ბედნიერად შექსოვილის პოეზიისა და მუსიკისა. აქ, სიმღერაში, გალობაში, მწყობრი ხმა ჰშველის წყობილსიტყვაობას და წყობილსიტყვაობა მწყობრს ხმასა, რათა მთლად და სავსებით ადამიანმა გამოსთქვას თვისის სულის მოძრაობა და თვისის გულის ძარღვის ცემა. ხმა და სიტყვა ცალ-ცალკე ბევრს შემთხვევაში უღონონი არიან ადამიანის გულის სიღრმიდამ ამოზიდონ იგი სხვილი და წვრილი მარგალიტები, რომლითაც სავსეა ადამიანის გული და რომელნიც აიშლებიან ყოველთვის, როცა ან სევდა-მწუხარება, ან სიხარული შესძრავს ხოლმე ღვთაებურს სიმებს ადამიანის სულიერებისას. სიმღერა ამ მხრით იგივე ცრემლია, რომელიც მაშინაც მოდის, როცა გულს მწუხარება ჰკუმშავს, და მაშინაც, როცა დიდი სიხარული ეწვევა.

* * *

როგორც ცალკე კაცის გული, ისე გული ერისა ბევრში სხვა ცალკე ერის გულს არა ჰგავს... ამის გამო გულისთქმაც, გულის გამომეტყველებაც სულ სხვა არის ხოლმე და ყოველს ერს თავისი კილო, თავისი ჰანგი აქვს ამ სხვადასხვაობისათვის. იგი უტყვი პოეზიაა... იგივე ენაა, მხოლოდ ხორცშეუსხმული, სიტყვით არგანსაზღვრული, სიტყვით არგამორკვეული – იგი მარტო ხმაა, კვნესაა, ხარებაა, იგი ძახილია აღფრთოვანებულის სულისა. ეს კვნესა, ეს ძახილი ქართველისა სულ სხვაა, სხვა ერისა – სულ სხვა, როგორც სხვადასხვა ენამეტყველობა.

* * *

ეხლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრისა კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი. ამ ომმა არ ბუკი იცის, არც ნაღარა. უბუკ-ნაღაროდ სთესს, უბუკ-ნაღაროდ მკის. კოკისებურ, შხაპუნა ნიაღვარს-კი არა ჰგავს, რომ მთა და ბარი თან წაიღოს, მოარღვიოს, მოღაროს და მოგრაგნოს, „მდუმარე წვიმისაებრ ნაყოფის გამომცემელია“. არც ბევრმა იცის, არც ძარცვა. ეს მის ბუნებაში არა სწერია, თუ თითონ ადამიანმა გესლი ულმობელის სიხარბისა შიგ არ ჩააწვეთა, ბუნება არ მოუწამლა, არ მოუშხამა. ეს ომი შრომისაა, და ვითარცა შრომა – პატიოსანია, ნამუსიანია, და ისეთივე თავმოსაწონებელი, თავ-გამოსაჩენი, როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო. ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზედ. ვაჟკაც გულადზე მშრომელი სამი გაფრენით მეტიაო, – იტყოდა გლეხკაცი თავისებურად ზედგამოჭრით, თუ მართალს ათქმევინებთ. რა გლეხკაცი! თითონ დღევანდელი დღე ამას გვეუბნება, ამას ჰღაღადებს და ჩვენ გვესმის კი ეს ღაღადი?

* * *

ამოვიკითხავთ წიგნებიდამ რაღაცას და გვგონია, ეს-ეს არის ქვეყნის ღერძს ხელი ჩავკიდეთო. ქვეყანაზე ბევრი რამ არის უწიგნოდაც ნასწავლი, ამაებსაც ცოდნა უნდა. ჩვენ კი აღარც იქით ვიხედებით, აღარც აქეთ. რაკი წიგნი ხელთ გვიპყრია, თითქო ჭკუა, თუ არ წიგნში, სხვაგან აღარსად იყოს.

* * *

არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდამ გამოხედვა. უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა და მარტო წიგნითაც საკმაოდ გრძელი არ არის. უკადრისობად მიგვაჩნია ჭკუა უწიგნო ტყაპუჭქვეშაც ვიგულვოთ. ჩვენ ვთაკილობთ და არა გვჯერა, რომ ყველა გონიერი კაცი, თუნდ უწიგნოც, ზოგჯერ მწიგნობარისათვისაც კი ოსტატია.

* * *

ბავშვის ბუნება საიდუმლოთა საიდუმლოა. ბავშვი იგივ ადამიანია და მით უფრო ძნელი საცნობელია, რომ ძნელ წასაკითხ ქარაგმით დაწერილია, თუ ესე ითქმის, და არა სხვილ და სრულ ასოებით, როგორც დამთავრებული კაცი. არ უნდა გვიკვირდეს, რომ რასაც დიდ მდინარეში ვპოულობთ, იმას მის სათავეშიაც ვხედავთ. ბავშვი სათავეა, დასაწყისია დიდი ადამიანისა.

# ალსრულდა უკვე!

***ვუძღვნი ილია ჭავჭავაძის ხსოვნას***

კაცო ქებულო, კაცო რჩეულო,
ერის დიდებავ და სამკაულო,
წმინდანო, მკვდარიც ხარ უჩვეულო,
ქართველის გულში გამზირს პოულობ!..

ქართლის ცხოვრებავ, ერის სიკეთევ,
საქებარო და სასიქადულო,
აზრით სიკვდილის დღემდე იმეფე,
ერის სიცოცხლევ და სიხარულო!

ბნელში გამოჩნდი, როგოც ვარსკვლავი
და გაანათე ქართლი მზესავით,
შენ, მატიანეს გადამმარცვლავი
და თვითშეგნების ხალხში მთესავი.

ყვარლის მთებიდან ქართლს მიანათე,
რომ მოგეტანა დღე სანატრელი.
და ბრწყინავ შენი ქართლიანადა,
ტირიფიც შენზე მღერს ტანაყრილი...

ცით დანიშნულო ერის წინამძღვრად,
ერის ნაშობო, ერის გაზრდილო,
ერის ცხოვრებას ენით ვინ ამღვრევს,
ან საქმით ვის სურს, ერი დაჩრდილოს...

შენ მყის იქა ხარ ერის მოსარჩლედ,
ერის ზვარაკი შესაწირავი,
როცა მორჩენა უნდა მოსარჩენს,
გმირნი სიცოცხლეს ასე სწირავენ...

დატოვე ყვარლის ბუდე-საბადი
და საქართველოს შემწედ გამოხველ,
დღეს, სიყვარულის გვიდევს საბაბი,
რომ სიტყვა შენი იყო განუხრელ...

ასრულდა უკვე: მოკვდი ილია,
„მაგრამ კი ისე, რომ შენი კვალი,
ნახეს მათ, ვინცა შენს უკან ვლიან,
თქვეს: აღასრულა მან თვისი ვალი“.

**ირაკლი (ილია) შაიშმელაშვილი**

# ყვარელი – ილიას აკვანი



1911 წელს კახეთში სტუმრობისას, საქართველოს ბულბულსა და დიდ მგოსანს აკაკი წერეთელს უთქვამს, რომ კახეთი ბეთლემია საქართველოსი, რადგან აქ ილია ჭავჭავაძე დაიბადაო!

ნიშანდობლივია და მეტად საამაყო, რომ განგების ძალამ და მადლმა სწორედ ყვარელს არგუნა წილად ყოფილიყო დიდი ილიას დამბადებელი და აკვნის დამრწევი. ყველა ერს აქვს თავისი წმინდათა-წმინდა ადგილი – დიდ წინაპართა ნააკვნარი, რომელსაც დიდი მოკრძალებით ეთაყვანება. ჩვენთვის და ყველა ჭეშმარიტი ქართველისათვის ასეთი წმინდა ადგილია ყვარელი, სადაც 1837 წლის 28 ოქტომბერს დაიბადა გენიალური მამულიშვილი, ერის სულიერი მამა და უანგარო ჭირისუფალი, საქართველოს უგვირგვინო მეფე – დიდი ილია, წმინდა ილია მართალი!

როგორც ილია ჭაჭავაძის მემორიალური მუზეუმის ყოფილი დირექტორი, ცნობილი პოეტი ილო ბეროშვილი აღნიშნავდა – „თუ მე-18 საუკუნეში ბედი ქართლისა ერეკლე მეორის ხმლის ვადას ეყრდნობოდა, მე-19 საუკუნეში ქართლის ბედი ილია ჭავჭავაძის კალამს დაეყრდნო“... ამ სიტყვების ჭეშმარიტების დასტურად გამოდგება გენიალური ვაჟა-ფშაველას სიტყვები: „მთელი ორმოცდაათი



წელი ილიამ საქართველოს ბედი კალთით ატარა, იყო მისი დარაჯი, როგორც დედა ერთადერთი ჩვილისა“, ანდა დიდი მასწავლებლის იაკობ გოგებაშვილის ცნობილი გამონათქვამი: „იქნება არც ერთ მსოფლიო გენიოსს არ ჰქონდეს იმოდენა მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამოდენადაც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსათვის!“

რა თქმა უნდა გენიოსები სხვაგანაც იბადებიან, მაგრამ სადავო არ უნდა იყოს, რომ პიროვნების ჩამოყალიბებაზე დიდ გავლენას ახდენს ის გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურულ-ეთნოგრაფიული გარემო, სადაც იგი იშვა და აღიზარდა, რამდენადაც ვაჟა-ფშაველას სიტყვებით – „ფესვები მწერლისა მის სიყრმეშია გართხმული... სიყმაწვილის შთაბეჭდილებანი უკვდავია ადამიანის გულში საერთოდ, მითუმეტეს ნიჭიერი ადამიანისა და ნიჭის სათავე და დასაწყისიც სწორედ იქ არის“.

სწორედ ყვარელია ის მადლიანი „ადგილის დედა“, რომელმაც ასეთი ღვთიური ძალმოსილება და ნიჭი დაანათლა ღმერთკაცს. სწორედ „ყვარლის თავგვირგვინიანი მთები, ატეხილი ჭალები, ღვართქაფიანი დურუჯი და დარბაისელი ალაზანი აძლევდნენ ბანს იმ ქართველ დედას, რომელსაც ჭავჭავაძიანთ სამასწლიანი კაკლის ჩეროში ედგა ჩვილი ილიას აკვანი. აკი იმ მთებმა დაანათლეს თავიანთი დიდბუნებოვნება, აკი ალაზანმა უბოძა სიდარბაისლე და შეუპოვრობა, ხოლო მღელვარება და მქუხარება ბობოქარმა დურუჯმა“ (ილო ბეროშვილი).

ყვარლის მიწაზე დიდი ილიას დაბადება შემთხვევითი მოვლენა რომ არ იყო, ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ ყვარლის რაიონი არაერთი გამოჩენილი პიროვნებისა და ცნობილი მამულიშვილის სამშობლოა. ყვარელმა მისცა თეატრალურ სამყაროს ჯადოქარი შემართების ხელოვანი, ქართული თეატრის რეფორმატორი კოტე მარჯანიშვილი, ქართული თეატრის მშვენება მაკო საფაროვა-აბაშიძისა, პუბლიცისტი არჩილ ჯორჯაძე, ქართული კულტურის დიდი მოამაგე და დიდი საზოგადო მოღვაწე ლადო აღნიაშვილი, გამოჩენილი ქართველი რეჟისორი ვახტანგ ტაბლიაშვილი, კინოსა და თეატრის ცნობილი მსახიობები თამარ ჭავჭავაძე და დოდო ჭიჭინაძე, მხატვრები ვალერიან სიდამონ-ერისთავი და ვახტანგ ჯაფარიძე, მწერალი ილია ზურაბიშვილი და სხვანი. წარსულში ყვარლის რაიონში, კერძოდ კახეთის სატახტო ქალაქ გრემში მოღვაწეობდნენ ისეთი დიდი ცნობილი ისტორიული პიროვნებები, როგორიც იყვნენ აღორძინების ხანის მეფე-პოეტი თეიმურაზ პირველი, მისი დედა და კახეთის დედოფალი ქეთევან წამებული, მეფე-პოეტი არჩილი.

ყვარელში ყოველთვის დუღდა შემოქმედებითი ცხოვრება. თითქმის რვა ათეულ წელს ითვლის ილია ჭავჭავაძის მემორიალური სახლ-მუზეუმი, ქართველი ერის წმინდა ადგილი, სალოცავი და მისი ბეთლემი. აქვე ფუნქციონირებს დიდი ქართველი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის სახელმწიფო მუზეუმი. აღსანიშნავია აგრეთვე გრემ-ნეკრესის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელიც გრემის ცნობილ ციხე-დარბაზშია განთავსებული.

ყვარელი, ისევე როგორც კახეთი და სრულიად საქართველო, ვაზისა და ღვინის უძველესი კულტურის მქონე რეგიონია. ამის დასტურია დღემდე შემორჩენილი უძველესი მარნებისა და საწნახელების ნაშთები, ღვინის მრავალფეროვანი ჭურჭელი, უზარმაზარი ქვევრები, რომლებიც ჩვენს ერამდე III-II ათასწლეულებს განეკუთვნება. ვაზი დღესაც მთავარი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა და ვენახია სწორედ ყვარლელი კაცის შემოსავლისა და არსებობის ძირითადი წყარო. მთელ



მსოფლიოშია ცნობილი და განთქმული ყვარლის მიწაზე მოწეული რქაწითელისა და საფერავის უნიკალური ღვინოები – „ქინძმარაული“, „ალაზნის ველი“, „ყვარელი“ და სხვა, ქართული კონიაკები „ენისელი“ და „გრემი“.

საუკუნეთა ქარ-ცეცხლში ყველას და ყველაფერს ჰქონია როგორც მძიმე, ისე ნათელი პერიოდები. თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ყვარელს ჰქონდა როგორც დაცემის, ისე აღზევებისა და აყვავების პერიოდები. მაგრამ რაც არ უნდა მომხდარიყო, ყვარელი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, როგორც აღმოსავლეთის კარიბჭე, ყოველთვის ღირსეულად ასრულებდა ქვეყნის საზღვრების დაცვის უპირველესი ფორპოსტის როლს, რომელსაც არაერთგზის განუცდია აოხრება მტრის ურდოებისაგან, მაგრამ ყოველთვის ახერხებდა ფენიქსისებურად აღდგენას ფერფლისაგან და თავისი ისტორიული მისიის შესრულებას.



ბოლოს კი თვით ისტორიამ და განგებამ ყვარელს არგუნა საპატიო და მარადიული მისია – ყოფილიყო დიდი ილიას დამბადებელი და აკვნის დამრწევი, რამაც ჩვენს პატარა ქალაქს საქვეყნოდ გაუთქვა სახელი!

**ალიმან ლაფაჩიშვილი**

# ყველაფერი კარგი და ახალი ბაგა-ბაღების აღსაზრდელთათვის



*ახალი ენერგიით და შემართებით დაიწყეს ახალი სასწავლო წელი რაიონის სკოლამდელმა დაწესებულებებმა. როგორი გარემო პირობები შექმნეს და როგორ განახლდა ბაგა-ბაღები დგამ-ავეჯითა თუ კვების თვალსაზრისით, და საერთოდ რა მდგომარეობაა დღეისათვის, ამაზე ვესაუბრეთ რაიონის ბაგა-ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელს, ქალბატონ მაია სამიტაშვილს.*

**– მაია, პირველ რიგში გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას, რა პირობებში მოუწევთ მათ მუშაობა, გართობა და დასვენება?**

– დიდი მადლობა მოლოცვისათვის, ბაგა-ბაღებში სასწავლო პროცესი განახლდა 17 სექტემბერს, ბევრი სიახლე გვაქვს დაგეგმილი, აღსაზრდელებს მოუწევთ მრავალფეროვან, ჯანსაღ და საუკეთესო პირობებში ყოფნა.

**– რა მდგომარეობაა რაიონის ბაგა-ბაღებში, რა არის ახალი.**

– მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 22 საბავშვო ბაგა-ბაღი და 3 ალტერნატიული ბაღი არაეთნიკური მოსახლეობისათვის: სარუსოში, თივში და ჩანტლისყურეში. ამჟამად მიმდინარეობს სრული რეაბილიტაცია ყვარლის №3, ახალსოფლის №1 და გრემის საბავშვო ბაღებში. ყველა საბავშვო ბაღი გაზიფიცირებულია, ხოლო 8 ბაღში გვაქვს ცენტრალური გათბობა. რამოდენიმე ბაღში გაიხსნა სპორტული დარბაზები ძიუდო კიდსი, რაც დადებითად აისახება ბავშვების სპორტულ-გამაჯანსაღებელ მდგომარეობაზე. იანვრიდან თანამშრომლებს ხელფასი გაეზარდათ 20 %. სიახლეა ასევე ისიც, რომ წელიწადში ორჯერ ეწყობა მშობლებთან შეხვედრა, – აღმზრდელების და გაერთიანების ხელმძღვანელობის მიერ ხდება ანგარიშის წარდგენა მიმდინარე სასწავლო პროცესის, თუ რა გაკეთდა ბავშვებისთვის.

**– ვიცით, რომ ზოგიერთი ჯგუფი გადატვირთულია ბავშვებით და არ აქვთ საშუალება ნორმალური დასვენების, კვების თუ გართობის მხრივ. ასეა? პრობლემებიდან თუა გამოსავალი, ან თუ მიიღეთ ზომები.**

– სხვა წლებთან შედარებით მოიმატა ბავშვების რაოდენობამ, თუმცა, მიუხედავად ამისა, ბავშვებს აქვს ნორმალური კვების, გართობის და დასვენების საშუალება, გამონაკლისია მხოლოდ გავაზის საბავშვო ბაღი, სადაც მოქმედებაშია 4 ჯგუფი და დაგეგმილია მეხუთე ჯგუფის დამატება.

**– ახალი დგამ-ავეჯით თუ მომარაგდა ბაგა-ბაღები.**

– ყოველწლიურად ვყიდულობთ სკამებს აღსაზრდელებისათვის, ასევე ყველა ბაგა-ბაღს შევუძინეთ საოფისე სკამები, მაცივრები, გაზქურები, ხოლო ყვარლის №2 ბაგა-ბაღს შევუძინეთ ჭურჭლის კარადები ჯგუფებისათვის. წლის ბოლოსთვის დაგეგმილი გვაქვს შევიძინოთ საბავშვო ხის მაგიდები თავისი სკამებით და ასევე აღვჭურვოთ ბაღები კომპიუტერებით, რათა კომუნიკაცია და ინფორმაციის მიწოდება უფრო სრულყოფილი გავხადოთ. ყოველწლიურად კეთდება სასმელი წყლის მიკრობიოლოგიური ანალიზი.



ცოტა ხნის წინ ბაღებს გადავეცით 10000 ლარის ღირებულების სამზარეულოს აქსესუარები (ქვაბები, კონტეინერები, ვედროები, ტარპები, დანების ნაკრები, ჩაიდნები, საპურეები, ჭურჭლის საშრობები, სათქვეფები, ბოსტნეულის სახეხი, თუშფალანგი, საჭრელი დაფები, სინები და ა.შ.) ყოველწლიურად ვიძენთ სათამაშოებს ხარისხის სერთიფიკატით და ასევე ვიძენთ წიგნებს ყოველთვე.

**– კვების თვალსაზრისით რას გვეტყვით, რამდენად განახლდა მათი რაციონი და რამდენად დაცულები არიან ისინი სანიტარიული მდგომარეობის მხრივ.**

– გაუმჯობესების თვალსაზრისით გვაქვს დიდი სიახლეები კვებაშიც. ქათამი შეიცვალა ქათმის ფილეთი, ძროხის ხორცი შედის მხოლოდ რბილი და ეს ყველაფერი ახალი დაკლული, გაუყინავი. ყველი შეიცვალა სულგუნით. გაუმჯობესდა კარაქის და შედედებული რძის ხარისხიც. გამკაცრებულია უსაფრთხოების ზომები, შევიძინეთ ცეცხლმაქრები და გადავამზადეთ პერსონალი, ასევე იკეტება ბაღის კარები ბავშვების გაყვანამდე.

ყვარლის ბაგა-ბაღები გადამოწმებულია სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ, – არცერთ ბაღში არ დაფიქსირებულა სავალალო მდგომარეობა და არ დახურულა ბაღი: რა თქმა უნდა, მოგვცეს მითითებები და ყველაფერი გავითვალისწინეთ და გამოვასწორეთ. ჩვენმა მზარეულებმა, მზარეულის თანაშემწეებმა, კოორდინატორებმა და ექთნებმა გაიარეს ტრენინგი ჯანსაღ და უსაფრთხო კვებასთან დაკავშირებით და გადაეცათ სერთიფიკატები, ასევე შევუძინეთ მზარეულებს, მზარეულის დამხმარეებს, მნეებს და ექთნებს – ფორმები.

**– პედაგოგთა ახალი კადრებით დაკომპლექტების თაობაზე რას გვეტყოდით?**

– 2019 წლის იანვრიდან იგეგმება მეთოდისტების და აღმზრდელების გადამზადება, რათა ამაღლდეს განათლების ხარისხი, როგორც აღმზრდელებში ასევე აღსაზრდელებში. ახალი კადრების შერჩევა მოხდება ტრენინგის შედეგად ჩატარებული ტესტირების გავლის საფუძველზე.

**– ზამთარი კარზეა მომდგარი, როგორ შეხვდებიან წელს ჩვენი ბაგა-ბაღების აღსაზრდელები მოახლოებულ ზამთარს?**

– ზამთრის სიძნელეები უკვე გადალახული გვაქვს, – შეძენილი და უკვე დაბინავებულია სათბობი შეშა, რაც უზრუნველყოფს ბავშვების თბილ გარემოში ყოფნას, 8 საბავშვო ბაღი უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობით. სამომავლოდ დაგეგმილია ეტაპობრივად დანარჩენი ბაღების გადასვლა ცენტრალურ გათბობაზე.

**– მომავალში თუ იგეგმება ბაგა-ბაღების გაფართოება, თუ არის დღეს ამის საჭიროება?**

– დღეის მდგომარეობით როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ჯგუფის დამატება მოხდება გავაზის საბავშვო ბაგა-ბაღში. შემდგომში, თუ საჭიროება მოითხოვს და გაიზრდება ბავშვთა რაოდენობა, ნებისმიერ ბაღში აუცილებლად დაკმაყოფილდება ეს პირობა.

**გმადლობ.**

**ესაუბრა**
**დალი ტატულიშვილი**



# „ოქროსხელება“ ქალბატონი და გაჭირვებულთა იმედი



წელიწადის ყველა დროს ლამაზია ილიას კალმით ნაკურთხი ყვარელი. ახლა შემოდგომაა. ფიქრისა და მოგონებების დრო. რამდენი რამისა და ვინმეს გახსენება შეიძლება. ამჯერად გვინდა გესაუბროთ ქალზე, რომელსაც ყვარელში ყველა იცნობს. ეს ქალბატონი ქეთევან რუსიაშვილია. ყოფილი ყვარლის რაიონული საავადმყოფოს ლაბორანტი, რომელიც დღესაც აქტიურად არის ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში. ცნობილი ლაბორანტი, 53 წელია ემსახურება თავის საყვარელ საქმეს. მის მიერ გაკეთებული ანალიზები ზოგს ახარებს, ზოგს სევდიანს ხდის, მაგრამ იგი ეხმარებათ დროული გადაწყვეტილებების მიღებაში.

ქალბატონი ქეთინო ის ქალია, ყველა პაციენტის მდგომარეობა გულთან ახლოს რომ მიაქვს და ბოლომდე მისი ერთგული რჩება. ამ ყველაფრის გარდა, საუკეთესო კულინარიცაა, რომლის მიერ შედგენილი რეცეპტებიც ხშირად იბეჭდებოდა გაზეთ „ყვარელში“. მისი დინჯი საუბარი კი პაციენტს გულსაც უთბობს და სულსაც. ჩვენთან საუბარში ყოველთვის გულდაწყვეტილი საუბრობს ხოლმე სიძის უეცარ გარდაცვალებაზე, რომელიც მისთვის და მისი ოჯახისთვის და საერთოდ ყველასათვის საუკეთესო პიროვნება იყო. ვერაფერს იზამ, ცხოვრება გრძელდება.

მისი თაობის ადამიანებს კარგად გვახსოვს ქეთინოს მოღვაწეობა ისეთი ცნობილი ექიმების გვერდით, როგორებიც იყვნენ: ლილი ჩიტრეკაშვილი, ალექსანდრე გამსახურდია, ვალიკო რუსიაშვილი, დავით კანდელაკი, ტელმან პიტიურიშვილი, გაიოზ ბახუტაშვილი და სხვები. ისინი ენდობოდნენ ნიჭიერსა და შრომისმოყვარე ლაბორანტს, რომელიც, ასაკის მიუხედავად, დღესაც დიდი რუდუნებით ემსახურება თავის საყვარელ საქმეს.

ქეთევან რუსიაშვილი პირველი კატეგორიის ლაბორანტია, სოციალისტურ შეჯიბრებებში სამგზის გამარჯვებული, შრომის ვეტერანის მედლებით დაჯილდოებული. იგი გაჭირვებულთა იმედია. ალბათ ამიტომ არის, რომ მასთან შეხვედრით არამარტო ყვარლელებს, არამედ სხვა რაიონის მცხოვრებთაც. ამ ქალბატონის პიროვნება ამჯერად გვინდა, სხვა კუთხითაც გაგაცნოთ. მის ეზოში შესული ადამიანი არ შეიძლება გაოცებული არ დარჩეს. ეზო ბოტანიკურ ბაღს წააგავს. 100-მდე სხვადასხვა ჯიშის ყვავილი შეგხვდებათ. აქ ყველა სათუთად არის მოვლილი. ჩვენს კითხვაზე: როგორ ახერხებს იგი ამას, მან დინჯად გვიპასუხა: მათი მოვლა მამშვიდებს და ენერგიასაც მმატებს.

კიდევ უფრო გაოცებულნი დავრჩით, როცა ვიხილეთ მისი ხელით შესრულებული ნაქარგები და ნაქსოვები. ყურადღებას იპყრობს მათი ნაირფეროვნება. აქ შეხვდებით ქრისტე ღმერთის, მარიამ ღვთისმშობლისა და მშვენიერი გედების ნაქარგებს. აგრეთვე საოჯახო სუფრებისა და საწოლის გადასაფარებლებს, ქალის ნაქსოვ ტანსაცმელს. გამოფენაზე მოთავსებული ეს ნამუშევრები ხიბლავდა მნახველს.

ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. ამ „ოქროსხელება“ ქალბატონთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ნამუშევართა უმეტესობა საბერძნეთშია შესრულებული.

ჩვენი ქვეყნის გაუსაძლისმა ყოფამ ეს ქალბატონიც მოსწყვიტა ოჯახს და ემიგრანტად აქცია. უვლიდა მოხუცს და კვირაში რამდენიმე დღე ბულგარელი ექიმის კერძო კლინიკაში მუშაობდა ლაბორანტად, სადაც აკეთებდა როგორც ბიოქიმიურ, ისე საერთო ანალიზებს. უჭირდა სამშობლოსა და ოჯახის გარეშე ყოფნა. ამას ემატებოდა ჯანმრთელობის პრობლემებიც და ხშირად უძილოდ ატარებდა ღამეებს. სწორედ ასეთ დროს იქმნებოდა ეს საოცარი ნაქარგები და ნაქსოვები.

ოპტიმიზმით, თავდაუზოგავი შრომით, რწმენითა და სიყვარულის უნარით გაუძლო ქალბატონმა ქეთევანმა სამშობლოსა და ძვირფასი ადამიანების გარეშე საქართველოს ფარგლებს გარეთ მძიმე გარჯის უღელს. მონატრება იყო მისი მარჩენალიცა და მხსნელიც. დღეს იგი წუხს იმის გამო, რომ იგივე მდგომარეობაშია საბერძნეთში მყოფი მისი ერთადერთი ქალიშვილი – ეკა. ნატრობს, ისეთი მდგომარეობა შეიქმნას ჩვენს ქვეყანაში, რომ საზღვარგარეთ აღარ გარბოდნენ ქართველები.

როცა ქეთევანთან მივედით, იგი სამზარეულოში ფუსფუსებდა. ახლა შემოდგომაა და ვცდილობ, შვილები და შვილიშვილები ზამთრისთვის მოვამარაგო. მარტოდ მცხოვრები დედა-ბებია ავადმყოფობის მიუხედავად მაინც მათზე ზრუნავს.

აფერუმ შენს ქალობას ჩვენო ქეთევან, დაე, უმრავლოს ჩვენს ქალაქს ასეთი ქალბატონები, რომლებიც ქვეყნისა და ოჯახის ბურჯად იქცნენ, რომლებმაც მტკიცედ გაუძლეს დროის სრბოლას და დღეს უკეთეს მომავალზე ფიქრით ცხოვრობენ.

**ზეინაბ ჭიჭიკოშვილი,**
**დალი ტატულიშვილი**

# რა სერიოზული საფრთხე შეიძლება შეგვიქმნას ჩვეულებრივმა პურმა?

პური, ყველამ კარგად იცით, რომ ერთადერთი აუცილებელი პროდუქტია, რომელსაც ყველა ჩვენთაგანი ყოველ დღე მიირთმევს. პური ცილების, ნახშირწყლების, მინერალური ნივთიერებების, ვიტამინების (უმთავრესად ჯგუფის), ბალასტური ნივთიერებების (უჯრედისი) წყაროა. დარწმუნებული ვარ, რომ ყველა თქვენგანი მასში სწორედ სარგებელს ხედავს და ვერ აღიქვამს თუ რა უდიდესი საფრთხე შეიძლება მოგვიტანოს მან. ალბათ ხშირია შემთხვევები, როდესაც პოლიეთილენის პარკიდან ან პურის სპეციალური შესანახი კონტეინერიდან გამოგაქვთ ეს პროდუქტი და მისი რომელიმე მხარე ან ქერქი მომწვანო, მოლურჯო, მოყვითალო, მოთეთრო ან მოშავო წეტილებითაა დაფარული. კარგად ხვდებით, რომ ის იწყებს დაობებას, გადაგდება კი მაშინ, როცა ეს უკანასკნელი დღეს ასე ძვირია, გვენანება, ვაჭრით მას მხოლოდ ამ დაობებულ კუთხეს და ვიყენებთ საკვებად, ვინაიდან ვთვლით რომ შეიცავს პენიცილინს და ის კი სასარგებლოა, თუმცა ცდებით, რაკიღა ეს პროდუქტი დაობდა, ე.ი. დაკარგა მან ყველა ღირებული და სარგებელი თვისება. ნურასოდეს მოაჭრით პურს მხოლოდ დაობებულ ადგილს და ნუ გამოიყენებთ საკვებად სხვა დანარჩენს თუ კი ხედავთ, რომ სხვა ნაწილი ჩვეულებრივად გამოიყურება, ეს დასკვნაც მცდარია, რადგან პურმა იწყო დაობება, ე.ი. ობის უხილავი მავნე ნივთიერებები ფესვებივით აქვს მოდებული მთლიან პურს, რაც თქვენს ჯანმრთელობას მხოლოდ ზიანს მოუტანს და არანაირ სარგებელს...

რა მოხდება თუ კი შევჭამთ ობიან პურს? ობიანმა პურმა შესაძლოა მრავალი ზიანი მიაყენოს ჩვენს ჯანმრთელობას: 1. ობიან პურთან შეხებისას შესაძლოა მან გამოიწვიოს ალერგია, რაც გამოიხატება კანზე შეშუპებით, გამონაყარითა და ქავილით; 2. არასოდეს უსუნოთ ობიან პურს, რადგან ობის სპორები ხვდება სასუნთქ გზებში და იწვევს მათ დაავადებებს; 3. თუ კი შეჭამთ ობიან პურის, ის გამოიწვევს თავის ტკივილს, ღებინებას, დაღლილობას; 4. ობიანი პურის საკვებად გამოყენება, ასევე მოქმედებს ღვიძლზე, ნერვულ სისტემაზე, არღვევს ჰორმონალური სისტემის რეგულაციას და ასუსტებს იმუნიტეტს.

თუ შემთხვევით მიიღეთ დაობებული პური და გამოიწვია ინტოქსიკაცია, გაქვთ თავის ტკივილი და ღებინება ან სხვა მახასიათებელი სიმპტომი, მიიღეთ ნახშირი, გამოირეცხეთ კუჭი და მიიღეთ ბევრი სითხე.

იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ამ სასარგებლო და აუცილებელი პროდუქტის მომწამვლელად გადაქცევა, არ შეინახოთ პოლიეთილენის პარკში, ვინაიდან პარკში წარმოიქმნება მაღალი ტენიანობა და ხელს უწყობს მის დაობებას. შეინახეთ მომინანქრებულ, ხის და სხვა სპეციალურ შესანახ კონტეინერში, რომელსაც 10 დღეში ერთხელ თბილი წყლით გაასუფთავებთ. ასევე იმისათვის, რომ დაობება ავიცილოთ თავიდან, პურთან ერთად ჩადეთ მარილი, რომელიც შთანთქავს ტენს. არ შეინახოთ ერთად ჭვავისა და ხორბლის პური, რადგან ტენიანობა სხვადასხვა აქვთ, ჭვავის პური ადვილად ობდება და შესაბამისად დააობებს ხორბლის პურსაც.

intermedia.ge

## ი ს ტ ო რ ი ი ს ფ უ რ ც ლ ე ბ ი დ ა ნ

# შილდაში, პირველი საერო-საგანმანათლებლო კერის დაარსებიდან 150 წელი შესრულდა



შილდას, როგორც დასახლებულ პუნქტს, მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს და ეს ფაქტი არაერთი დოკუმენტური მონაცემებით დასტურდება. ამჯერად გვინდა მკითხველის ყურადღება მივაპყროთ იმ გარემოებას, რომ ეს სოფელი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი მაღალი კულტურითა და განათლებისადმი სწრაფვით. ისტორიული ფაქტებით დადასტურებულია, რომ ძალზე დიდ საგანმანათლებლო და კულტურულ მოღვაწეობას ეწეოდნენ ნეკრესის მონასტრის მღვდელმთავრები, რასაც არ შეიძლებოდა დიდი გავლენა არ მოეხდინა სოფელზე და მის მოსახლეობაზე.

ჯერ კიდევ აბიბოს ნეკრესელმა მე-6 საუკუნეში, ნეკრესის მონასტერში შექმნა სკოლა, რაც თავისთავად იმ დროის უმნიშვნელოვანეს მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. ალბათ ეს იყო ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯი. თუმცა, ისტორიული ბედუკუღმართობის გავლენით მან შემდგომი განვითარება ვერ ჰპოვა. მხოლოდ მოგვიანებით, მე-18 საუკუნეში, დოსითეოზ ნეკრესელი (1798-1794 წ.) თავის ეპარქიაში ხსნის პირველ დაწყებით სკოლებს, რომელთა მიმართ დიდ მზრუნველობას იჩენდა და თავადაც შესანიშნავ აღმზრდელად ითვლებოდა. მის შემდეგ უკვე ამბროსი ნეკრესელმა შექმნა მჭერმეტყველების სკოლა (1794-1812 წ.წ.), რომელიც შილდაში ფუნქციონირებდა. თუმცა 1812 წელს, კახეთის აჯანყების შემდეგ, აღნიშნული სკოლა, რომელიც შილდის ღვთისმშობლის ეკლესიაში იყო განთავსებული, რუსეთის მთავრობამ დახურა.

ამის შემდგომ, ათეული წლების განმავლობაში, შილდაში საგანმანათლებლო კერა აღარ არსებობდა. თუმცა სახალხო განათლების განვითარების საკითხი თავისთავად დააყენა დღის წესრიგში კაპიტალიზმის დამკვიდრება-განვითარების პროცესმა, რაც ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ განვითარდა (1864 წ.). ამ პერიოდში საზოგადოებრივ ასპარეზზე უკვე გამოსული იყო ქართველ სამოციანელთა (თერგდალეულთა) პროგრესულად მოაზროვნე თაობა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, რომელმაც თავისი მოღვაწეობა საგანმანათლებლო საქმიანობით დაიწყო. რად ღირს თუნდაც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ქართველი ერის ისტორიაში. ამ პეროდში პროგრესულ მოღვაწეთა თაოსნობითა და ძალისხმევით იხსნება და ფართოვდება დაწყებითი სკოლების ქსელი. ზემოთ აღნიშნული საეკლესიო სასწავლებლებისაგან განსხვავებით, ეს იყო პირველი საერო სკოლები.

საინტერესოა, რომ ასეთი დაწყებითი სკოლა 1868 წელს შილდაშიც გაუხსნიათ და მისი პირველი მასწავლებელი ყოფილა დიმიტრი აღნიევი (აღნიაშვილი). ამას გვამცნობს გაზეთ „დროების" 1868 წლის 29 ნოემბრის ნომერი და ადასტურებს გაზეთი „ივერიაც", რომელიც 1890 წლის №12-ში წერდა, რომ შილდაში (თელავის მაზრა) უკვე 22 წელიწადია, რაც სასოფლო სკოლა არსებობსო. სამწუხაროდ ისტორიაში არ არის შემორჩნილი იმათი ვინაობა, თუ ვისი თაოსნობით იქნა ეს სკოლა დაფუძნებული. არც ისაა ცნობილი, თუ რამდენ ხანს იარსება ამ სკოლამ. რაც შეეხება მასწავლებელ დიმიტრი აღნიევს (აღნიაშვილს), ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, რომ იგი ადგილობრივი კადრი იქნებოდა, რამდენადაც აღნიაშვილები შილდის უძველესი მკვიდრნი არიან.

ცნობილია ისიც, რომ 1900 წელს გლეხთა სამკლასიანი სკოლის მასწავლებლად უმუშავია ვინმე გ. კირვალიძეს. (სხვათა შორის, აღნიშნულ სამკლასიან სკოლაში უსწავლია 1907-1910 წლებში ჩემს ბებიას – მაგდანა დეკანოზიშვილს, მისივე ნაამბობის მიხედვით).

უკვე საბჭოთა ხელისუფლების წლებში შილდაში იხსნება ოთხწლიანი (დაწყებითი) სკოლა, მის პარალელურად კი ფუნქციონირებდა გლეხთა ახალგაზრდობის შვიდწლიანი სკოლა, ხოლო 1940 წლისათვის უკვე ათწლედი მოქმედებდა, სადაც სოფლის ახალგაზრდობა სრულ საშუალო განათლებას იღებდა.

დღეისათვის სოფლის ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საპატიო და საპასუხისმგებლო მისიას ორი საჯარო სკოლა ახორციელებს. მათ შორის უძველესი და მთელი რაიონის მასშტაბით ძალზე პრესტიჟული შილდის I საჯარო სკოლა, მრავალი თაობის (მათ შორის ჩემიც) აღმზრდელი და ცხოვრების გზაზე დამყენებელი.

მთელი ჩემი ზემოთ მოყვანილი ისტორიული წიაღსვლები ერთადერთ მიზანს ემსახურება – ეს გახლავთ დადგენა თარიღისა, თუ როდიდან ჩაეყარა საფუძველი სოფლის ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის უმნიშვნელოვანეს პროცესს. ჩემი ღრმა რწმენით ამ თარიღის ათვლა უნდა დავიწყოთ შილდაში პირველი საერო დაწყებითი სკოლის დაარსებიდან – 1868 წლის ნოემბრიდან. წელს ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენიდან საიუბილეო 150 წლისთავი სრულდება.

იმ პირველი დაწყებითი სკოლის დაარსების შემდგომ მრავალი პროცესი განვითარდა. ხაზგასასმელია, რომ ეს პროცესი არ შეწყვეტილა, თანდათანობით ვითარდებოდა დროისა და ეპოქის შესაბამისად და დღეისათვის მიიღო ის ფორმა, რაც სახეზე გვაქვს. ბევრი რამ შილდელი ახალგაზრდობის სწავლა-განათლების ამ 150 წლიანი ისტორიიდან, რა თქმა უნდა, ცნობილი არ არის, მაგრამ ცნობილია ის, რომ განათლების კერები და პედაგოგიური კოლექტივები ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ და შილდაში მრავალი ღირსეული თაობა და ასევე მრავალი დიდად განსწავლული და საამაყო პიროვნება აღიზარდა!.

მადლობა მოვიხადოთ ყველა მასწავლებლის წინაშე, დაწყებული 1868 წლიდან, ვისაც მომავალი თაობისათვის წიგნისა და ცოდნის სიყვარული ჩაუნერგავს და დღესაც მოვალების გრძნობით ასრულებენ პედაგოგისა და აღმზრდელის ღვთიურ მისიას.

მივესალმები შილდის ორივე საჯარო სკოლის პედაგოგიურ კოლექტივებს. ყველას გულით ვულოცავ შილდაში პირველი საერო საგანმანათლებლო დაწესებულების – პირველი სკოლის დაარსებიდან 150 წლის იუბილეს. დაე, უფალი იყოს თქვენი შემწე და თანამდგომი დაკისრებული მისიის პირნათლად შესრულებაში!

**ალიმან ლაფაჩიშვილი,**
**შილდის I საშუალო სკოლის 1959 წლის კურსდამთავრებული**

# აღდგა „ჯვარი პატიოსანი"

ილიაობის ზეიმს იერშეცვლილი, შეძლებისდაგვარად დამშვენებული ეგებება ყვარელი. შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობის მიუხედავად რაიონის წარმოება-დაწესებულებათა და ორგანიზაციების, აგრეთვე ცალკეული ფირმების მეპატრონეთა და კერძო პირთა დახმარებით ბევრი რამ გაკეთდა დიდი ილიას ხსოვნის პატივსაცემად. მათგან აღსანიშნავია პირვანდელი სახით აღდგენილი „ჯვარი პატიოსნის" ეკლესია.

ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა რაიონის გამგეობის აპარატის ხელმძღვანელს, „ჯვარი პატიოსნის" აღდგენა-მშენებლობის საერთო ხელმძღვანელს და კოორდინატორს ბატონ ოთარ დავითაშვილს და სთხოვა ეპასუხა რამდენიმე კითხვაზე.

**– ბატონო ოთარ, როგორ დაიბადა „ჯვარი პატიოსნის" აღდგენის იდეა?**

– ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმში მუშაობის წლებში, აწ განსვენებული ბატონი ილო ბეროშვილისგან არაერთხელ მსმენია, რომ ამ ეკლესიის ეზოში იყვნენ დაკრძალული ილიას და კოტე მარჯანიშვილის მშობლები. ეკლესიას თავადების სასაფლაოდაც იხსენიებდნენ. დირექტორობის პერიოდში ბატონი ილო ბეროშვილის ოცნება იყო ამ ეკლესიის აღდგენა, მაგრამ ისე დატოვა საწუთრო, ვერ მოესწრო „ჯვარი პატიოსნის" ხილვას. მუზეუმის მრავალფეროვან მდიდარ ექსპონატებში დაცულია ილიას ეზოში სახალხო თეატრის გახსნის მასალა. 1926 წელს სახალხო თეატრის გახსნაზე მოწვეული ყოფილა კოტე მარჯანიშვილი. კოტეს უთხოვია მშობლების საფლავის ნახვა. იმ პერიოდში ეკლესია, საფლავები ისე ყოფილა გაპარტახებული, რომ დიდი რეჟისორი ძალიან განაწყენებულა და თეატრის გახსნისადმი მიძღვნილ წვეულებაზეც აღარ მისულა.

„ჯვარი პატიოსნის" აღდგენის იდეას ფრთები შეასხა რაიონის გამგეობის თავმჯდომარემ ბატონმა დავით ლაფაჩიშვილმა. მშენებლობის საერთო კოორდინაცია და ხელმძღვანელობა მე დამევალა.

**– ბატონო ოთარ, რას განიცდით, როგორც ისტორიკოსი, როცა ამ საპატიო დავალების შესრულება დაგევალათ და ახლა, როცა განახლებულ „ჯვარ პატიოსანს" უყურებთ?**

– ილიას აქვს ნათქვამი: „აღდგენა ისტორიისა, ერის გამოცოცხლება, გამომხნევებაა, აწმყოს გაგება და წარმართვაა". ამდენად „ჯვარი პატიოსნის" აღდგენა ილიას ნააზრევისა და ნაანდერძევის ფრთებსესხმაა.

**– ბატონო ოთარ! ასეთ მოკლე პერიოდში მიწასთან გასწორებული ისტორიული ძეგლის პირვანდელი სახით აღდგენა დღევანდელი გაჭირვებული ცხოვრების პირობებში მოწმობს, რომ ჩვენს ხალხში კვლავ ცოცხლობს რწმენა მომავლისა, წინაპართა ხსოვნისადმი პატივისცემა, ენთუზიაზმი. ინტერესმოკლებული არ იქნება იცოდეს ხალხმა უშუალოდ ვინ არიან ამ კეთილი ინიციატივის ფრთებშემსხმელნი.**

– როგორც უკვე აღვნიშნე, „ჯვარი პატიოსნის" აღდგენის საშვილიშვილო იდეის ფრთებშესხმა უპირველესად რაიონის გამგეობის, კერძოდ, მისი თავმჯდომარის ბატონ დავით ლაფაჩიშვილის დამსახურებაა, რომელიც რაიონის ისტორიული ძეგლების დაცვისა და განახლების ჭეშმარიტად ერთგული ქომაგია.

გამგეობამ გამონახა ფულადი სახსრები და წინაპართა ნაოცნებარიც ახდა.

ქება გვმართებს ეკლესიის აღდგენაზე მომუშავე შრომითი კოლექტივისა.

ესენი არიან: სამუშაოთა მწარმოებელი ნუგზარ უძილაური, ოსტატი ოთარ ფირანიშვილი, კალატოზები ნოე ბაგიშვილი, ჟორა და ნოდარ ხარებაშვილები, შემდუღებელი ჯუმბერ როზომაშვილი, მეარმატურე ალიკა საფაროვი, მლესავი ლევან ღანიშაშვილი, დურგალი გოჩა მეტრეველი, მუშები გელა და ვახტანგ უძილაურები, ალიკა და მალხაზ მამულაშვილები, ბესიკ ცირიკაშვილი, ბესიკ ხარებაშვილი, ნუგზარ ბერუქაშვილი, თამაზ წიწრიაშვილი, ნუგზარ პეიტრიშვილი, ზაქრო და ზაზა სეფაშვილები, ასლან ტყემალაძე.

მათი ბიჭობაა, რომ იდეა რეალობად იქცა და „ჯვარი პატიოსანი" თავისი ბრწყინვალებით წამოიმართა.

ეს შედეგია ილიას სიდიადისა, განუზომელი დიდი სიყვარულისა, სიყვარულისა ჩვენი ისტორიისადმი, ხალხისადმი, მისი წარსულისადმი.

გვიყვარდეს ერთმანეთი.

გილოცავთ ილიაობის დღესასწაულს!



# ილია ჭავჭავაძე



თბილისიდან საგურამოსკენ მიმავალს თვალნი გარემოს ხიბლით დასატკბობად ჰქონდა გამზადებულნი, რომელნიც ხარბად აღიქვამდნენ გზის პირველი მონაკვეთის სიკოხტავესა და სისადავეს, განუმეორებლობას. მთელი გზა კარგად ჰქონდა დათვალიერებული და შესწავლილი, მოსწონდა ბუნების სასწაული სილამაზე, ბევრჯერ გაუვლია ეს მანძილი, მაგრამ ყოველთვის ისე გალევდა ხოლმე მას, რომ მთა-ველის ხედების ცქერით გართული ვერც გაიგებდა ხოლმე სახლთან მიახლოებას, მაგრამ ბევრჯერ მამულის ბედკვეცილობით დაფიქრებულს, დამწუხრებულს აღარ მიუქცევია ყურადღება გარემოსათვის.

ყოველი ხე, ყოველი ბუჩქი წიწამურის გზისა ზეპირად იცოდა და რა იცოდა, რომ სწორედ წიწამურზე დაასრულებდა მიწიერ სიცოცხლეს. სწორედ ეს ხეები იქნებოდნენ მოწმენი მისი გარდაცვალებისა, მისი უკვდავი სულის ამაღლებისა ზეცად. ეს ხეები დაიგმინავდნენ მისი მუხანათური მკვლელობით, მათი ფესვები გამოიკვებებოდნენ ილიას სისხლით მორწყული ნიადაგით და აღმოაცენებდნენ ახალ ნერგებს, რომლებიც გაიფურჩქნებიან და გამრავლდებიან, გამოიღებენ ნაყოფს კეთილს, რათა ილიას ნათელი გზა არ დარჩეს უმგზავროდ.

**მერი პატარქლიშვილი**

# საინტერესო რჩევები, რომლებიც ყოფა-ცხოვრებაში გამოგადგებათ

## თუ ამ 5 კომპონენტს აღმოაჩენთ თქვენს შამპუნში, არ გამოიყენოთ ის



როგორც წესი, ხარისხიან შამპუნებში 30-მდე ინგრედიენტია და თუ არ გაგვაჩნია ქიმიის სპეციალური ცოდნა, ძნელია გავერკვეთ მათ შემადგენლობასა და სარგებლიანობაში. სწორედ ამიტომ გთავაზობთ პატარა გაკვეთილს, რომელიც დაგეხმარებათ გაარკვიოთ თუ რომელი შამპუნი გამოიყენოთ, რათა თქვენი თმა იყოს ჯანმრთელი.

1. Sodium Laureth Sulfate. (SLS) (ნატრიუმის სულფატი) მის შემადგენლობაში შედის ქაფი, რომელსაც თავდაპირველად იყენებდნენ მანქანებისა და მექანიზმების გასაწმენდად. ამ კომპონენტის ქიმიური შემადგენლობა მაღალი შეღწევადობით გამოირჩევა, რომელიც კანის მეშვეობით აღწევს სისხლში, გულში, ღვიძლსა და თვალში. ის საშიში მუტაგენური ტოქსინია და შეუძლია ჩაშალოს თქვენი სხეულის მეტაბოლური პროცესები. ნატრიუმის სულფატი ხელს უწყობს ცხიმიან თმას გამოშრობაში და პარალელურად ფიტავს თავის კანს.

2. Butylated Hydroxytoluene. (BHT) ეს ნივთიერება აფერხებს ცხიმის დაჟანგვის პროცესს ჰაერთან მოქმედების შემთხვევაში. ის ძლიერი კანცეროგენული კომპონენტია და ბევრ ქვეყანაში კოსმეტიკურ ნაწარმში მისი გამოყენება აკრძალულია.

3. Sodium Lauruulaureth Sulfate. ეს ლაურეტსულფატია, ცნობილია ასევე, როგორც ნატრიუმის ლაურილი. მწარმოებლები კოსმეტიკურ ნაწარმში მას ხშირად იყენებენ დასუფთავების თვისების გამო. ძალზედ იაფი და მავნე პროდუქტია, რომელიც მხოლოდ გადამუშავების შემდეგ გამოიყენება, თუმცა მაინც იწვევს ალერგიულ რეაქციებს, კანის ქავილსა და გამონაყარს.

4. DEA, TEA. ეს კომპონენტი ხშირად შედის როგორც ძვირადღირებული, ასევე იაფ-ფასიანი შამპუნების შემადგენლობაში. მის კომბინაციაშია ძლიერი ამიაკი, როემლიც ხანგრძლივი დროის გამოყენების შემდეგ იწვევს მავნე ტოქსიკურ ზემოქმედებას მთელს ორგანიზმზე. ასევე შეიძლება გამოიწვიოს ალერგია, თვალის გაღიზიანება და კანის სიმშრალე.

5. sodium laureth sulfate. (SLES) ეს ნივთიერება არის რბილი, ამიტომ ის ხშირადაა საბავშვო შამპუნების შემადგენლობაში. მაგრამ უნდა ავღნიშნო, რომ მისი მავნე მოქმედება ორგანიზმზე არის ხანმოკლე და არ ახასიათებს შეღწევა და დაგროვება, ამიტომ მისი გამოყენების შემდეგ უნდა გვახსოვდეს შემდეგი, რომ აუცილებლად საფუძვლიანად ჩამოვივლოთ თმაზე წყალი, რათა მისი ნარჩენები არ დარჩეს.

## 10 ნივთი, რასაც ოჯახში უბარაქობა მოაქვთ



ალბათ ბევრი თქვენგანი მიიჩნევს, რომ უბარაქობა მხოლოდ ცრურწმენაა, თუმცა თითქმის ყველას ცხოვრებაში დამდგარა „შავი ზოლების" პერიოდი, როგორც ამას რუსები იტყვიან ხოლმე (черная полоса). ამ დროს ყველაფერი ხელიდან გვიცვივა, რაღაც გეგმიურად ვერ მიდის და თავისთავად განწყობაც ფუჭდება. ვიწყებთ მიზეზების ძებნას თუ რატომ დაგვიდგა უიღბლობის პერიოდი? პასუხი კი შესაძლოა ძალიან მარტივი აღმოჩნდეს– საკუთარი ხელით შეგვიძლია უარყოფითი ენერგია და უიღბლობა ჩვენს გარშემო მხოლოდ და მხოლოდ იმ უსარგებლო ნივთებით გამოვიწვიოთ, რომლებიც სახლში გვაქვს.

იმისათვის, რომ აღდგეს ჰარმონია და გაიფანტოს ქაოსი, მოაშორეთ სახლიდან შემდეგი ნივთები:

1. „მკვდარი" ნივთები. მკვდარ ნივთებში იგულისხმება გამხმარი ყვავილები, ნიჟარები, ცხოველის ფიტულები და ა.შ. „მკვდარ ნივთებს" შეუძლიათ უარყოფითი ენერგიის გამოყოფა თქვენს სახლში, რაც შესაბამისად ნეგატიურ აურას და უიღბლობას იწვევს. ამიტომ გადაყარეთ მსგავსი ნივთები სახლიდან. რაც შეეხება ნიჟარებს კი, ხშირად გაწმინდეთ ისინი.

2. ბუნებრივი კატასტროფების ამსახველი ფოტომასალა. ეს მხოლოდ გლობალურ კატასტროფებს არ ეხება; ყველა ფერწერა, რომელიც ასახავს ძლიერ წვიმას, თოვლსა და ა.შ, არ იწვევენ დადებით ემოციებს და შედეგად აისახება ოჯახის აურაზე.

3. დაუწყვილებელი ნივთები. დაუწყვილებელ ნივთებში მაგალითისთვის გეტყვით, რომ ითვლება თუ აივანზე ინახავთ ერთ ცალ თხილამურს; წყვილიდან ერთ კედს, რომელიც ძალიან გიყვარდათ და „სუვენირად" შეინახეთ და ა.შ. ეს ყველაფერი მოისროლეთ ნაგავსაყრელზე, წინააღმდეგ შემთხვევაში უარყოფითი აურა ოჯახში მუდამ იქნება.

4. გაჩერებული საათი. გაჩერებული საათი ძალიან ცუდის ნიშანია, ამიტომ ვისაც გაქვთ ოჯახში, აუცილებლად ეცადეთ შეაკეთოთ, გამოუცვალოთ ელემენტი, მაგრამ თუ შეკეთება არ ხერხდება, აუცილებლად გათავისუფლდით მათგან.

5. გაცვეთილი ცოცხი. ნუ დაგენანებათ გაცვეთილი ცოცხის გადაგდება, წინააღმდეგ შემთხვევაში ის თქვენს ოჯახში ფინანსურ სიდუხჭირეს გამოიწვევს.

6. ფოტოები, რომლებიც არ იწვევენ თქვენში დადებით ემოციებს. აბსოლიტურად ყველაფერი, რაც კი თქვენში უარყოფით ემოციებს იწვევს, გადაყარეთ სახლიდან.

7. ყველა ნივთი, რომელიც არ გამოგიყენებიათ 3 წელზე მეტია. მსგავსი ნივთები ოჯახში ხელს უწყობს ინერტულ ენერგიას დაგროვებაში, რაც აფერხებს თქვენს გარშემო განვითარებას. ამიტომ ნუ შეინახავათ მსგავს ნივთებს თუ კი მათ არ იყენებთ და არც აპირებთ გამოიყენოთ.

8. გატეხილი მინა, სარკე... მინა და სარკე სიმბოლურად უსაფრთხოების სიმბოლოს წარმოადგენს, თუმცა თუ ის გატეხილი ან გაბზარულია, მაშინ დიდი უარყოფითი ენრგეტიკის მიზეზი ხდება. ყოველთვის ადევნეთ თვალყური ოჯახში მსხვრევად ნივთებს, რათა უზრუნველყოთ მათი სიმთელე.

9. წვრილმანი ნივთები ჯიბეებსა და ჩანთაში. როგორც ამბობენ, წვრილმანებიდან იწყება დიდი პრობლემები. ამიტომ, თუ გინდათ, რომ თქვენს ცხოვრებაში იყოს ჰარმონია, მოიშორეთ მსგავსი წვრილმანები.

10. ძველი ნივთები. ასევე უარყოფითი ენერგეტიკის მატარებელია ტანსაცმელი, რომელთაც ქალიშვილობის დროიდან და მრავალი წლის მანძილზე უმოქმედოდ ინახავთ იმ იმედით, რომ შვილებს გამოადგება, გახდებით (გასუქდებით) და ჩაიცვამთ, ა.შ. თუმცა მინდა გითხრათ, რომ ეს მოსაზრებაც მცდარია, აუცილებლად გააჩუქეთ მსგავსი ტანსაცმელი, რადგან ისინი უმოქმედობით უარყოფით ენერგიას იძენენ და შედეგი აისახება ოჯახზე.

## გავწმინდოთ სარეცხის მანქანა ობისგან

თუ შემთხვევით იგრძენით, რომ გარეცხილ სარეცხს არასასიამოვნო სუნი სდის, თუმცა ეს ფხვნილის გავლენა არ არის და ასევე შეამჩნიეთ, რომ სარეცხის მანქანის კარის დამლუქველ რეზინას შავი წერტილები გაუჩნდა, იცოდეთ რომ ეს არის შავი სოკო, რომელიც სხვადასხვა საშინელ დაავადებას იწვევს როგორც ადამიანებში, ასევე ცხოველებში.

შავი სოკო ძირითადად ჩნდება იქ, სადაც მისთვის ყველაზე ხელსაყრელი პირობებია: მაღალი ტენიანობა და სითბო. საპირფარეშო კი ერთ-ერთი იდეალური ადგილია მათი წარმოშობისთვის, შემდეგ კი ჰაერის მეშვეობით მისი სპორები ადვილად გადაადგილდება სხვადასხვა საგნის ზედაპირზე და უკვე ადვილი მისახვედრია რამხელა რისკია დავინფიცირდეთ.

სარეცხის მანქანაში მათი გაჩენის ძირითადი მიზეზია სარეცხის სისიტემატიური რეცხვა 30-40 ˚ჩ ტემპერატურაზე. აღნიშნული ტემპერატურა და ის ფაქტი, რომ ამ დროს სარეცხი მანქანის ავზი ბოლომდე წყლით არ ივსება, სწორედ იმ გარემოს იძლევა განვითარდეს სოკოების მთელი კოლონია. გარდა ამისა, სოკოების განვითარების ერთ-ერთ მიზეზია ასევე სარეცხი მანქანის არასწორად მოვლა.

როგორ გავწმინდოთ სარეცხის მანქანა ობისგან?

ამისათვის დაგჭირდებათ: ქლორი (სითხე), საწმენდი ღრუბელი ან ხელსახოცი(რომელსაც შემდეგ გადააგდებთ), რეზინის ხელთათმანები და 25 გრ ლიმონმჟავა.

1. პირველ ეტაპზე უმჯობესია ქაღალდის მშრალი ხელსახოცით (სალფეთქი) ან ღრუბლით გაწმინდოთ სარეცხის მანქანის შიგნითა განყოფილება.

2. მეორე ეტაპზე კი ქლორიანი სითხე ე.წ. ბარაბანის რეზინის მთელს ზედაპირზე დაასხით, რომელიც თვითონ გადანაწილდება მის შიგნით.

3. დახურეთ სარეცხის მანქანის კარი და დატოვეთ ასე 2 საათის მანძილზე.

4. 2 საათის შემდეგ ჩართეთ მანქანა გავლების რეჟიმზე.

5. გავლების დასრულების შემდეგ ფხვნილის უჯრაში ჩაასხით 25 გრ ლიმონმჟავა და ჩართეთ ყველაზე მაღალი ტემპერატურის რეცხვის რეჟიმი.

ამ პროცედურის შემდეგ თქვენი მანქანა იბრწყინებს. გაიმეორეთ იგივე 2-3 თვეში ერთხელ და საფუძვლიანად განადგურდება სოკო და მისი სპორები თქვენს მანქანაში. არ დაგავიწყდეთ, რომ პრევენციული მოვლა მნიშვნელოვნად ახანგრძლივებს თქვენი მანქანის მდგომარეობას და პირველ რიგში კი თქვენს ჯანმრთელობას.

## გავწმინდოთ ავტომობილის სავარძლები მარტივად

ჩვენს დღევანდელ პრაქტიკულ ცხოვრებაში ავტომობილის არსებობა ფუფუნების საგანას აღარ წარმოადგენს, მას ყველა მართავს განურჩევლად სქესისა. გარდა იმისა, რომ ის სწრაფი გადაადგილებისთვის მეტად კომფორტული საშუალებაა, მოითხოვს განსაკუთრებულ ზრუნვასა და მოვლას, რომელთა გათვალისწინება არა მარტო იცავს ავტომობილს დაზიანებისგან, არამედ აისახება გარე ფაქტორებზეც. მხოლოდ ძრავსა და კოლოფში ზეთის არსებობა, შესაბამისი სეზონის საბურავები და ჟანგები არ განსაზღვრავს ავტომობილის კარგ შეფასებასა და მდგომარეობას, ერთ-ერთი გასათვალისწინებელი ფაქტორია სუფთა სავარძლები, რომლებიც ადვილად ისვრება გარკვეული სხვადასხვა მიზეზების გამო. გამოცდილი მძღოლები კი დამეთანხმებით, რომ ქიმწმენდაში გაწეული საქმე გარკვეულ სახსრებთანაა დაკავშირებული, რომელთა უქონლობა ხშირად გვაიძულებს ვიაროთ დასვრილი ავტომობილით. მე კი დღევანდელ სტატიაში გასწავლით ერთ, მეტად მარტივ და იოლ გამოსავალს, თუ როგორ გავწმინდოთ ჩვენი ხელით ავტომობილის სავარძლები ყოველგვარი ქიმწმენდისა და დახმარების გარეშე.

**როგორ გავწმინდოთ ავტომობილის სავარძლები მარტივად?**

*ამისათვის დაგჭირდებათ:*

- თხევადი საპონი.
- ძმარი.
- გაზიანი მინერალი.

ეს ბუნებრივი, მეტად იაფი და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო ინგრედიენტები იდეალურად გაწმენდს თქვენი ავტომობილის სავარძლებს (და არა მარტო ავტომობილის). 1 ჭიქა თხევადი საპონი, 1 ს.კ. ძმარი და გაზიანი მინერალი ჩაასხით ბოთლში, შეურიეთ ერთმანეთს მძლავრად შენჯღრევით, მიასხურეთ დალაქულ ადგილებს და დააყოვნეთ 7-10 წუთით, შემდეგ კი მშრალი ღრუბლით ან ფუნჯით გაასუფთავეთ წრიული მოძრაობით. გაგიკვირდებათ როგორ ადვილად გაშორდება ლაქები თქვენ სავარძლებს.

თუ ლაქა ღრმად არის ჩამჯდარი და ერთი ცდით არ ამოშორდა სავარძლიდან, მოსინჯეთ მშრალის ნაცვლად თბილ წყალში ჩასველებული ღრუბლით და პროცედურა გაიმეორეთ ორჯერ.

იმედია ეს რჩევები გამოგადგებათ და აღარ მოგიწევთ ქიმწმენდაში ზედმეტი თანხის ხარჯვა.

## მოიშორეთ სამუდამოდ კოლო, ტარაკანა და ჭიანჭველა სახლიდან




მიუხედავად იმისა, რომ 21-ე საუკუნეა და მღრღნელები და მწერები თითქმის არ არსებობენ, არის ოჯახები, სადაც გარკვეული თუ გაურკვეველი მიზეზების გამო მაინც ვხვდებით ე.წ. ტარაკნებს, კოღოსა და ჭიანჭველას – ამაზრზენ არსებებს, რომლებიც დარბიან სამზარეულოში, საპირფარეშოსა და საძინებელში და რაც ყველაზე უარესია, აქვთ უნარი საკვების მიღების გარეშე თვეები გაძლონ. მათ მოსაშორებლად მხოლოდ ქიმიური ფხვნილი თუ აეროზოლი არსებობს, რომელიც ასევე მავნებელია თქვენი შინაური ცხოველბისა და ბავშვებისათვის, ამიტომ დღევანდელ სტატიაში მინდა მარტივი მეთოდი გასწავლოთ თუ როგორ მოვიშოროთ ისინი სახლიდან ქიმიური საშუალებების გამოყენების გარეშე, რომელიც თქვენს და თქვენი ოჯახის წევრების ჯანმრთელობას არანაირ საფრთხეს არ შეუქმნის.

1. მოაშორეთ სახლიდან ტარაკნები მარტივი ბუნებრივი საშუალებებით. ამისათვის დაგჭირდებათ 1 თავი ხახვი და საკვები სოდა – „ნატრიუმის ბიკარბონატი" 1 ჩ.კ. დაჭერით ხახვი წვრილად და აურიეთ 1 ჩაის კოვზ სოდაში, მიღებული მასა კი წაუსვით იქ, სადაც ბუდობენ ტარაკნები. თუ ერთი ცდით არ გაქრნენ ისინი თქვენი სახლიდან, გაიმეორეთ მეორედ.

2. ჭიანჭველების სახლიდან მოსაშორებლად დაგეხმარებათ სიმინდის ფქვილი. დაყარეთ ის სადაც მათი ბუდეა, შედეგად ისინი შეჭამენ და 1-2 კვირის განმავლობაში საერთოდ გაქრებიან.

3. აბეზარი და მკბენარა კოღოების მოსაშორებლად კი დაგჭირდებათ მხოლოდ და მხოლოდ ლავანდის, პიტნის ან ევკალიპტის 3 წვეთი. ჭურჭლის სარეცხ სუფთა ღრუბელზე დააწვეთეთ ჩამოთვლილი მცენარეებიდან რომელიმეს 3 წვეთი, ჩადეთ ქილაში და 24 საათის განმავლობაში გააჩერეთ თავდახურული. შემდეგ კი ახადეთ თავი ქილას და მოცემული სურნელი კოღოს კვალსაც აღარ დატოვებს. ეს მეთოდი მართლაც ეფექტური და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია უსაფრთხოა თქვენი შვილების ჯანმრთელობისთვის.

## როგორ გავარკვიოთ მარტივად, დამუხტულია თუ არა ელემენტი?

ალბათ ხშირად გქონიათ შემთხვევა, როდესაც სრულიად მოულოდნელად ბოლომდე დაცლილა ელემენტი, სწორედ იმ მომენტში, როდესაც ძალიან გჭირდებათ. სახლში, კომოდის რომელიღაც უჯრიდან ამოგიღიათ ელემენტების არმია, თუმცა ყველა ძველი აღმოჩნდა და არ იცოდით იმ მომენტში რომელი გამოგადგებოდათ, თუნდაც დილამდე, რომ თქვენს მაღვიძარას დარეკვა მაინც მოესწრო და უხერხულ სიტუაციაში არ ჩავარდნილიყავით. ერთი შეხედვით უამრავ ელემენტში გამოიცნო თუ რომელია დამუხტული, არ არის იოლი, თუმცა გამოცნობის მარტივი ხერხი მაინც არსებობს.

გთავაზობთ მარტივ ხერხს, რომლის საშუალებითაც დასამუხტ ელემენტებში შეძლებთ ამოიცნოდ თუ რომელია დამუხტული. ამისათვის აიღეთ ხელში ორი ელემენტი ისე, რომ ვერტიკალურ პოზიციაში გეკავოთ, შემდეგ კი გაუშვით ხელი და შეხედეთ დაცემის პროცესში რომელი დადგება და რომელი დაეცემა. ელემენტი, რომელიც დაეცემა– დასამუხტია, ხოლო რომელიც შეინარჩუნებს ვარდნის შემდეგ პოზიციას, ანუ დარჩება ვერტიკალურ მდგომარეობაში– ის დამუხტულია.




ამ მეტად მარტივი ხერხის ცოდნის შემდეგ, მოულოდნელად აღარ ჩავარდებით უხერხულ სიტუაციაში, წამში შეძლებთ გაერკვეთ დამუხტულია თუ არა ელემენტი. აი ასეთი იოლი გზით შეგიძლიათ ცხოვრება გახადოთ უფრო მარტივი.

# ილია – „უგვირგვინო მეფე საქართველოსი“

ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ნიშნავდა მთელი საქართველოს მიწა-წყალს, ნიშნავდა ქართველობას.

ჩვენი ერის უახლეს ისტორიაში წმინდა ილიას სახე მანათობელ შუქურად ბრწყინავს. ქართველებს მისთვის „საქართველოს უგვირგვინო მეფეც“ უწოდებიათ, დაფნის გვირგვინითაც შეუმკიათ მისი შუბლი და, ჩვენდა საუბედუროდ, ტყვიითაც შეულეწავთ. „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“, – უთქვამს ვაჟა-ფშაველას. ილია ქართველთა ეროვნული ცხოვრების მამოძრავებელი ძალა იყო. ათასგვარი ხერხი გამოიყენეს მის წინააღმდეგ ჩვენი ერის მტრებმა, მაგრამ რომ ვერა დააკლეს რა, მისი მოკვლა განიზრახეს. ის კი ვერ გათვალეს, რომ მამულზე დღედაღამ მზრუნველს, საქართველოსთვის მოკლულს ყოვლადმოწყალე უფალი თავის წიაღში დაუმკვიდრებდა საუკუნო განსასვენებელს და უფალთან ახლოს მყოფი წმინდა ლოცვით უფრო მეტად შეეწეოდა თავის ერს.

როგორც ფესვები ასაზრდოებს ხეს, დღემდე ასე აწვდის სულიერ საზრდოს ქართველი ერის ეროვნულ ცხოვრებას ილიას სიტყვა. „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?!“ ილია მხოლოდ სიტყვა არ იყო, მისი სიტყვა საქმით იყო გამოხატული. მან ღირსეული პასუხი გასცა შთამომავლობას – ენაც დაიცვა, მამულიც და სარწმუნოებაც და შეურყვნელი უანდერძა მომავალ თაობას. შექმნა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთი ყაჩაღის აღსარება მინდა გავიხსენო:

„შუაღამისას მივადექით საგურამოს – ის სოციალისტი, ისიდორა და მე. დავაბრახუნეთ. გამოვიდა მოურავი. მაშინვე გვიცნო, მაგრამ არ შეგვიშინდა, ხმამაღლა მოგვაძახა, – ბატონს სძინავს და ხვალ მობრძანდითო.

– რა ამბავია მანდა? – გაისმა მეორე სართულიდან, – შემოიყვანე, ვინც არიან!

მოურავმა კაბინეტში შეგვიყვანა. ილია მანამდე შორიდან მყავდა ქალაქში დანახული, ახლოდან უფრო სხვანაირი ჩანდა. შუა ოთახში იდგა სერთუკში გამოწყობილი ტანმორჩილი მოხუცი კაცი. მან სამივეს ხელი ჩამოგვართვა და გვითხრა:

– საღამო მშვიდობისა, ბატონებო! ვიცი, რაზეც გარჯილხართ, გგონიათ, ილია თავადია და ფული ბევრი ექნებაო. უნდა გითხრათ, რომ ყვარლის მიწები უსასყიდლოდ გადავეცი გლეხებს და აქაური მამულებიც გლეხებს მივეცი, ჩემთვის მხოლოდ იმდენი დავიტოვე, რაც ორი სულის წლიდან წლამდე შენახვას სჭირდება. მართალია, მე და ჩემს მეუღლეს პური არა გვშია, მაგრამ სიმდიდრით სწორედ ვერავის ვეჯიბრებით და წასართმევიც ბევრი არაფერი გვაქვს. იმას თუ ფიქრობთ, ილია ბანკირია და რაც ბანკში ფული შემოდის, შინ მიაქვსო, აქაც იმედი უნდა გაგიცრუოთ: მართალია, ბანკი ფულს ატრიალებს და მოგებაც რჩება, მაგრამ ამ მონაგებით ჩვენ ვინახავთ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, „ივერიას“, ვეხმარებით ქართულ თეატრს, სოფლის სკოლებს, ვბეჭდავთ წიგნებს და შინ წასაღები კი არა, ზოგჯერ შინიდან მოსატანიც კი გვიხდება. მადლობა ღმერთს, თუ ცოტა რამეს მაინც ვახერხებთ. გაგიცრუვდათ მოლოდინი! მაგრამ რადგანაც გარჯილხართ და ამ სიშორეზე ამოსულხართ, სულ განზილებულებს არ გაგიშვებთ, ცოტაოდენს ჩემს საკუთარ ფულს მოგართმევთ და მცირეზე ნუ დამძრახავთ!

ილიამ კუთხეში მდგარი ბიურო გამოაღო და ას ორმოცდაათი მანეთი მოგვაწოდა. მე არ მინდოდა ამ ფულისათვის ხელის მოკიდება, მაგრამ სოციალისტმა გამოართვა და წამოვედით.

საგურამოდან მცხეთისკენ მოკლეებზე გადმოვედით, გზაში იმ სოციალისტს ვუთხარი: აიღე შენი წილი და აწი აღარ გაგვეკარო-მეთქი.

გამთენიას მოვედით მე და ისიდორა მცხეთაში. დუქანში ასი მანეთის მელანი, კალმები, ფანქრები, საწერი ქაღალდი ვიყიდეთ, დავტვირთეთ ურემი და გავატანეთ საგურამოში, ილიასთან“.

ყაჩაღის ამ აღსარებაში მართლად ჩანს ილიას საქმით გამოხატული სულიერება. ჭეშმარიტი ქრისტიანი, ვისთვისაც დღე ღამდებოდა და ღამე თენდებოდა სამშობლოს მაჯისცემის ყურისგდებით, სხვაგვარად არც მოიქცეოდა, რადგან ყოველ ადამიანში, უპირველეს ყოვლისა, ღვთის ხატს ეძებდა, მის სულს ეხმიანებოდა და მისი პიროვნული ღირსების აღორძინებას ცდილობდა.

„როცა ადამიანს თავს არიდებ, მითამ ქრისტეღმერთისათვის მოგირიდებია პირი. იესომ ბრძანა: განკითხვის დღეს გეტყვითო, მწყურვალი ვიყავ და არ მასვითო, მშიერი ვიყავ და არ მაჭამეთო, შიშველი ვიყავ და არ ჩამაცვითო, სნეული ვიყავ და არ მომიარეთო. როცა მეტყვიანო, – უფალო! სადა განახეთ, რომ არ გიშველეთო, მე ვეტყვი: ყოველი გაჭირვებული კაცი, თქვენგან არგაკითხული, მე ვიყავიო... სხვა შენთვის და შენ სხვისთვის – აი გზა ცხოვრებისა, აი ხიდი ცხონებისა, აი გასაღები სამოთხისა!“ – ბრძანებს წმინდა ილია მართალი, უფლის მცნებისაებრ, მუდამ მოყვასზე ზრუნვაში გართული.

„ვით მამა ზეცისა, იყავნ შენც სრული – აი თავი და ბოლო ადამიანის ცხოვრებისა. ვის რა მანძილი გაუვლია, – ცალკე ადამიანია, თუ მთელი ერი, – ამ სისრულის გზაზე, ვინ რამოდენად წინ წამდგარა, ვის რამოდენად აღფრთოვანებული აქვს სულთა სწრაფვა ამ გზაზე დაუღალავად სიარულისათვის – აი წყარო როგორც ცალკე ადამიანის ღირსებისა, ისეც მთელი ერისა“, – გვმოძღვრავს ილია, რომელსაც გასიგრძეგანებული ჰქონდა წინაპართა ღირსება, სრულყოფილებისკენ სწრაფვით მოპოვებული, რაც ასე ხატოვნად გამოთქვა: „ქრისტე ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენ ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავუღეღეთ მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დაგუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი. გავწყდით, გავიჟლიტენით, თავი გავწირეთ, ცოლ-შვილი გავწირეთ, უსწორო ომები ვასწორეთ, ხორცი მივეცით სულისათვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მამულს – სამართლიანის თავმომწონებით ვეძახით“.

წმინდა ილია ხედავდა, რომ ქართველი ერის სულიერი ძალა – საწინდარი მისი ფიზიკურად გადარჩენისა ქრისტიანობაში იყო. ამიტომ ბრძანებდა: „ქრისტეს რჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვიტკირიც იყო საქართველოს მრავალი ნაწილის გასაერთიანებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა... ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ნიშნავდა მთელი საქართველოს მიწა-წყალს, ნიშნავდა ქართველობას. დღესაც მთელს ამიერკავკასიაში ქართველი და ქრისტიანი ერთსა და იმავე მნიშვნელობის სიტყვები არიან. გაქრისტიანების მაგიერ გეტყვიან – გაქართველდაო. ჩვენმა სამღვდელოებამ კარგად იცოდა, რომ მამული და ეროვნება, რჯულთან ერთად შეერთებული, რჯულთან შეხორც-შეთვისებული, უძლეველი ხმალია და შეულეწელი ფარია მტრის წინაშე. სიტყვას ქადაგებისას, სწავლას, მოძღვრებას იგი სულ იმაზედ მოაქცევდა ხოლმე, რომ მამული და ეროვნება რჯულამდე გააპატიოსნოს, სარწმუნოებამდე აღამაღლოს, ასწიოს და ყოველივე ამ სამს სიწმინდეს და უდიდეს საგანს, ერთად შეერთებულს, თავდადებით ამსახუროს, თავგანწირვით ამოქმედოს“.



წინაპართა ნაცად გზას ამჟამადაც ურყევად მიუყვება ჩვენი ეკლესია მისი საჭეთმპყრობლის – უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის წინამძღოლობით. ქართულ სულს, ეროვნულ მემკვიდრეობას მტკიცედ იცავს ეკლესიის წიაღში ჩვენი სამღვდელოება.

ჟურნალი „კარიბჭე“ ულოცავს უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს მფარველი წმინდანის ილია მართლის ხსენების დღეს და უსურვებს, არ მოჰკლებოდეს ღვთის მადლი და შემწეობა ქართველი ერის უფალთან მიყვანის გზაზე.

**თინათინ მაჭარაშვილი**

**კარიბჭე**

# რა კავშირშია ილია ჭავჭავაძის მკვლელობა ლაშა და გურამ შარაძეების მკვლელობასთან



„ჩემს ცოლს ანდერძი დავუტოვე, თუ მომკლავენ, მკვლელს მადლობა გადაუხადეთ-მეთქი – ასე ჩემს შვილთან მისასვლელ გზას შემიმოკლებს. პასუხი იმას მოსთხოვეთ, ვინც ჩემი და ჩემი შვილის მოკვლა დაავალა, მაგრამ, სიკვდილით არც ის დასაჯოთ. მკვლელისთვის ყველაზე დიდი სასჯელი ის იქნება, ლაშა და გურამ შარაძეების სისხლით რომ ექნება ხელები შელებილი!“

1998 წლის 17 ივნისი: საკუთარ სახლში მოკლულ იქნა ლაშა შარაძე. 2007 წლის 20 მაისი: თბილისის ცენტრალურ ქუჩაზე, მელიქიშვილის გამზირზე, მოკლულ იქნა გურამ შარაძე. 2009 წლის 30 ივნისი: მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა გიორგი შარაძე – ასეთია ცნობილი ლიტერატორის, აკადემიკოსის, მკვლევრისა და პოლიტიკოსის, გურამ შარაძის ცხოვრების ფურცლები, კაცის, რომელიც ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ჩვენი და მომავალი თაობები წიგნიერი ყოფილიყო; გავფრთხილებოდით მას, რაც ჩვენთვის ყველაზე ფასეული იყო. გარდა ამისა, მათ, ვინც ბატონ გურამს ახლოდან არ იცნობდა, ვეტყვით, რომ იგი გახლდათ მაღალი ზნეობრივი თვისებების მქონე, თბილი, ყურადღებიანი, კარგი მოსაუბრე, ნამდვილი ჯენტლმენი, კაცთმოყვარე, რბილი და დამყოლი ხასიათის ადამიანი. დღეს მის ტრაგიკულ ცხოვრებაზე გესაუბრებით.

გურამ შარაძე დაიბადა 1940 წლის 17 ოქტომბერს, ოზურგეთში, სოფელ გურიანთაში. მისი წინაპარი ცნობილი ქართველი მამულიშვილი მაქსიმე შარაძე გახლავთ (მაქსიმე შარაძეს 1880-იან წლებში გამოცხადება ჰქონია – ილია ჭავჭავაძეს მსახურად უნდა დაუდგეო. ღვთის ნებას დაჰყოლია, სოფელ ეწრადან თბილისში ილია ჭავჭავაძესთან ფეხით ჩამოსულა და კარზე მსახურად დასდგომია, მოგვიანებით კი ილია ჭავჭავაძის სტამბის მეპატრონე და გაზეთ „ივერიის“ გამომცემელი გახდა. ილიას დროის „ივერიაზე“ მხოლოდ ორი გვარი აწერია: „რედაქტორი ილია ჭავჭავაძე, სტამბა და გამოცემა მაქსიმე შარაძისა“. მან, აგრეთვე, მიუნჰენიდან მუსიკალური ნოტების ცოდნა და ბეჭდვის კულტურა შემოიტანა). 1958 წელს გურამ შარაძემ ოქროს მედალზე დაამთავრა ოზურგეთის მესამე საშუალო სკოლა და ჟურნალისტიკის დიდი სიყვარულის მიუხედავად, დედის დაჟინებული თხოვნით, თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩააბარა. მალე ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიის ლაურეატიც გახდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა ახლად დაარსებულ რუსთაველის სახელობის კაბინეტში დაიწყო და რუსთველოლოგიის ბიბლიოთეკა შექმნა. შემდეგ სამუშაოდ რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში გადავიდა. იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. 1964 წელს დაქორწინდა სვეტლანა გახარიაზე. შეეძინათ სამი შვილი: ლაშა, გიორგი და რუსუდანი.

„შიში ყოველთვის ერთადერთის მქონდა – სიკვდილის. ჩვენს სახლთან ისე ვერ გაივლიდი, სასაფლაოები რომ არ გაგევლო და სულ ვფიქრობდი: დედა რომ მომიკვდეს რა მეშველება-მეთქი. მართლაც, დედა ადრე დავკარგე, შემდეგ – მამა, ძმა და, დედაჩემის გარდაცვალებიდან 30 წლისთავზე – ჩემი ლაშა. რომ მცოდნოდა, ლაშას რაც ემუქრებოდა, იმ ტყვიას პირველი მოვძებნიდი და თავად ვიხლიდი გულში. ლაშა რომ მოკლეს, იმ დღეს გავიგე ჩემი რძლის ფეხმძიმობის ამბავი. 1999 წლის 15 იანვარს ქვეყანას ლაშა ლაშას ძე შარაძე მოევლინა.

ჩემი შვილის, ლაშას დაბადებამდე ორი თვით ადრე, ჩემს მეუღლეს გამოეღვიძა და მეუბნება კაბენი არ დაგავიწყდესო. ვერ მივხვდი, რა კაბენზე მელაპარაკებოდა. თურმე, კაბენის ღვთისმშობელი გამოეცხადა და უთქვამს: შვილები რომ შეგეძინებათ, თამარის შვილების სახელები დაარქვითო. ჩვენს შვილებს ლაშა, გიორგი და რუსუდანი დავარქვით. ლაშამ ილია ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საშუალო სკოლა წარჩინებით დაამთავრა. ბრწყინვალედ ფლობდა ფრანგულ ენას. სამედიცინოზე მისაღები გამოცდები სულ ხუთებზე ჩააბარა, შემდეგ გერმანიაში გაგზავნეს კვალიფიკაციის ასამაღლებლად. როდის მოასწრო გერმანული ენის სწავლა, არ ვიცი. ერთხელ ჩავაკითხე კიდეც გერმანიაში, მიუნჰენში იყო. მისით აღფრთოვანებულები იყვნენ პროფესორ-მასწავლებლები – თავისუფლად შეუძლია, დარჩეს, მისგან დიდი ქირურგი დადგებაო; მაგრამ, ლაშამ არ მოისურვა – ჩემისთანა ექიმების მეტი რა ჰყავთ, მე ჩემს ქვეყანას ახლა ვჭირდებიო და წამოვიდა. ერთი პერიოდი პარლამენტშიც მუშაობდა, ჯანდაცვის კომიტეტში, აპარატის დაკომპლექტება რომ დაიწყო. ხათუნა გოგორიშვილს ვუთხარი: ფრანგული და გერმანული იცის, ინგლისურს ვერ ჩააბარებს-მეთქი. საგანგებოდ მოიწვია ფრანგულენოვანი კომისია. მერე დერეფანში შემხვდა და მეუბნება: ბატონო გურამ, ეს რა ხუმრობა იყოო. გავოცდი. ვიფიქრე, გამოცდიდან თუ გაიპარა ჩემი შვილი, რაზე მეუბნება ამას, რა მოხდა-მეთქი. აკი მითხარით, ინგლისური არ იცის, ბრწყინვალედ ჩააბარა ინგლისურში გამოცდაო. გაოგნებული დავრჩი. ყველაფრით მაოცებდა. ლაშას ნათლია გახლავთ დევი ბეჭვაია. ქალიშვილი შეეძინა და წავედით სანახავად. ლაშა მაშინ 4 წლის იყო. მივედით. ბავშვი რაღაც ჭირვეულობს, ტირის, ვერ აჩერებენ. ლაშა მივიდა დევისთან და ეუბნება: დევი ნათლია, იცით, რა? ნინოს გაზგამყვანი მილი უნდა გაუკეთოთ და გაჩერდებაო. მართლაც, ბავშვს გაუკეთეს თუ არა გაზგამყვანი მილი, ტირილი შეწყვიტა. 4 წლის ბავშვმა იცოდა, რა უნდა გაეკეთებინათ ბავშვისთვის. ლაშიკო ექიმი გახდა, ნინო ბეჭვაია კი – 4 წლის ლაშიკოს პირველი პაციენტი. ძალიან მორიდებული და მოწესრიგებული ბიჭი იყო. 27 წლის ასაკში დაოჯახდა. ორი ვაჟი დარჩა. პირველს თვითონ დაარქვა სახელი – გურამი, ჩემს პატივსაცემად. მის მეორე შვილს კი მე დავარქვი. ბედნიერი იყო, სიცოცხლე უყვარდა და დამნაშავედ ვგრძნობ თავს, რომ ვერ დავიცავი ჩემი ლაშას სიცოცხლე. საფრთხეს ვგრძნობდი და მზად ვიყავი დარტყმის მისაღებად, მაგრამ, არა შვილების, არა ჩემი ვაჟკაცის სიცოცხლის ხელყოფის ხარჯზე.

... ჩემი რძალი – ადა, შაბათ-კვირას დედამისთან მიდიოდა ხოლმე და მკვლელმა ეს კარგად იცოდა. ლაშა სამი დღის უძინარი იყო. ძალიან მძიმე ავადმყოფი ჩამოეყვანათ ზუგდიდიდან – 10 წლის ბავშვი და, სანამ არ გამოაკეთა, გვერდიდან არ მოშორებია, ფაქტობრივად, სიკვდილს გადაარჩინა. მინდა, ისიც აღვნიშნო, რომ ლაშა ისე მუშაობდა, ერთ თეთრსაც არ ართმევდა პაციენტს. სამი დღის შემდეგ, დაღლილდაქანცული წასულა სახლში. მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე, ლაშა ვიღაც მაღალ კაცთან ერთად დაუნახავთ – მაღაზიაში ლუდის შესაძენად შემოვიდაო. ღამით ჩვენთან დაურეკავს, დედასთან უსაუბრია. საერთოდ, ყოველ დილა-საღამოს მირეკავდა, იმ დილით კი აღარ დარეკა. რომ დაღამდა და აღარ გამოჩნდა, ავფორიაქდით. მივედი მასთან სახლში. მანქანა იქ იდგა. ვაკაკუნე კარზე, მაგრამ, არავინ გამიღო. სასწრაფოდ წავედი რძალთან საბურთალოზე. მერე ჩემს მეუღლეს დავურეკე და წავედით ისევ მცხეთის ქუჩაზე. გასაღები იქვე ეკიდა ხოლმე და არ დაგვხვდა, გამქრალიყო. ჩემი მძღოლი აძვრა აივანზე და კარს მიაწვა. კარს გარედან რკინის ხარიხები ჰქონდა, ჩვეულებისამებრ, ლაშა შიდა კარს ღიას ტოვებდა, ხარიხები კი ყოველთვის ჩაკეტილი ჰქონდა. აი, როდესაც ეს რკინის ხარიხები ხელის მიწოლისთანავე გაიღო, მივხვდი, რომ ლაშა მოკლული იყო (ამ კართან დაკავშირებით ადრე ასეთი ისტორია მოხდა: ზამთარში ლაშას „დვიჟოკი“ მოჰპარეს. კი განვაცხადეთ პოლიციაში, მაგრამ, არავითარი შედეგი ამას არ მოჰყოლია – რა დროს „დვიჟოკიაო“). ჩემმა მძღოლმა დაიყვირა – ვაიმე, ლაშაო... ადგილზევე ჩავიკეცე. მოვიდნენ სამართალდამცველები – ქალაქის პროკურორის პირველი პირი, უშიშროების პირველი პირი, გენპროკურორი... არავინ აკლდა. კახა თარგამაძე რომ დავინახე, შევყვირე: კახა, მომიკლეს შვილი-მეთქი? არა, ბატონო გურამ, თქვენი შვილი ნასვამი ყოფილა და თავისსავე ნარწყევში დამხრჩვალაო. ბინაში არ შემიშვეს – უცხო პირთა შესვლა არ შეიძლებაო. რატომ ვიყავი უცხო პირი, ეს ვერ გავიგე. მერე ზემოთ, მეზობლის ბინაში ამიყვანეს. მოვიდნენ ჩემი მეგობრები და მეუბნებიან: შენი შვილი იქ არ არის, სამართალდამცველებმა წაიყვანეს მორგშიო. გადავირიე – ეს რა ხდება-მეთქი. მე ველოდები, როდის შემიშვებენ და, ამ დროს მიცვალებულს მეორე მხრიდან აპარებენ. მოვიკრიბე ძალები და გავიქეცი მორგში, მაგრამ, რომ მივედი, უკვე ყველაფერი მოემთავრებინათ... ლაშა სასახლეში ჩაწოლილიც არ მინახავს – მინდა, ის ჩემს მეხსიერებას ცოცხალი შემორჩეს. ვაცხადებ, რომ ჩემი შვილის მკვლელობა პოლიტიკური დაკვეთაა. სხვანაირად არ იქნებოდა. ის იმდენად კაცთმოყვარე, ჰუმანური, კეთილსინდისიერი ადამიანი იყო, შეუძლებელია, პირადი ინტერესების გამო მოეკლათ. ეს მკვლელობა თვითონ სამართალდამცველებმა გაასაიდუმლოეს. ლაშას მკვლელობის შემდეგ გავიგე, რომ, რამდენიმე თვით ადრე, 23 აპრილსაც ყოფილა თავდასხმის მცდელობა. თავდამსხმელი ალუმინის გასაშლელი კიბით, იმავე ოთახში, სადაც ჩემი შვილი მოკლეს, ამოცოცდა და ლაშას გვიან ღამით თავზე დაადგა. ლაშას უთქვამს, წაიღეთ რაც გნებავთ, ოღონდ, ცოლ-შვილი არ შემიშინოთო. მაშინ ეს ამბავი ჩემთვის არავის უთქვამს, მოგვიანებით ჩემი რძლისგან გავიგე, ისიც შემთხვევით. ახლა მე ვეკითხები „თვითმკვლელობის“ ვერსიის გამომგონებელ-გამომძიებლებს: მკვლელი იმიტომ შეიპარა ლაშას სახლში და იმიტომ დაადგა ლაშას თავზე, რომ ჩემს შვილს თავი არ მოეკლა? ახლა კიდევ ამბობენ, რომ იარაღი ლაშასი იყოო. 23 აპრილს ლაშამ სახლიდან გააქცია ერთი თავდამსხმელი. ამის შემდეგ მან გააღვიძა მეუღლე და ღამის ფარნით დაათვალიერეს მთელი ბინა იმის შიშით, რომ სახლში კიდევ ვინმე ხომ არ არისო. ლაშას რომ იარაღი ჰქონოდა, ცოლს გააღვიძებდა და ფარნით დაუწყებდა მკვლელებსა და ბანდიტებს ძებნას? ტრაგედიამდე რამდენიმე თვით ადრე, თებერვალში, პრესკონფერენცია მოვაწყვე და ვთქვი: ჩემი პოლიტიკური მკვლელობის მოახლოებას ვგრძნობ-მეთქი. ერთ-ერთი ჟურნალისტი წამოდგა და მეკითხება: „რა, ბატონო გურამ, თქვენც გელანდებათ ტერაქტები?“ მე კი არ მელანდება, ამის საშიშროებას ძალიან კარგად ვგრძნობ-მეთქი. ჩემი სიმართლისათვის დამსაჯეს, მაგრამ, ვერ წარმომედგინა ასეთი სასჯელი – შვილს თუ მომიკლავდნენ.

ალექსი ინაურმა 80-იან წლებში „კაგებეს“ ერთ-ერთი ძველი თანამშრომელი, რომელიც ახლა მწერლობს და პატრიოტობს, გამომიგზავნა და მითხრა: ბატონო გურამ, დავალებული მაქვს, გადმოგცეთ ინაურის ბრძანება: ჩვენ ვხედავთ, რომ გურამ შარაძე ადგას ილიას მკვლელობის გამოძიების სწორ გზას (მაშინ კომუნისტური რეჟიმი მძვინვარებდა), ილიას მკვლელობა სოციალ-დემოკრატების ბოლშევიკური ფრთის ნამოქმედარია. ამიტომ, ვუბრძანებთ, დადოს კალამიო. ინაურმა ვერ მაიძულა, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამოძიებაზე ხელი ამეღო და ესენი მაიძულებენ, ჩემი შვილის მკვლელობის ნამდვილ მიზეზებზე უარი ვთქვა?! ჩემი შვილის საფლავს არ შევარცხვენ და ლაშას ვერ დავაბრალებ, თავი მოიკლა-მეთქი“.

**ეკა პატარაია**

tbiliselebi.ge

# ილიას მარანი გმასპინძლობთ





„ვენახის და... ღვინის კეთება ჩვენში გუშინდელი საქმე არ არის და კარგის არჩევნისათვის რამდენიმე საუკუნის გამოცდილება ხელთა გვაქვს“ – გვახსენებს ჩვენი დიდი წინაპარი, ყველა სფეროში საუკეთესო მრჩეველი, ერის მამა ილია ჭავჭავაძე – „ვინც ცოტაოდენად მცოდნეა ჩვენის ვენახის პატრონებისა, ის გვიმოწმებს, რომ თითქმის არცერთი ვენახის პატრონი გლეხი არა არის ჩვენში, რომ ამ საგანზედ ჭკვად მისაღები დარიგება და რჩევა არ მოგცეთ. ამ მხრივ ჩვენებური გლეხი ევროპიელ მეცნიერსაც კი აჯობებს, იმიტომ რომ მიწათმოქმედებაში საერთოდ და ვენახობის საქმეში ცალკე გამოცდილება დიდი რამ არის და ჩვენებური გლეხი ევროპიელ მეცნიერზედ გამოცდილებით მეტისმეტად წინ იქნებაო“ – წერდა ილია.

თავისებური შეხედულება ჰქონდა ილია ჭავჭავაძეს ღვინის სხვადასხვაობაზე და ესეც ჩემი აზრით განპირობებული იყო, გარდა საკუთარი დაკვირვებისა, მეზობელ გლეხებთან ჭირნახულზე საგულდაგულო საუბრებითა და რჩევებით.

– ილია ასეთ განმარტებასა და რჩევას აძლევს არამარტო მაშინდელ მევენახეებს, არამედ ჩემი აზრით ყურადღებსაღებია თანამედროვე მევენახეებისთვისაც, რომელთაც ახალი ვენახების გაშენება განუზრახავთ.

ილიას დაკვირვებით – „ბუნებრივი ღვინო სხვადასხვა არის და ეგსხვადასხვაობა დამოკიდებულია მიწის სხვადასხვაობაზედ. მძიმე, ესე იგი ღრმად სახნავს თიხიან მიწას, მოჰყავს ღვინო მოჭირებულის ფერისა, ძლიერი სუნითა, გემრიელი და გამძლე. ქვიშიანს ადგილზედ ღვინო ისე მაგარი არ არის, სუნიც ნაკლები აქვს და უფრო ნაკლებად გამძლეა. კირრეულ ( კირიან ) მიწაში ღვინო უფრო ტკბილია და სუნიც არ არის ძალიან გამოჩინებული, მშრალს ქვიან ადგილას ღვინო ტკბილია, მაგარი, დიდი ხანს გამძლე და ძლიერი სუნი კი არ აქვს, ჰავასაც, რა საკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს ღვინის სიკეთისათვისო“ – დასძენს ილია.

ილია ჭავჭავაძე მევენახეებისა და მეღვინეებისათვის ყურადსაღებ ამ ფრაზას აშკარად გლეხებზე დაყრდნობით ამბობს: „...კარგი დამყენებელი ღვინისა თრთვილს ელის და მერე ჰკრეფავს ვენახსაო“.

ილიას არც მარანი და ქვევრი ავიწყდება და ევროპას ადარებს: – იგი გვახსენებს: „ევროპაში მარანს აკეთებენ იმისთანას, რომ ღვინის ჭურჭელი განსაცდელს მოარიდონ, ჩვენ-კი თვითონ ჭურჭელს იმისთანას ვაკეთებთ და ისე ვინახავთ, რომ უმარანოდაც არა განსაცდელი ერჩოდეს“...

მართალია, ილიამ თავის გლეხები მიწებიანად გაანთავისუფლა, რამაც ბევრი მემამულე აუმხედრა მას, მაგრამ თვითონაც საკმაოდ დიდი ფართობის მიწები დარჩა ე.წ „ლამიანებში“.

ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმის ფონდსაცავებში დღესაც ინახება ერთი საინტერესო დოკუმენტი – „თავად ჭავჭავაძეების მემამულეების ფოტოგრაფიული რუკა“, სადაც დეტალურად არის აღნიშნული თითოეული კვადრატული მეტრი და ადგილმდებარეობის დასახელება (ტოპონიმი).

ჭავჭავაძეების ვენახებში დაკრეფილ ყურძენს კი დიდი მარანი სჭირდებოდა დასაბინავებლად. მარანში ორი უდიდესი საწნახელი და სხვადასხვა ზომის ქვევრები იყო მოთავსებული. ოთარაანთ ქვრივის ქისასავით ქვევრებსაც თავისი სახელი ერქვათ; ილიას კი უყვარდა გლეხებთან ქეიფი და ჭიქის წაქცევა, სიამოვნებით უსმენდა მათ სიმღერებსაც, რომელიც უფრო გაბმულ კვნესას ჰგავდაო“... ამბობდა იგი.

მოხუცობაში ყვარელში დაბრუნებასაც ლამობდა, ახალი ვენახებისა და ხეხილის ბაღის გაშენებაც უნდოდა. გამოაგზავნა კიდეც მსხლისა და ვაშლის ახალი ჯიშები... არ კი დასცალდა...

ილიას მუხანათური მკვლელობის შემდეგ მისი სახლ-კარისა და მამულების პატრონობა წერა – კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თელავის ფილიალს დაევალა, ხოლო მისი გაუქმების შემდეგ მარანი და ქვევრები საჯარო ვაჭრობით გაიყიდა მოსახლეობაში, ხოლო მარანის საძირკველზე სხვა შენობა ააგეს...

წლები გავიდა... როცა მუზეუმის მაშინდელი დირექტორის, ბატონი ილო ბეროშვილის დიდი ბრძოლით და ღვაწლით სარესტავრაციო სამუშაოები და მემორიალობის აღდგენა დაიწყო, მარანი ისევ აღსდგა ძველ საძირკველზე, ქვევრების დიდი ნაწილი ისევ დაუბრუნდა მარანს და პირველი საჩვენებელი დაწურვაც მოხდა საწნახელში ილიას საიუბილეოდ 150 წლის თავზე 1987 წელს...

მუზეუმს ყოველთვის ჰქონდა სურვილი, რომ ილიას მარანი გაცოცხლებულიყო, ქვევრებში ღვინო ყოფილიყო, რათა ყველა სტუმარს ეგემა ილიას ღვინო. რამდენჯერმე მოხერხდა ეს ბატონების თამაზ კონჭოშვილის, ალექსანდერე ბილანიშვილის და ნუგზარ ქსოვრელის დახმარებით...

მაგრამ, დასაწყისშივე შეგვახსენა ჩვენმა ილიამ, როგორი რთული მოსავლელი და საპატრონებელია ყურძენი და ღვინო და აქ დამთავრდა მუზეუმის ოცნება და იდეის ხორცშესხმა...

.... მაგრამ რა დალევს კეთილ ადამიანებს. ნეკრესის ეპარქიის მეუფე სერგი (ჩეკურიშვილი) ილიას მუზეუმის დიდი მეგობარია და ბევრს სასიკეთო საქმეში წაგვაშველა სიტყვა და ხელი...

... ახლაც ასე მოხდა, ჩვენი მეუფის დიდი მეცადინეობით და ლოცვა კურთხევით და მეღვინეობა „ხარებას“ მესვეურის ბატონ ალექსანდრე ხარებავას შემოწირულობით, ილიას მარანში 2018 წელს პირველად დაიწურა ასეთი დიდი რაოდენობა რქაწითელი და საფერავი, რისთვისაც უდიდეს მადლობას ვუხდით მათ. აქვე უნდა ითქვას, რომ მის მოვლა – პატრონობაზე ბოლომდე იზრუნა „მეღვინეობა ხარებამ“ და ნეკრესის ეპარქიის ახალგაზრდულმა ცენტრმა.

გადაწყდა: ილიას მარანში 8 ნოემბერს ილიაობას მეუფე სერგის ლოცვაკურთხევით და უშუალო მონაწილეობით მოხდეს ქვევრის საზეიმო პრეზენტაცია, რის შემდეგაც სტუმრებს საშუალება მიეცემათ, დააგემოვნონ წმინდა ილია მართალის სახელობის ღვინო და კახურად, ტრადიციულად მისი ხსოვნისა და დიდების სადღეგრძელო შესვან.

გელით! ილიას მარანი გმასპინძლობთ!

**ილია ჭავჭავაძის ყვარლის**
**სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი**
**თამარ ზურიაშვილი**





# ილია შავერდაშვილის სახელობის თასზე

მიმდინარე წლის 8 აგვისტოს 10 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც რუსეთმა საქართველოს უძველესი რეგიონების ოკუპაციის მიზანმიმართული გეგმით აგვისტოს ომი მოგვახვია თავს და ამ ომმა უამრავი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ყვარლის მუნიციპალიტეტსაც ოთხი შესანიშნავი ახალგაზრდა დააკლდა, შილდელი პოლკოვნიკი დავით ელიზბარაშვილი, გავაზელი გელა (ბარდანა) მებაღიშვილი, ენისლელი ილია შავერდაშვილი და ალმატელი ზურაბ ტურაშვილი სამშობლოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის უშეღავათო ბრძოლაში დაიღუპნენ და მათი გმირობის შესახებ კიდევ ერთხელ ვრცლად გაშუქდა გაზეთ „ყვარლის“ 8 აგვისტოს ნომერში.

ამჟამად უნდა მოგითხროთ ენისლელ ახალგაზრდებზე, მათ უბერებელ მწვრთნელ-მასწავლებელზე გივი მეტსახელად (ნოლტრი) შავერდაშვილზე, რომლებიც გმირულად დაღუპული თანასოფლელის ილია შავერდაშვილის ხსოვნისადმი პატივის მიგებისა და არდავიწყების მიზნით გამოხატავენ. მათ 2008 წელსვე ილია შავერდაშვილის სახელობის თასის გათამაშება დააწესეს და ყოველი წლის შემოდგომაზე იწყება ტურნირი მინიფეხბურთში, რომელშიც უფროსი ასაკის მოსწავლეები იღებენ მონაწილეობას.

წელს ოქტომბრის თვეში დაიწყო აღნიშნული ტურნირი და მასში მეექვსე, მეშვიდე, მერვე, მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე კლასებიდან დაკომპლექტებული გუნდები მონაწილეობდნენ. პირველი და მეორე ადგილები მეთერთმეტე და მეთორმეტე კლასების ფეხბურთელებმა გაინაწილეს და ფინალური შეხვედრაც მათ შორის გაიმართა.

ფინალური მატჩის პირველ ტაიმში მეთერთმეტე კლასელებმა მეტოქეს შანსი არ დაუტოვეს და ოთხი უპასუხო გოლი შეაგდეს. ყველა მოელოდა, რომ მეორე ტაიმიც მეთორმეტე კლასელთა გამანადგურებელი ანგარიშით დამთავრდებოდა, მაგრამ ვითარება დიამეტრიულად შეიცვალა, რადგან მეთერთმეტე კლასელთა ბომბარდირმა დავით შავერდაშვილმა ტრავმა მიიღო და მოედანი დატოვა. ამით ისარგებლეს მეთორმეტე კლასელებმა და ანგარიში გაათანაბრეს. იძულებული შეიქნა ტრავმირებული დავითი მოედანზე დაბრუნებულიყო და ფინალური მატჩი გამარჯვებით, ანგარიშით 6:4 დაემთავრებინა.

ამრიგად, ილია შავერდაშვილის სახელობის გარდამავალი თასის მფლობელები გახდნენ მეთერთმეტე კლასელები – დავით შავერდაშვილი, სანდრო ახმეტელაშვილი, ნიკოლოზ მონასელიძე, ლაშა ათუაშვილი, ზვიად ცინდელიანი და პაატა ჩაბრაშვილი.

უნდა აღინიშნოს ასევე, რომ მეთორმეტე კლასელებმა – ფირუზ პატარაშვილმა, გოგი გურგენაშვილმა, ლუკა მინდიაშვილმა, ზურაბ ჯამასპიშვილმა, ლევან მუნჯიშვილმა, სოსო ვარდოშვილმა და ვალერი აფციაურმა ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს გამარჯვებულებს.

გამარჯვებულ გუნდს გარდამავალი თასი გადასცა ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელმა სოფელ ენისელში კახა მჭედლიშვილმა, ხოლო ფინალური მატჩის საუკეთესო და მეტად პერსპექტიულ ფეხბურთელს დავით შავერდაშვილს სპეციალურად ასეთი ტიტულისთვის დაწესებული თასი გადასცა ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოფელ ენისლის მაჟორიტარმა დეპუტატმა იოსებ სოლომნიშვილმა.

ფინალურ მატჩს ესწრებოდნენ – აგვისტოს ომის გმირის მამა რობიზონ შავერდაშვილი, ენისლის საჯარო სკოლის დირექტორი კოტე ცხოვრებაძე, ვეტერანი ფეხბურთელები თამაზ ჯანდიერი, დავით აბულაძე და ფეხბურთის მოყვარულები.

**ალეკო ქაფიანიძე**







# ახლა უკვე, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თეატრი აღდგა, განახლდა და არსებობს



ყვარლის კულტურული ცხოვრების ისტორიაში 25 ოქტომბერი ერთერთ გამორჩეულ თარიღად ჩაიწერა. კიდევ ერთი პრემიერა შედგა, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახალხო თეატრში.

სპექტაკლმა – „ესოდენ ძლიერი“, რომელიც კახეთის გმირი დედოფლის, ქეთევან წამებულის ცხოვრებას და მისი სიცოცხლის უკანასკნელ მოვლენებს ასახავს, სრული ანშლაგით ჩაიარა და ემოციებით დატვირთული დატოვა მაყურებელი.

ყვარლის საზოგადოებასთან ერთად პრემიერას ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, საქართველოს პარლამენტის წევრები, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი, თეატრისა და კულტურის მოღვაწენი.

საინტერესო პიესამ და ნიჭიერად გადაწყვეტილმა რეჟისურამ, მოყვარული მსახიობების პროფესიონალურ დონეზე შესრულებულმა როლებმა, ულამაზესმა სასცენო მხატვრობამ და დეკორაციებმა, პატრიოტული მოტივით შერჩეულ თემასთან ერთად, სინთეზში, უდავოდ განაპირობა სპექტაკლის პრემიერის წარმატება.

სპექტაკლის დასაწყისში მაყურებელს სიტყვით მიმართა ყვარლის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის უფროსმა, საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა, მომღერალმა და ლოტბარმა, ბატონმა იარაკლი მათიკაშვილმა, რომლის ძალისხმევაც ყვარლის თეატრის აღდგენა-განახლებაში მთავარი და განუზომელია.

– „მოგესალმებით ძვირფასო მეგობრებო! ალბათ გახსოვთ, წინა სპექტაკლის დამთავრების შემდეგ დავპირდი ყვარლის საზოგადოებას, რომ შემდეგში უფრო დახვეწილად გავაგრძელებდით მუშაობას და შემოგთავაზებდით მორიგ სპექტაკლს. როგორც ხედავთ, პირობა შევასრულეთ. ეს, იმის ნიშანი გახლავთ, რომ ახლადფეხადგმული ყვარლის თეატრი, ეძებს გზებს თავის დასამკვიდრებლად.

მე არვიცი, როგორ შეაფასებთ ამ სპექტაკლს. ეს რათქმაუნდა, ჩვენზეა დამოკიდებული, თუ როგორ წარმოვაჩენთ, როგორ მოგაწვდით მას. ჩვენი თეატრი, თანდათან იკრებს ძალას. შემოგვემატა ახალი ხალხი, ახალგაზრდობა. ვფიქრობ მომავალში უფრო სრულყოფილ სახეს მიიღებს შემოქმედებითი თვალსაზრისით.

თეატრი, მოგეხსენებათ უპირველეს ყოვლისა დიდი ფუფუნებაა. მას სჭირდება დიდი სიყვარული და პასუხისმგებლობა, მაგრამ მინდა იცოდეს ყველამ, თეატრში და ხელოვნებაში ჩადებული ფული ერთი ასად უბრუნდება საზოგადოებას ინტელექტის სახით. თუ ადამიანს გამოვაცლით ინტელექტს და არ მივცემთ კულტურული განვითარების საშუალებას, როგორც ერთი დიდი ქართველი მწერალი წერდა „ერი დაემსგავსება საძოვარზე მიშვებულ ნახირს, რომლის ვალი არის ძოვოს, ცოხნოს და იწველოს“.

მითუმეტეს, როდესაც დღეს, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა არაკეთილმოსურნენი ცდილობენ, საძოვრების და საზღვრის წართმევას, ამას ზედ მიაყოლებენ დიდ ქართულ კულტურასაც. საქონელი გაშრება და მას სასაკლაოზე უკრავენ თავს.

როგორც ერთ რიგით ქართველს, არავითარი სურვილი არ გამაჩნია ჩემი ქვეყანა ვიხილო ამ მდგომარეობაში.ქართველი ხალხი, თავისი ისტორიით ამას არ იმსახურებს.

მეგობრებო, თემატურად ავირჩიეთ ჟანრი, რომელიც ისტორიულ თემაზეა აგებული. პიესა დაწერა ჩვენმა ნიჭიერმა რეჟისორმა, ბატონმა მერაბ ჩხაიძემ.

ეს თემა იმიტომ ავირჩიეთ, რომ დღევანდელი ყოფა ჩვენი ცხოვრებისა, რაც ჩვენს გარშემო ხდება, გვაძლევს ამის საბაბს. საბაბს იმის შესახებ, თუ რა დიდი პასუხისმგებლობით და თავგანწირვით იცავდნენ ჩვენი წინაპრები თავის მრწამსს. მთელი ჩვენი ისტორია,როგორც დიდი ილია ამბობდა „დანის პირზე დავდივართ“ და ვიბრძვით ფიზიკური და სულიერი გადარჩენისთვის.

ხოლო, ისეთი სულიერი და ზნეობრივი მდგომარეობა, როგორიც გვაქვს დღეს, არასოდეს ჰქონია ქართველ ხალხს მთელი ისტორიის მანძილზე. ვინც ამას ვერ აცნობიერებს, მას ან სირაქლემის პოზა აქვს მიღებული, ან ინტელექტუალურ დეფიციტს განიცდის. ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვეცადოთ, რომ საკუთარ ქვეყანას გვერდში ამოვუდგეთ. მარტო მთავრობას ნუ დავაბრალებთ ყველაფერს, დიდი პასუხისმგებლობა ჩვენც გვაკისრია, ხალხს, ვისაც როგორ შეგვიძლია, გადავარჩინოთ ქვეყანა ზნეობრივი გახრწნისგან და ამის საწინააღმდეგოდ ჩვენ გაგვაჩნია ყველაზე დიდი იარაღი – დიდი ქართული კულტურა და ხელოვნება, უპირველესად კი თეატრი.

მეგობრებო, სპექტაკლი, რომელიც ჟანრობრივად ავირჩიეთ, არის ყველა დროის ყველაზე დიდი ქართველი ქალის, ქეთევან წამებულის ცხოვრებაზე და მისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებზე.

ეს თემა ავირჩიეთ იმიტომ, რომ ქეთევან დედოფალი არის უდიდესი სიწმინდე არამარტო ჩვენი ქვეყნისათვის, არამედ მსოფლიოს მართლმადიდებლური სამყაროსთვის. დღეს, როცა პატრიოტიზმს, სამშობლოს სიყვარულს, წინაპრებს, სიწმინდეებს ასე აუბრალოებენ, მიმაჩნია, რომ ამას შეიძლება ვებრძოლოთ მხოლოდ სიყვარულით, სულიერებით და ტრადიციებით.

ეს იყო ადამიანი, რომელიც გრძნობდა უდიდეს პასუხისმგებლობას საკუთარი რწმენისადმი, თავისი ხალხისადმი. მან იცოდა, რომ ის იყო დედოფალი, თუ შეიცვლიდა რჯულსა, შეიცვლებოდა მთელი ერიც. მისმა მოწამეობრივმა სიკვდილმა გავლენა მოახდინა იმდროინდელ მართლმადიდებლურ სამყაროზე. შემთხვევით არ იყო, რომ მისი ნეშტის ნაწილები დაიტაცეს ქრისტიანული სამყაროს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა, რომლებიც შაჰის კარზე იმყოფებოდნენ.



ამიტომ, მეგობრებო, რაც არ უნდა ტირანი, სისხლისმსმელი და დამპყრობი იყო, ვერასოდეს ვერ მოერევი რწმენისათვის თავდადებულ ადამიანს. აი ასეთი მორწმუნე გახლდათ ჩვენი დიდი დედოფალი ქეთევანი, რომელიც ეწამა 1624 წლის 12 სექტემბერს ირანში.

მინდა, მადლობა გადავუხადო უპირველეს ყოვლისა მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ როსტომ სესიაშვილს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარეს ბატონ დავით ქევხიშვილს. ასევე, მადლობას ვუხდი საქართველოს კულტურისა და ხელოვნების ფონდის თავჯდომარეს, ქალბატონ ელიოზიშვილს.

არ შემიძლია, მადლობა არ მოვახსენო კომპანია „ვაზის ცრემლების“ ხელმძღვანელობას, ბატონ თამაზ კონჭოშვილსა და ბატონ ნუგზარ ქსოვრელს, რომლებიც ყოველთვის გვერდში გვიდგანან ყველა სასიკეთო საქმეში.

ყველას მადლობას გიხდით მობრძანებისთვის. მადლიერებას გამოვხატავ ჩვენი რეჟისორის ბატონ მერაბ ჩხაიძის მიმართ, რომელმაც უდიდესი შემოქმედებითი სამუშაო გასწია, მთავარი როლის შემსრულებელს ქალბატონ მაია მამულაშვილს, რომელმაც შესანისნავად გაართვა თავი როლს, ასევე, მადლობას მოვახსენებ ბატონ ბეჟან კობიაშვილს და ბატონ დურმიშხან კოკოლაძეს სპექტაკლის მხატვრულად გაფორმებისთვის და შესანიშნავი დეკორაციებისთვის“.

– როგორც მაყურებელი, აღვნიშნავ და ამით სხვათა აზრსაც გავაჟღერებ – დიახ, სპექტაკლის წარმატება დიდწილად განაპირობა პატრიოტულ მოტივზე შექმნილმა პიესამ. დღეს, როცა მცირე დოზითაც კი აღარ მიეწოდება საზოგადოებას და განსაკუთრებით ახალ თაობებს პატრიოტულ მოტივებზე შექმნილი ლიტერატურა, სპექტაკლები, ფილმები თუ ხელოვნების სხვა ჟანრები და ამ თემის სერიოზული დეფიციტი არსებობს საზოგადოებაში, ამ თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა ეს პრემიერა.

ჩვენთვის, ეს თემა და შინაარსი ყველა დროში აქტუალურია. ქეთევან დედოფლის ცხოვრება და გმირული თავდადება სარწმუნოებისთვის, ერისა და ქვეყნისათვის, უდაოდ სამაგალითო გახდა, არამარტო ქართველთათვის, არამედ უცხოელთათვისაც. მისმა მოწამეობრივმა აღსასრულმა გულგრილი არ დატოვა არავინ. თაობები იზრდებოდა მისი ცხოვრების მაგალითზე და ეს მაგალითი იყო უსაზღვრო პატრიოტიზმი წამებული დედოფლის.

თეატრის რეჟისორის, ბატონ მერაბ ჩხაიძის შემოქმედებითი ნიჭი და უნარი კიდევ ერთხელ დაადასტურა ამ პრემიერამ და კიდევ ერთხელ გადააჭარბა მოლოდინს არაპროფესიონალი მსახიობების თამაშმა სცენაზე.

თითოეული მათგანი იყო გამორჩეული, შესანიშნავად შექმნილი მხატვრული სახეებით. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, ქეთევან დედოფლის როლის შემსრულებელი მაია მამულაშვილი. ზუსტად დაჭერილი და გათავისებული ხასიათით, ძალიან ბუნებრივად ჩანდა იგი სცენაზე, ქეთევან დედოფლის როლში. აშკარად, დიდი შთაბეჭდილება დატოვა მაყურებელზე მისმა გარდასახვის უნარმა და ყველა იმ კომპონენტმა, რასაც სამსახიობო ხელოვნება მოიცავს, ეს იქნება, სასცენო მოძრაობა, მეტყველების კულტურა თუ მსახიობის ოსტატობა. როგორც მაიამ აღნიშნა, ნამდვილად არ იყო ადვილი ამ როლზე მუშაობა. ეს იყო დიდი პასუხისმგებლობა, უდიდეს ფიზიკურ და სულიერ დატვირთვასთან ერთად, მაგრამ ძალიან მადლობელია, რომ მაყურებელმა ასეთი აღფრთოვანება და ოვაციები გამოხატა. მან ხაზი გაუსვა ასევე, რეჟისორის მერაბ ჩხაიძის დამსახურებას და მადლიერება გამოხატა მის მიმართ, ასეთი საპასუხისმგებლო როლის ნდობისთვის. მსახიობისთვის კი, ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის მომენტია, როცა სპექტაკლის შემდეგ ფეხზე წამომდგარი მაყურებელი აპლოდისმენტებს არ იშურებს.

ახლა უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თეატრი აღდგა, განახლდა და არსებობს, რაც უპირველესად ბატონ ირაკლი მათიკაშვილის დამსახურებაა. რომ არა იგი, ყვარელი კიდევ დიდხანს იქნებოდა თეატრის გარეშე. იმ თეატრის, რომელსაც არსებობის ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია აქვს. მისმა ძალისხმევამ, შემდეგ, მერაბ ჩხაიძის შემოქმედებითმა ნიჭმა, გამოცდილებამ და ხელოვნებისადმი სიყვარულმა უკვალოდ არ ჩაიარა, რაც არაჩვეულებრივ სპექტაკლებში გამოიხატა.

არ შემიძლი,ა არ გავიხსენო გასული უახლოესი წლები. ის დრო, როცა მხოლოდ იდეის დონეზე არსებობდა ყვარლის თეატრის აღდგენა და ბატონი ირაკლის წუხილი – „მეგობრებო, მიჩვენეთ საქართველოში სხვა კუთხე, სადაც სამი ასეთი დიდი კორიფე იყოს დაბადებული: დიდი ილია, თეატრის დიდი რეჟისორი და რეფორმატორი კოტე მარჯანიშვილი, თეატრის და კინოს უბრწყინვალესი რეჟისორი, „ქეთოს და კოტეს“ ავტორი, ვახტანგ ტაბლიაშვილი....ანდა, გავიხსენოთ კოჰორტა ულამაზესი ქართველი ქალების: დოდო ჭიჭინაძე, თამარ ჭავჭავაძე, ნატო საფაროვა-აბაშიძე, ნუცა მათიკაშვილი და სხვა. ამ ფონზე, შეიძლება ყვარელს თეატრი არ ჰქონდეს?“

– ასეთი შემართებით და იმ აზრით, რომ მას სჯეროდა ყვარლელი ხალხის ნიჭიერების, კულტურისა და ხელოვნებისადმი მათი დამოკიდებულების და მხარდაჭერის, იდეისათვის ბრძოლა წუთით არ შეუწყვეტია.

თეატრი არსებობს!

შედგა დასი!

ამისთვის ძალისხმევა არ დაიშურა ადგილობრივმა ხელისუფლებამაც, რომლის საქმიანობის ერთერთი პირიორიტეტული მიმართულება კულტურის განვითარების ხელშეწყობაა. გარდა იმისა, რომ თეატრისათვის გაიზარდა ფინანსური ხარჯები, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი როსტომ სესიაშვილი პირადად ჩაერთო პრემიერასთან დაკავშირებულ პროცესებში.

ასევე, ძალისხმევა არ დაიშურა კულტურის განვითარების ცენტრის უფროსმა ქალბატონმა მაია ზარდიაშვილმა, რომელმაც სპექტაკლის დასასრულს აღნიშნა – ... „მინდა მადლიერება გამოვხატო ყველას მიმართ, ვინც ჩვენი სიხარული გაიზიარა თეატრის აღორძინებასთან დაკავშირებით და ამ ულამაზესი დღისათვის.... მიმაჩნია, რომ თეატრი სარკეა, რომელშიც კარგად შეგვიძლია დავინახოთ ჩვენი ნაკლიც და ღირსებაც. ...მადლობა ვუხდი ბატონ ირაკლი მათიკაშვილს, რომელმაც სული და გული ჩადო ყვარლის თეატრის დასამკვიდრებლად. უნიჭიერეს რეჟისორს მერაბ ჩხაიძეს, დასის თითეულ წევრს, რომლებმაც დაგვანახეს, რომ იყო ყვარლელი – საპატიოც არის და საპასუხისმგებლოც. ასევე, არ შემიძლია მადლიერება არ გამოვხატო მუნიციპალიტეტის მერის, ბატონ როსტომ სესიაშვილის, საკრებულოს თავჯდომარის, ბატონ დავით ქევხიშვილის და მეუფე სერგის მიმართ, ამ სასიკეთო საქმეში შეტანილი წვლილისთვის“...

–აუცილებლად მინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნო, თეატრის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების საუკუნეშიც ვერაფერმა შეცვალა. თაობები იზრდებოდა თეატრით, საიდანაც უდიდეს სულიერ საზრდოს იღებდა. დროთა განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ თეატრის როლი ვერაფერმა დააკნინა. როგორც დიდი ილია ამბობდა:„ქართული თეატრი ქართველთათვის ბევრის სიკეთის მომასწავებელია... თეატრი ბევრს შემთხვევაში მარტო ხელოვნების მსახური არ არის. ადგილი, დრო და გარემოება მას ზოგჯერ სხვა სამსახურსაც კისრად სდებს და ამ მხრით თეატრი დაუფასებელი რამ არის და ჩვენ არ ვიცით სხვა მისებრ უებარი საშუალება, რომელიც ეგრე გამარჯვებულად, სასწრაფოდ და პირდაპირ მოქმედებდეს ადამიანის უკეთესთა გრძნობათა გამოფხიზლებასა და მოძრაობაზედ“.

და ბოლოს, კიდევ ერთხელ მივცემ თავს უფლებას და მოვუწოდებ ყველა ჩვენ თანამოქალაქეებს, ყვარლის საზოგადოებას, განსაკუთრებით ინტელიგენციის წარმომადგენლებს, რომელთა როლი მნიშვნელოვანი იქნება ყვარლის თეატრის განვითარების საქმეში.

– მგონია, ისე ვერაფერი გვასწავლის ცხოვრებას, როგორც თეატრი. მერწმუნეთ, უდიდეს სიამოვნებას მოგვანიჭებს, თუ ჩვენი ცხოვრების რამოდენიმე საათს თეატრს დავუთმობთ. ამით, ყოველდღიურ ერთფეროვნებასაც მოვწყდებით და დიდ სულიერ საზრდოსაც მივიღებთ.

რაც მთავარია, ამით ხელს შევუწყობთ თეატრის წინსვლას და განვითარებას, შედგება კიდევ მრავალი პრემიერა და ყვარლის სახალხო თეატრი პირვანდელ სახეს დაიბრუნებს. ჩვენს მიერ შეძენილი ერთი ბილეთიც კი, მნიშვნელოვანია თეატრისთვის და ეს იქნება საშვილიშვილო საქმე.

ეს, თითეული ჩვენთაგანის ვალია, როგორც მომავალი თაობების წინაშე, ასევე წინაპრების ხსოვნის პატივსაცემადაც!

მინდა, რედაქციის სახელით მადლობა მოვუხადო ყველას ამ საქმეში შეტანილი წვლილისთვის და ვუსურვო ჩვენს თეატრს მრავალი პრემიერა და წარმატებები.

**ია გიგიაშვილი**

P.S.

პრემიერასთან დაკავშირებით, შთაბეჭდილებები მაყურებლებისგანაც საინტერესოდ მივიჩნიე, რომლებმაც გულთბილი სიტყვები არ დაიშურეს შემოქმედებითი ჯგუფის მიმართ და სოციალურ ქსელშიც გამოხატეს კეთილი სურვილებით. გთავაზობთ რამდენიმე მათგანს:

**ინდიკო ბუთიაშვილი:** ებათა ქება თქვენ მარჯანიშვილელებო, უზომოდ გახლავართ გახარებული თქვენი გაბედული, წარმატებულად დადგმული სპექტაკლის სახალხოდ ჩვენებისათვის!!! „“.... კიდევაც დაიზრდებიან.“.“.“.. ყვარელს ეკადრება ტრადიციების აღორძინება და გაგრძელება!!!! ჩემი გულწრფელი სალამი და მადლობა ბატონ რეჟისორს, ბატონ ირაკლის და როსტომს. მხოლოდ იმას ვწუხვარ რომ ვერ დავესწარ სპექტაკლს. წინ ახალი სიმაღლეების დალაშქვრისაკენ!!! ულრმესი პატივისცემით!

**თამარ-ლეილა სოლოღაშვილი-სეფაშვილი:** არმატებები ყვარელს, ბატონ მერაბს, მთელ შემოქმედებით დასს, მიყვარხართ თითოეული თქვენგანი

ელენე როზომაშვილი: სულს და გულს უხარია თქვენი წარმატებები. ღმერთმა დაგლოცოთ და კურთხევა არ მოგაკლოთ ამ კარგი და ლამაზი საქმის კეთებაში.

კახაბერ გვარლიანი: ძალიან ვისიამოვნე არაჩვეულებრივი წარმოდგენით და მადლობელი ვარ ამისთვის, მთელი შემოქმედებითი ჯგუფის. მომავალშიც სიამოვნებით დაგესწრებით.



# პ ო ე ზ ი ი ს  ს ა მ ყ ა რ ო შ ი

**მართლა დავაგვიანე...**
ჩვენი გზები გაიყარა,
ვცდილობ შეკოწიწებას.
დრო კი უცბად გაიპარა
არ მინდა დაჯერება,
რომ სახეზე ნაოჭები,
ტანჯვის კვალი მატყვია
და თვალებში ნაპერწკალი
უკვე აღარ ანთია.
მე კი ისევ ძველს მივსტირი,
ოცნებებსაც ფრთიანებს,
ფრთები სადღაც დასცვენიათ
ვერად დავაფრთიანე.
ვარდს ფურცლები დასცვენია,
გულიც აღარ ფრთხიალებს,
ჩვენი გზები გაყრილია
მართლა დავაგვიანე!...

**გზა-საყარზე**
ელოდები... ეძებ... ეძებ...
იკარგები სადღაც გზებში.
იქით ზღვა უნაპირო,
აქეთ გაუვალი ტყენი.
თითქოს სადღაც სხივი კრთება,
სადღაც მოსჩანს წვრილი გზები.
ნეტა რომელ მათგანზეა,
ის წარწერა „მე შენ გელი“.
ეძებ... ეძებ... გულით ეძებ
ისევ გზა-საყარზე დგახარ.
ნეტა რომელ გზას აირჩევ,
ნეტა რომელ გზაზე წახვალ?...
ელოდები... ელოდები...
გზა კი მიდის არ ჩერდება,
თეთრ ღრუბლებში ნაფერმკრთალი,
უკვე მთვარის შუქი ჩნდება.
და ჰა... უკვე კარგად მოსჩანს,
ის წარწერა რასაც ელი...
– ნეტა რომელ გზას აირჩევ...
სად იქნები ბედნიერი!?...

**ნუთუ?...**
ნუთუ ცოლად გამომყვები?
ისმის სიტყვა რთული.
თითქოს ღმერთმა მაღალმა,
შემოაჭდო ხელი.
ყვავილების გვირგვინს წნავენ,
ემზადება გულიც.
და ცახცახებს ვაჟი სულმთლად
ყვირის სიყვარული.
თითქოს სიტყვა ზეცას ასწვდა,
სიტყვა გულით თქმული,
თითქოს ცისკრის ვარსკვლავებმა
ცას გაავლეს ხნული.
– ნუთუ მართლა გამომყვები?...
ვაჟი ფერსა კარგავს
და თანხმობა ქალის ბაგეს
წამს მოსწყდება წამლად.

**ვერ გნახე...**
ისევ წვიმს... ისევ წვიმს... ცრემლებად,
ფანჯარას ჩამოსდის წვეთები.
შენს ნახვას ვნატრობდი... ვერ გნახე,
ყვავილებს დასცვივდათ ფოთლები.
ისევ წვიმს... ისევ წვიმს... ცა-რგვალზე,
ზეწრებად გაფენილან ღრუბლები,
წვეთები... წვეთები... წვეთები...
მიწას ეფინება ცრემლები.
ვერ გნახე... გნატრობდი... ვერ გნახე...
ფოთლებს მიჰყვებიან ფოთლები
სევდისფერს, ნაცრისფერს, ბინდისფერს,
შემოსწოლია ფიქრები.
ისევ წვიმს... ისევ წვიმს... ისევ წვიმს...
ცრემლები... ცრემლები... ცრემლები...
ვერ გნახე... გნატრობდი... ვერ გნახე...
ფოთლებს მიჰყვებიან ფიქრები.

**მეგობარს...**
*ნ. მათიაშვილს*
რამდენი სითბო მაჩუქე,
გული გამითბო ფერებამ.
სიტყვებს ჰკინძავდი მძივებად,
აწყობდი ფერად-ფერებად.
თითქოს აღარსად პირქუში,
აღარ მიბღვერდა ბნელიდან,
თითქოს შენს სიტყვებს ნათელი
და მზის სხივები ჰფენიდა.
თითქოს აღარსად ისმოდა,
სიტყვა ბოროტი, ავყია
და ირგვლივ მხოლოდ კეთილთა
მიმობნეულა ხმანია.
წამს გავინაბე მდრტვინავი,
მშვიდად გისმენდი მეგობარს.
მზის სხივებს მინაწილებდი,
გულზე მაფენდი ჩეროდან.
რამდენი სითბო მაჩუქე,
გული გამითბო ფერებამ.
შენი კეთილი გულის და
შენი სიკეთის მჯეროდა.

**ნუნუ ლაღიძე**

---

**უილიაოდ...**
უ-ილია-ოდ ცხოვრობს ცხოვრება
მზე ძველებურად ვერ დანავარდობს,
უ-ილია-ოდ დუმს ყვარლის მთები
ბუნება ფიქრობს, რაღაცას დარდობს.
უ-ილია-ოდ გაჩერდა წამი
გადაუღებლად სამყაროს ათოვს,
უ-ილია-ოდ ჩვენს სულში ჰყინავს
და არაფერი სულს აღარ ათბობს!!

**მსგავსება**
ჩემი თვალები – ხომ ჰგავს ჩემს ლექსებს
და ჩემი სახე – სულ სევდით სავსე,
რამ დაამსგავსა, მიკვირს ძალიან
რამ დაამსგავსა ჩემს ლექსებს ასე?!

ასე ძალიან, არ ვგავარ მშობელს
ასე ძალიან – არავის ვგავარ,
მე და ლექსები, ჩემი ლექსები
მუდამ ვფხიზლობთ და
სულ ფეხზე ვდგავართ.

ჩემი ლექსები – ცრემლია ჩემი
სიყვარულით და სიკეთით სავსე,
რამ დამამსგავსა, მიკვირს ძალიან
რამ დამამსგავსა ჩემს ლექსებს ასე?!

**შიში**
პირველად ვიგრძენი
მზისფერად მოთოვა,
ხელიდან გამიქრა
ო, ეს შემოდგომა.

პირველად ვიფიქრე
ამდენი ზამთარზე,
დრო ველარ მოვზომე
დრო ველარ გავთვალე.
ვაი, თუ შემცივდეს,
ან ისე შემცივდეს,
სულში უსაშველო
ფიქრები შეცვივდნენ.

შენც დამიმეგობრდი
მზისფერო ზამთარო,
მინდა სიყვარულის
დღეები დავთვალო.

– რა უაზრობაა
ფიქრები სიკვდილზე,
ცხოვრება ავაგე
სინდისზე... სინდისზე ...

აქ სულ, სულ დღეა და
აქ სულ, სულ ღამეა,
ცხოვრება? წესები?
– ეს სულ სხვა რამეა.

და თითქოს მზისაკენ
მინდება გაფრენა,
ვინ, ვინ წამომყვება
იმედად? აფრებად?!

დღეს თითქოს ვიგრძენი
რომ მზისფრად დამთოვა,
უ თ უ ო დ ა ს ე ა:
ვ ი ლ ა ც ა მ
დ ა მ ტ ო ვ ა!...

**არც კი ვიცი ... რა დაგარქვა ...**

**ლექსო ...**
გზა – უფლისაკენ
ახლა „ლისტის რაფსოდიას“ მოვუსმენ,
მერე – არჩილ ჩიმაკაძის „კანტატას“,
წავალ, ვნახავ ვინმე მხატვრის „მონუმენტს“
მორჩა უკვე! მორჩა თავის გატანა!
დაჭრილი ვარ ისევ თქვენი სიტყვებით,
სულში მტკენად დამრჩენია იარა,
ცრემლის წვიმა არის ჩემი ნუგეში,
თუმცა წყენამ ჯერ არ გადამიარა.

ბეთჰოვენმა მიძღვნა – „მთვარის სონატა“,
თეთრ ღრუბელმა ნისლი
სადღაც გაფანტა,
წავიკითხავ ახლა ალბათ „მოპასანს“,
გოგენი კი – ისევ შიშველს დამხატავს.

ხელოვნების გზა – უფალთან მიმიყვანს,
ეს ჰანგები – დაიფრქვევა ზეცაში,
სულ უმანკოს – მე ღმერთამდე მივიტან
აბა, ხორცი დამჭირდება – მე რაში?!

ქაოსია და სიტყვების ჭიდილი,
თუმც უფალთან ბევრმა თავი იმართლა,
მე კი ვწერე ღამით სევდის ლექსები,
მერე სულშიც... სულშიც უცბად ინათლა.

ვერ დავტოვე „უიმედოდ იმედი“,
იმედს ერგო ქვეყნად დიდი მისია,
ამ ლექსების წვიმაა და თავსხმაა,
ზოგი ჩემი, ზოგიც ალბათ – სხვისია!

„ფუყე“ თავთავს ვერ დავსტყუე
მარცვალი,
რადგან სულში უსაშველოდ გაწვიმდა,
თუ უფალი ცოტას კიდევ დამაცდის,
ცოდვებისგან მე ეს ლექსი გამწმინდავს.

ახლა „ლისტის რაფსოდიას“ მოვუსმენ,
ეს ჰანგები ვიცი არსად დამკარგავს,
ვინახულებ ყველა მხატვრის „მონუმენტს“,
აღარ ვივლი ღიმილისთვის – კარდაკარ!!!

**ნათია სირაძე-კახიძე**

---

* * *
მე შემიძლია,
მიხაროდეს----
სხვაც გავახარო.
მოვეალერსო
ადამიანს
ხვთიურ არსებას,
მე შემიძლია
მოვეხვიო,
ვუთხრა მიყვარხარ
ერთი ვიყო და
ვაგრძნობინო
სხვასაც უყვარხარ.
მე შემიძლია
ვიყო ბავშვი
ცელქი,თავნება
ადვილი იყოს
უფრო ჩემთვის
გრძნობის გამხელა...
მე შემიძლია
შორს ვიყო და
ახლოს ვხედავდე,
მე შემიძლია
სულ მახსოვდეს
და სულ მიყვარდეს.
მე შემიძლია
სულ მიყვარდეს
და არ დავბერდე,
სიკეთის გრძნობამ
მასულდგმულოს
და ავღფრთოვანდე.

* * *
გარიყულაზე
ჰყვავის შროშანი,
და ჩემს თითებში
მისი სუნია....
მოდი, მომეხმე,
გადამეხვიე,
ეს გაზაფხული
ჩვენი ბედია...
მოდი, ეს მზერა
ერთად გვიყვარდეს,
შროშანს აცვია
პატარძლის კაბა,
მოდი,მომეხე,
გადამეხვიე
ეს შეყვარება,
ბოლო ფრთებია.

* * *
კაცს,
რად უნდა
სიყვარული,
მას მიეცი
პეშვით ღვინო,
ხე მოგლიჯოს,
მთა გადადგას
და ხმა მაღლა
მღერა იწყოს.
კაცს,რად უნდა
ქალის ტრფობას
დაეწაფოს,
დაემონოს,
კაცს,
მიეცი
მხოლოდ სიტყვა,
პურს მარილი მოაყაროს.
კაცი
ისე მყუდროდ
ცხოვრობს,
მხოლოდ შვილმა გააოცოს,
კაცს,
რად უნდა
დიდი ცნობა,
კარგს მაშინვე
ამოიცნობ,
კარგი კაცი
სარკესა ჰგავს,
მას თან დააქვს
სულის სითბო....
კაცს
მიეცი პეშვით
ღვინო
მთა გადადგას,
ზღვა დააშროს....

**მანანა შატავიძე**

---

* * *
(ოცდამეერთე)
მზეა თაკარა,
მერე რა თუ შუაღამეა.
მზეა თაკარა,
ალაგ დღეა, ალაგ ღამეა.
მზეა თაკარა
დარია და თან ავდარია.
სულმა სხეული იუცხოვა –
რამ გადარია!
სამყაროს ფეთქვას ვაყურადებ –
გულის რიტმს ვუსმენ.
თვალს ვერ ვწყვეტ ზეცას –
დედამიწა, დედაა ჩემი.
უსასრულობის სასრულ ზღვართან
ოდესღაც ვიდექ,
ვერაფერს მივხვდი,
ვიპოვე და...
დავკარგე კვალი!
მზეა თაკარა –
მერე რა თუ შუაღამეა.
მზეა თაკარა –
ალაგ დღეა, ალაგ ღამეა...

* * *
სამზეო...
დილის ბრწყინვა, კაშკაში.
ცა – ვარდისფერი,
თეთრთ-უთეთრესი – არა ღრუბელი.
მთელი სამყარო წყვილ სილურჯეში
ცოტა წითელი –
დაფერილი უმანკოება
თვით სიყვარული
თვით სიწმინდე,
თვით სათნოება.
უსასრულობის დასაწყისი და დასასრული.
უდიადესი გაცისკროვნება
მახსოვს...
არ ვიტყვი...
ნება არს უფლის!

* * *
ო, რა დიდია ვალი ამ ჩვენი – ქართველებისა.
ჩვენთა იმ ძველთა ძვლების წინაშე.
ჩვენთა ამ ახალ ძმების წინაშე.
დიად მომავლის წლების წინაშე.
ისტორიული ძვრების წინაშე.

ო, რა დიდია ვალი ამ ჩვენი – ქართველებისა.
წინაშე დილის გათენებისა.
ამ რთვლებისა და ამ თვეებისა,
ამ აკვ
დამსხვრეულ გულის გამრთელებისა...
ო, რა დიდია ვალი ამ ჩვენი – ქართველებისა!

**ელისო ბუშელაშვილი**

---

# სწავლების ხარისხის ამაღლება მოხდება მხოლოდ მაშინ, როცა ვისწავლით წარსულ ნერგზე ახლის დამყნობას



*დღევანდელ სამყაროში, ერთ-ერთი ყველაზე „ძლიერი იარაღი“, რაც შესაძლებელია ადამიანს ჰქონდეს – ცოდნაა. არისტოტელეს თქმისა არ იყოს – „განათლებულსა და გაუნათლებელ ადამიანს შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც მკვდარსა და ცოცხალს შორის“.*

*დიდი ილია ბრძანებდა – „სწავლების კარგად წარმართვაზე დამოკიდებულია არამცთუ სვე-ბედი მარტო მომავლის თაობისა, არამედ სვე-ბედი თვითონ ქვეყნისაც, რამდენადაც ქვეყნის მომავალი მომავალის თაობის კუთვნილია და, მაშასადამე, მის ხელთ იქმნება“.*

*როგორი მდგომარეობაა დღეს განათლების სისტემაში და რა არის საჭირო მომავალი თაობის სწორად აღზრდისა და ცოდნის ამაღლებისათვის ამის გასარკვევად ქართული ენისა და ლიტერატურის უბადლო პროფესიონალს, ამჟამად პენსიონერ პედაგოგს, ქალბატონ ზეინაბ ჭიჭიკოშვილს ვესტუმრე და ვთხოვე პასუხები გაეცა კითხვებზე.*

## მჯერა, ახლაც განიმქრევის ღრუბელი, და ძმას დაინახავს და შეერთებული საქართველო ერთ სულ და ერთ ხორც აღდგების

**– ქალბატონო ზეინაბ, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ 29 წელია. განათლების ხარისხის ამაღლების მიზნით მიმდინარეობს რეფორმები, როგორ ფიქრობთ მოიტანეს მათ რაიმე დადებითი შედეგი?**

– პირველ რიგში მინდა მადლიერება გამოვხატო ბატონო ალექსანდრე როგორც თქვენს მიმართ, ასევე გაზეთ „ყვარლის“ რედაქციის თითოეული მუშაკის მიმართაც იმის გამო, რომ რესპოდენტად ამირჩიეთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე სასაუბროდ, რომელსაც განათლების სისტემა ჰქვია.

ალბათ შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ დღეს, „ილიაობის“ ბრწყინვალე დღესასწაულის დროს საჭიროდ მიიჩნიეთ აღნიშნულ საკითხზე საუბარი.

ილია ბრძანებდა: „თუ განათლებული ხარ, სავსე კაცი ხარ“, შემდეგ იქვე დასძენდა: „საკმაო არ არის, კაცი მეცნიერი იყოს, ენციკლოპედიური ცოდნა მიეღოს, ამავე დროს კაი კაციც უნდა იყოს და კაი კაცობის შემწეობაც გააჩნდეს. ეს კაი კაცობა კი მხოლოდ ზნე-ხასიათისგან ეძლევა ადამიანს“.

ამდენად, როცა განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების შესახებ ვსაუბრობთ, ორი რამ უნდა გავითვალისწინოთ: „რა შედეგი მოიტანა რეფორმებმა განათლების ხარისხის ამაღლებისა და მომავალი თაობის აღზრდის თვალსაზრისით. მიმაჩნია, რომ რეფორმების ხშირმა ცვლამ თითქმის ერთმანეთისგან გამიჯნა სწავლება და აღზრდა. არადა თავად ილია ბრძანებდა: „სკოლაში სწავლება და აღზრდა ხელიხელჩაკიდებულნი უნდა ვიდოდნენ“.

რა მდგომარეობაა დღეს ამ თვალსაზრისით? ვფიქრობ, – სავალალო. აღნიშნულის თქმის უფლებას მაძლევს შემდეგი ფაქტი: რეფორმების თანახმად ხდება მასწავლებელთა სერთიფიცირება. სერთიფიცირებულ პედაგოგთა მთელი ყურადღება გადატანილია კრედიტ ქულების დაგროვებაზე, რაც ხშირად იღებს ფორმალურ ხასიათს და უყურადღებოდ სტოვებს გაკვეთილის აღმზრდელობით მხარეს, ამიტომაც მოსწავლეებში ხშირი ხასიათი მიიღო ძალადობის ფაქტებმა, ქუჩურმა გარჩევებმა, ცივი იარაღის გამოყენებამ.

**– მშობლის პოზიციიდან უკმაყოფილო ვარ განათლების სისტემაში არსებული ვითარებით, ვინაიდან საჯარო სკოლებში მოსწავლეთა ცოდნის ამაღლების ეფექტური სისტემა ვერ ჩამოყალიბდა, რა არის შესაცვლელი?**

– თქვენ სავსებით სამართლიანად ბრძანებთ, რომ საჯარო სკოლებში მოსწავლეთა ცოდნის ამაღლების ეფექტური სისტემა ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა. აღნიშნულის მიზეზად ისევ პედაგოგთა სერთიფიცირებას დავასახელებ. პირადად მე შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ უცხო ენის პედაგოგს ქართულ ენასა და ლიტერატურაში სასერთიფიკატო გამოცდების ჩაბარების შემდეგ უფლება ეძლევა ასწავლოს აღნიშნული საგანი. მაშ, რა საჭირო ყოფილა უმაღლეს სასწავლებლებში ხუთწლიანი სწავლება?

განათლების სისტემაში ჩემი მუშაობის პერიოდში მასწავლებელთა შეფასება ძირითადად ხდებოდა გაკვეთილებზე დასწრებით. აღნიშნული იძლეოდა საშუალებას, გაგვეკეთებინა დასკვნა: როგორ ხდება მის გაკვეთილებზე სწავლებისა და აღზრდის შეფასება, როგორია პედაგოგის ცოდნის დონე, მოსწავლეებთან კომუნიკაცია, ტაქტი, დიქცია, მანერები, მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება და სხვა.

განათლების სამინისტროს მუშაობის სტილიც აქეთ იყო მიმართული.

დამეთანხმებით, თუ ვიტყვი, რომ ბევრი არასერთიფიცირებული მასწავლებელი უფრო არის ნამდვილი პედაგოგი, ვიდრე ზოგიერთი სერთიფიცირებული.

**– რაიონის განათლების განყოფილებაში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მოგიწიათ მუშაობა დიდი ხნის განმავლობაში, თქვენი მოღვაწეობის პერიოდში თუ იყო ასე ფართოდ „რეპეტიტორობა“**

გაგრძელება მე-13 გვ. -ზე

დასაწყისი მე-12 გვ.-ზე

**გავრცელებული და რამ განაპირობა ასეთი მასშტაბებით წარმოჩინება?**

– „რეპეტიტორობა" ყოველთვის იყო, მაგრამ დღეს აღნიშნულმა სულ სხვა ხასიათი მიიღო. მაშინ ცოტანი იყვნენ „რეპეტიტორები", თანაც ისინი გადასახადს იხდიდნენ. შემოსავლის გარკვეული პროცენტი სახელმწიფოს ბიუჯეტში ირიცხებოდა. დღეს კი მასწავლებელთა დიდმა ნაწილმა დაიწყო „რეპეტიტორობა". ცუდია, როცა არ გაგვაჩნია თვითშეფასების უნარი. ამასთან ერთად, „რეპეტიტორთან" მოსწავლეთა მცირე პროცენტი დადიოდა ალბათ იმიტომ, რომ სკოლებშივე იყო შესაძლებელი საჭირო განათლების მიღება.

ვფიქრობ, დღესაც შეიძლება აღნიშნულის მიღწევა, თუ პედაგოგი მოინდომებს და მოდად არ იქცევა „რეპეტიტორთან" სიარული.

**– რას ნიშნავს მშობელთა ჩართულობა და როგორია მისი მნიშვნელობა?**

– დღეს მშობელთა ჩართულობა აუცილებელია იმიტომ, რომ რეფორმების ხშირმა ცვლამ უკანა პლანზე დასწია მოსწავლეთა აღზრდა. სკოლა, ოჯახი, საზოგადოება და ადმინისტრაციული ორგანოები უნდა გაერთიანდეს, რათა მოხდეს მომავალი თაობის სწორად აღზრდა.

სკოლასთან ერთად დიდი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს მშობელს. სამწუხაროდ მათი დიდი ნაწილი დღეს ემიგრანტია. ბებიების მზრუნველობის ქვეშ დარჩენილ ბავშვებზე კი მეტი პასუხისმგებლობა მაინც სკოლას უნდა დაეკისროს.

**– როგორ აფასებთ მანდატურის ინსტიტუტის შემოღებას?**

– ვფიქრობ მანდატურის ინსტიტუტზე უფრო ეფექტური იყო სკოლებში ორგანიზატორის თანამდებობა. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ სკოლის ორგანიზატორი მუშაობაში ითვალისწინებდა მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს, რაც მანდატურისათვის უცხოა. ისინი პირდაპირ რეაგირებას ახდენენ მომხდარ ფაქტებზე და ნაკლებ ითვალისწინებენ აღნიშნულის მიზეზებს. ყველაზე სავალალო ის არის, რომ არ ხდება წინასწარი მუშაობა მომხდარი ფაქტის თავიდან ასაცილებლად.

**– რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ სწავლების ხარისხი გაუმჯობესდეს?**

– სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბევრი რამ არის გასაკეთებელი. პირველ რიგში მასწავლებელი უნდა იყოს მოწოდებით პედაგოგი და არა მარტო ხელფასისათვის მომუშავე. სწავლებაში მარტო მზა რეცეპტებს არ უნდა ეყრდნობოდეს. იგი თავად უნდა იყოს ახლის ძიებაში, თავად უნდა ეძიებდეს სწავლების მეთოდებსა და ხერხებს იმისათვის, თუ როგორ და რა გზით მიაწოდოს ცოდნა მოზარდს, რომელსაც იგი ჰაერივით სჭირდება, ვინაიდან, ილიას თქმისა არ იყოს, „ღონიერი და ჭირთა მძლევი ის არის, ვისაც ჭკუა ცოდნით მოურთავს, ცოდნით აუყვავებია, ცოდნის ძუძუთი აუზრდია".

რა თქმა უნდა, სწავლებაში უნდა დამკვიდრდეს ევროპული სტანდარტებიც, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ერთი ხელის მოსმით. გათვალისწინებული უნდა იქნეს ჩვენი ეროვნული ტრადიციებიც, ვინაიდან „განა ყველა, რაც ძველია, კაცისგან საწუნარია?"

სწავლების ხარისხის გაუმჯობესება მოხდება მხოლოდ მაშინ, როცა ვისწავლით წარსულ ნერგზე ახლის დამყნობას. სამართლიანად ბრძანებდა ილია: „წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, ისევე როგორც აწმყო მომავლისა". აღნიშნული განათლების სისტემასაც ეხება. უამისოდ ყოველგვარი რეფორმა უსაძირკვლო შენობას დაემსგავსება, რომელიც ძლიერ ქარიშხალს ვერ გაუძლებს და ხუხულასავით დაინგრევა.

**– დღეს ვზეიმობთ საქართველოს უგვირგვინო მეფის, ილია მართლის 181-ე წლისთავს, როგორ შეაფასებთ მის ღვაწლს და რას უსურვებდით ქართველ ერს?**

– დღეს „ილიაობაა". ვსარგებლობ შემთხვევით და ამ ბრწყინვალე დღესასწაულს ყვარლელებთან ერთად ვულოცავ ერთიან საქართველოს. განუზომელია ილია მართლის ღვაწლი. სავსებით სამართლიანად ბრძანებდა იაკობ გოგებაშვილი: „იქნებ არც ერთ მსოფლიო გენიოსს არ ჰქონდა ამოდენა მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამდენიც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსათვის".

და დღეს, როცა ძმებმა კვლავ გადაუჭირეს სახრე ერთმანეთს, როცა კვლავ განვთვითეულდით, აუცილებლად გვჭირდება ილიას გზით სიარული. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ: „უარესიმც გვინახავს... რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავს, მაგრამ ყველაფერს გავუძელით".

მჯერა, ახლაც განიმქრევის ღრუბელი, და ძმას დაინახავს და შეერთებული საქართველო ერთ სულ და ერთ ხორც აღდგების.

**ესაუბრა**
**ალექსანდრე გიგილოშვილი**

# რას ღაღადებდა ილია მართალი?!

## წმიდა ილია მართლის პოლიტიკური მრწამსი

თუ როგორ კატასტროფულად შეიცვალა საქართველოში სოციალური მდგომარეობა, კარგად ჩანს თუნდაც ამ უბრალო სტატისტიკიდან: საბჭოთა კავშირის არსებობის მიწურულს, (1987-1991) წლებში ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოცტომეულის პირველი ხუთი ტომი, თითოეული 80 000-ანი ტირაჟით დაიბეჭდა, ხოლო უკვე დამოუკიდებელ საქართველოში ტირაჟი ჯერ 700-მდე, ბოლოს კი 300-მდე შემცირდა. ასე ასახა ქართული კულტურის კატასტროფა ილიას ბეჭდურ თხზულებათა სტატისტიკურმა მაჩვენებელმა, რომლის მიხედვით ჩამორჩენის კოეფიციენტი 99,6%-ის ტოლია.

მიუხედავად ამისა, პესიმისტური იდეებისთვის თავის მიცემის უფლება არ გვაქვს, რადგან, თვით წმიდა ილია მართალი დგას ზნეობის სადარაჯოზე და მარადჟამს შეგვახსენებს, რომ ეროვნულ საუნჯეთა დაცვა და შთამომავლობისთვის გადაცემა ყოველი ჩვენგანის მოვალეობაა.

სამ საუკუნეს შორის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ საკითხებზე პარალელების გასავლებად, პირველ ყოვლისა, ილიას ცნობილ მოთხრობას „მგზავრის წერილებს" მივმართე, რადგან, ამ მეოთხედი საუკუნის წინ ეროვნულ-პოლიტიკურმა სპექტრმა სწორედ მასში აღმოაჩინა ხალხის ფართო მასებზე ზემოქმედებისთვის საჭირო მაგიური ფრაზა.

„მგზავრის წერილებში", როცა მგზავრი მოხევე ღელთ ღუნიას ეკითხება, უწინდელი დრო რით იყო უკეთესიო, მოხევე პასუხობს: ადრე, ავად თუ კარგად, „ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს" და ამით იყო უკეთესიო. ქართველთა წესთწყობაზე სხვა მრავალი აუგის მოსმენის შემდეგ, ავტორი მოთხრობას, უფრო გავრცელებული ვარიანტის მიხედვით, ასეთი განსჯით ამთავრებს: „მართალია თუ არა ჩემი მოხევე, მე მაგის გასინჯვაში არ შევალ. ან რა ჩემი საქმეა ეგა? მე გაკვრით, როგორც მგზავრი, ვიხსენებ მას, რაც მისგან გამიგონია. ჩემი ცდა მარტო იმაშია, რომ იმის აზრისთვის იმისივე ფერი შემერჩინა და იმის სიტყვისთვის იმისივე კილო. თუ ეს შევასრულე, ჩემი განზრახვაც შემისრულებია.

ჩემმა მოხევემ მე კიდევ ბევრი რამ სხვა მითხრა, მაგრამ ყოველი მისი ნაამბობი დასაწერად არ გამოდგება შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა... მე მარტო ამას ვიტყვი, რომ იმან თავისის სიტყვით თავისს გულისტკივილს მიმახვედრა.

მიგიხვდი, ჩემო მოხევევ, რა ნესტრითა ხარ ნაჩხვლეტი. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო" – სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა, იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?.. ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამისი პასუხი!"..

ძნელი სათქმელია, ამ ნესტრით რამდენი ქართველია ნაჩხვლეტი, მაგრამ, ალბათ, ანგარიშში არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ საბჭოთა კავშირის დაშლისა და ე.წ. ეროვნული მოძრაობის დაწყების შემდეგ, ქართულ მედია-სივრცეში ღელთ ღუნიას სიტყვათა ციტირების ინდექსი თვით ილიას ცნობილ ტრიადასაც (მამული, ენა, სარწმუნოება) აღემატება. იგი არა მარტო მომიტინგე პარტიათა ლაიტმოტივად, არამედ, მთელი ქართული პოლიტიკის ლოზუნგად გადაიქცა.ერთი თანამედროვე ისტორიკოსი დღესაც შეგვახსენებს: „ზვიად გამსახურდია 1975 წელს, იმხანად გამოუქვეყნებელ წერილში აღნიშნავდა: „დიდმა ილიამ მთელი თავისი მოღვაწეობის საზრისი ჩააქსოვა ღელთ ღუნიას სიტყვებში: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდესო". ამას მიელტვოდა ქართველ მწერალთა რჩეული თაობა მეცხრამეტე საუკუნეში, ამას შეეწირა დიდი ილია".

ამჯერად, XIX ს-ის ქართველ მწერალთა რჩეული თაობის თხზულებათა განხილვის საშუალება არა მაქვს, მაგრამ მთავარი საკითხის გამოყოფა მაინც შეიძლება: დიდმა ილიამ მთელი თავისი მოღვაწეობის საზრისი მართლა ღელთ ღუნიას სიტყვებში ჩააქსოვა და მართლა მას შეწირა თავი? – იმის იმედით, რომ ხვალ მიტინგს არავინ მოაწყობს და ჩემი მოსაზრების დასაგმობად საზოგადოების ეგზალტირებას არ შეეცდება, თავს უფლებას ვაძლევ, დასმული საკითხი კრიტიკულად განვიხილო და მსმენელის წინაშე რამდენიმე არგუმენტი პუნქტობრივად წარმოვადგინო.

1. ილიას მოთხრობაში ღელთ ღუნიას პირით გამოთქმული თეზა XX ს-ის ბოლოს ქართული პოლიტიკის კარდინალურ საკითხად იმიტომ გადაიქცა, რომ „ეროვნული მოძრაობის" თავკაცებმა მასში არა მარტო სახელმწიფოს დამოუკიდებლობისკენ მიზანსწრაფვა, არამედ რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული კავშირის დარღვევაც იგულისხმეს. იდეურად, აღნიშნული თეზა მათ ამის საშუალებას აძლევდა, რადგან მოხევე, ფაქტობრივად, გეორგიევსკის ტრაქტატით გაფორმებული კავშირის წინააღმდეგი იყო, ხოლო, „ეროვნულები" – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში საქართველოს ყოფნისა.

რამდენადაც ქართულმა სინამდვილემ ილიას მოთხრობა დოკუმენტად აქცია და მასში გამოხატული აზრები თვით ავტორის პოზიციასთან გააიგივა, მაშინ ჩვენც უნდა გავითვალისწინოთ „მგზავრის წერილების" ყველა იდეური ნიუანსი და შესაბამისი დასკვნაც გამოვიტანოთ.

2. ვფიქრობ, სადავო არ არის, რომ ღელთ ღუნიას თეზას პოლიტიკური სტატუსი მოთხრობის დასასრულმა მიანიჭა. სწორედ მოხევის სიტყვათა გამეორებამ და მისით გამოწვეულმა გულისტკივილმა გამოკვეთეს მისი რელიეფური სახე, თორემ, მარტო დიალოგის დროს „ავად თუ კარგად" ნათქვამი მოხევური სიტყვა ისტორიულ მნიშვნელობას ვერ შეიძენდა. გასაგებია, რომ ღელთ ღუნიას ფრაზამ ზემოთ განმარტებული შინაარსი შეითვისა, მაგრამ, გარდა მგზავრის თანაგრძნობისა მოხევის მიმართ და „რაღაც უეცარი ტკივილისა", ჩვენ თვით ავტორის პოზიციას, ანუ სამოქმედო პროგრამას, როგორც ეს თვით ბრძენ ილიას სჩვეოდა, ვერ ვხედავთ.

ამიტომ გვიხსნის: „მართალია თუ არა ჩემი მოხევე, მე მაგის გასინჯვაში არ შევალ... მე მარტო ამას ვიტყვი, რომ იმან თავისი სიტყვით თავისს გულისტკივილს მიმახვედრა". – ეს არც არის გასაკვირი, რადგან სამშობლოში ახლახან დაბრუნებული უგვირგვინო მეფე, თუმცა ჯერ კიდევ 24 წლისა, პასუხს ტკივილების დასაამებლად თავისი საყვარელი მიწა-წყლისგან ელის. მან ჯერ ბევრი რამ არ იცის: „როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორც შემეყრება იგი მე"; „კარგია გაღვიძებული ადამიანი!.. მაგრამ უფრო უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არა სძინავს, ქვეყნის უბედურობით გულაღტყინებულსა. ჩემო ლამაზო ქვეყანავ, არიან ამისთანანი შენში? მე მოვნახავ და, თუ ვიპოვე, ვეთაყვანები". – სამწუხაროდ, ამ ლამაზ ქვეყანას არ აღმოაჩნდა უნარი, რომ მისთვის თავგანწირულის ბრწყინვალე ნათელს შესდგომოდა და ღმრთისგან წარმოგზავნილისთვის თაყვანი ეცა, მაგრამ ეს ცალკე თემაა და ჩვენ ისევ „მგზავრის წერილებს" მივუბრუნდეთ.

3. ჩვენი აზრით, ავტორი რომ მოხევის ნაუბარს არ განსჯის, არამედ მხოლოდ მის კონსტატირებას ახდენს, მთელი დიალოგიდან ჩანს. მაგალითად, მგზავრი არ პასუხობს ემოციებს აყოლილ მოხევეს, რომელსაც მშვიდობიანობის გახანგრძლივებამ (ამ დროისთვის რუსეთის მფარველობაში თითქმის 60 წელი იყო გასული) წარმოდგენა შეუსუსტა: „რაის ვაქნევ ცარიალ მშვიდაბას ცარიალ სტვამაქით... ცარიალ მშვიდაბა მიწაჩიც გვეყოფის"; ეტყობა, რომ მოხევე ლეკთა, სპარსთა და ოსმალოთა შემოსევების საშინელებასაც სათანადოდ ვერ აანალიზებს: „აწინა მავალე სვამეხი უფროს გვაწიოკებს, უფროს სახლს გვიკლებს"; ამასთან, მოხევეს ძმათმკვლელ ომებზე ბევრი კი სმენია: „კახთა ვაჟანი ხევისანი მრავალნი მოხოცნეს", მაგრამ იმის მადლიერი არ არის, რომ „აწინა ყოველნი ქართველნ ძმანები ვართ".

მოკლედ, ღელთ ღუნია ერთი ჩვეულებრივი ქართველია, რომლის გრძნობები გონებაზე ბატონობენ და ამიტომ აზრიც ყველაფერზე თავისი აქვს, რომლის არც გულწრფელად გამოხატვისა ერიდება. გამომსახველობის თვალსაზრისით, მგონია, რომ ღელთ ღუნია ტიპური წარმომადგენელია ჩვენი საზოგადოებისა, მაგრამ ეს არ ნიშნავს მისი თვისებების ან აზრების იდეალიზაციას, რაც არც მის შემოქმედს დაუსახავს მიზნად.

4. ამასთანავე, როგორც დოკუმენტური მასალიდან ჩანს, მოთხრობის ბოლო აბზაცის მიმართ თვით ილიასაც ორჭოფული დამოკიდებულება ჰქონია. ამის თქმის უფლებას ის გვაძლევს, რომ „მგზავრის წერილების" ჩვენამდე მოღწეული სამი ავტოგრაფიდან ერთ-ერთში (ხელნაწ. , № 149) ბოლო აბზაცი („მიგიხვდი... პასუხი") მთლიანად გადახაზულია, ხოლო მოთხრობის პირველი პუბლიკაციის (ჟ. „კრებული", №5, 1871. გვ. 1-16) ბეჭდურ ტექსტში იგივე აბზაცი, გარდა პირველი წინადადებისა („მიგიხვდი... ნაჩხვლეტი"), ასევე შეტანილი არ არის.

ჩემი აზრით, ეს ორჭოფობა იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ მარტო ამ გამოთქმნის მოხმობით – „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს" – მგზავრის გულისტკივილის მიზეზი დავიწროებულ შინაარსს იძენს; მოთხრობაში, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, კიდევ იმდენი საწუხარია დასახელებული, რომ ეს თეზა თავის თავში ყველა პრობლემის შემოკრებას ვერ ახერხებს. და, რაც მთავარია, ილია მართლისთვის არა მარტო ღელთ ღუნიას სატკივარი, არამედ, თვით ღელთ ღუნიას პიროვნებაც მისი ტკივილია; ვინაიდან, მოხევე ცხოვრების სიმძიმით დადარდიანებული კაცია, რომელსაც გამოსავლის პოვნაზე არც უფიქრია და სანუგეშოც არაფერი აქვს. ამგვარი ადამიანი ილიას ჩაფიქრებულ საქვეყნო საქმეს, ბუნებრივია, ვერ იტვირთავს და ამიტომ იგი ქვეყნის უბედურებით გულაღტყინებული ქართველების მონახვას მხოლოდ იმედოვნებს, ხოლო თუ იპოვის, კიდეც ეთაყვანება.

5. მოხევეს გეორგიევსკის ტრაქტატმა, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, მარტო ცარიელი მშვიდობა მოუტანა. გარდა იმისა, რომ ცნება ანტინომიურია, ანუ წინააღმდეგობრივ შინაარსს შეიცავს, იგი იმავდროულად უარმყოფელია მეფე ერეკლე მეორის დამსახურებისა, რომლის მიერ მომზადებულმა და გაფორმებულმა დოკუმენტმა, მოხევის აზრით, მხოლოდ ეს უშედეგო და ფუჭი მშვიდობა მოუტანა საქართველოს. ღელთ ღუნიას დამოკიდებულება ორივე საკითხზე გამოკვეთილია; ახლა ვნახოთ, როგორ აფასებს წმიდა ილია მართალი, ერთი მხრივ, მშვიდობას, ხოლო მეორე მხრივ – პატარა კახის დიდ საქმესა და მის დიდებულ პიროვნებას.

„მშვიდობიანობა, მოცალეობა არის მიწა, რომელზედაც ამოვა ხოლმე მეცნიერების, სწავლის, ლიტერატურის ხე და ნაყოფი... ამ ჩვენს საუკუნეში არის მშვიდობიანობა; მაშასადამე, არის დროება ლიტერატურისა, სწავლისა და ხელოვნებისა, რომელიცა ადამიანმა სარგოიანად უნდა მოიხმაროს", ხოლო მეცნიერების ნაყოფიერება თავისთავად ქვეყნის კულტურულ და ეკონომიკურ წინსვლას, სახალხო მეურნეობის დარგების განვითარებას ნიშნავს. ამიტომ მშვიდობა ცარიელი არ შეიძლება იყოს, თუ იგი ადამიანმა სარგოიანად მოიხმარა. მშვიდობიანობის დროს, თუ ვინმეს საკუთარი სტომაქი ღელთ ღუნიასავით ცარიელი აქვს, მიზეზი არა სხვაგან, არამედ თავის თავში უნდა ეძიოს.

უფრო მეტიც, შინაარსთან ერთად თვით ტერმინსაც საკრალური მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მშვიდობა ქრისტიანული გაგებით კურთხევასთან არის გაიგივებული. ბიბლიურ წიგნებში, პატრისტიკულ ლიტერატურასა და ლიტურგიულ ტექსტებში დალოცვის ძირითად ფორმად მშვიდობის სურვება გამოიყენება: „მშვიდობა თქვენ თანა", „მშვიდობა სახლსა ამას", „მშვიდობა ყოველთა"... ანგელოზებიც ამ მადლიანი სიტყვით ლოცავენ ქვეყნიერებას: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, და ქვეყანასა ზედა მშვიდობა, და კაცთა შორის სათნოება" (ლუკ. 2,14). დაბოლოს, ერის სათნო მოძღვარს, წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსს მოვუსმინოთ: ღმრთისმსახურება, ცხონება და ზეცისადმი მისწრაფება მხოლოდ იქ შეიძლება, სადაც მშვიდობა სუფევს. ღმერთი ამ ზეგარდმო ნიჭს იმ ქვეყანასა და ერს ანიჭებს, რომელშიც კეთილი სარწმუნოება და ღმრთის მსახურება სუფევს, რომელშიც წმიდა მართლმადიდებელი ეკლესია მტკიცედაა დამყარებული და ერის ზნეობას აშენებს.

შეიძლება მშვიდობის მნიშვნელობაზე ამდენის თქმაც არ იყო საჭირო, მაგრამ, როგორც ჩანს, მას ყოველთვის დაცვა სჭირდება.

6. ახლა, ამ სანუკვარი მშვიდობის მომპოვებელზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა. მართალია, მეფე ერეკლეს მიერ გაფორმებულ ხელშეკრულებას საბოლოოდ ხორცი მისმა უფროსმა შვილმა, ქართლ-კახეთის მეფემ გიორგი XII-მ შეასხა, როცა რუსის ჯარი თბილისში შემოვიდა (1799 წ.), მაგრამ საფუძველი ამისთვის 1783 წელს ხელმოწერილი გეორგიევსკის ტრაქტატით იყო მომზადებული.

რაც შეეხება თვით ილია მართლის დამოკიდებულებას ერეკლე მეფის პიროვნებისადმი, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ ილიასთვის ერეკლე ყოველთვის „ბრწყინვალე მეფე და რკინის კარი იყო საქართველოსი"; იგი პატარა კახის სახელის განსადიდებლად ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველასა და გრიგოლ ორბელიანის სტრიქონებსაც უშურველად იმოწმებდა; ილიას სიტყვით, ერეკლე II ის დიდებული მეფეა, „რომლის შუქი დღესაც კი გვინათებს".

7. ბოლო საკითხი, რომლითაც თემის ამოწურვა, ჩვენი აზრით, შეიძლება, ეს არის არა ახალგაზრდული მგზნებარებით ანთებული „მგზავრის", არამედ სამოცს გადაცილებული ბრძენკაცის მიმართება რუსეთისადმი. აი, რას ამბობს წმიდა ილია მართალი XIX ს-ის მიწურულს: „რა საჭიროა დამალვა: ჩვენ უცილობელად გვიყვარს ჩვენი სამშობლო, ხოლო არც საჭიროა სიყალბე. მარტო მით რომ ჩვენ ჩვენი სამშობლო გვიყვარს, გვიყვარს რუსეთიცა. ეს ისეთი ბუნებრივია, ისე ცხადია, ისე ადვილად გასაგებია საგანთა არსების მიხედვითა. რუსეთმა დაიხსნა ჩვენი ქვეყანა წახდენისა და განადგურებისაგან, იგი დღესაც იფარავს მას ყოველ წამებისა და ტანჯვის განმეორებისაგან, მან გაუკურნა ჩვენს სამშობლოს მისი წყლულნი... ეს სიყვარული ჩვენი ჩვენის სამშობლოსი თავით თვისით წარმოადგენს იმ ნაყოფიერს ნიადაგს, რაზედაც იზრდება და ჰხარობს ჩვენი ერთგულება და სიყვარული რუსეთისა. ეს ჩვენი სიყვარული ჩვენის სამშობლოსი იგი მაგარი და შუამდგომელი ჯაჭვია, რომელიც აერთიანებს ჩვენს ზრახვასა და სასოებას უკეთესს რუსთა ზრახვასა და სასოებასთან. სწორედ ამ ჩვენის სამშობლოს სიყვარულში უნდა მოიძებნოს ნასკვი ნაწილთა დაახლოვებისა და გაერთებისა მთელთან საკეთილდღეოდ ყოველთა და ყოვლისათვის. წაართვით ადამიანს ეს სიყვარული სამშობლოსი და მის გულში ვეღარ იპოვით ამისთანა ღრმას და მაგარ



ადგილს, რომ ზედ ამოიყვანოთ საფუძველი ერთგულებისა და სიყვარულისა".

ასეთია სამშობლოს თანამდევი სულის ერთგულებისა და სიყვარულის აპოლოგია, რომელიც მართლაც ცხადია და ადვილად გასაგები, ოღონდ, მხოლოდ იმისთვის, ვისაც გულისხმიერება წართმეული არა აქვს. არც ის უნდა გამორჩეს ვინმეს მხედველობიდან, რომ ჩვენი დიდბუნებოვანი ქართველისთვის უცხო იყო ყოველგვარი პირმოთნეობა, ქედდადრეკილობა და, ახლანდელი ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, ორმაგი სტანდარტი; მან ზედწოდება მართლისა სწორედ თავისი მართალი ცხოვრების, პატიოსნებისა და ღირსების გამო შეიძინა.

დიდმა ილიამ არავისზე ნაკლებად არ უწყოდა, რომ „ძალიან ხშირად ჩნდებოდნენ ჩვენში ისეთი გავლენიანი პირნი, მთავრობის ვითომ ერთგულნი და ვითომ რუსის ინტერესებისათვის მზრუნველნი, რომელთაც თითქო განგებ განიზრახეს, რომ ჩვენი ერის მომაგონებელი კი რაც რამ იყო, ფეხით გაეთელათ, დაეთრგუნათ, მოესპოთ", მაგრამ ამ გავლენიან პირთაგან ქვეყნის გასათავისუფლებლად ცეცხლის ხაზზე ყველაზე წინ ყოველთვის თვით დგებოდა. ამიტომ არის ყოველი მისი სიტყვა წრფელი, სარწმუნო და უცილობელი; ხოლო მის ნააზრევში დაუნჯებული სიბრძნე იმდენად მრავალმხრივია და მასშტაბური, რომ გონიერი ერი მასზე უკეთეს მეგზურს ამ წუთისოფელში ვერც ინატრებდა, მაგრამ ჯერ-ჯერობით, როგორც ჩანს, ათასი ჯურის „ექსპერტ-პოლიტიკოსთა" მიერ მოტყუებულ საზოგადოებას სჯერა, რომ ილიასეული არჩევანი ევროპული იყო და, თუ სასწაული არ მოხდა, საუკუნის წინ დაშვებული შეცდომის გამეორებისთვისაც მზად არის!

ჩვენც, იმ იმედით, რომ ქართველთა უგვირგვინო მეფის სიტყვამ შეიძლება ერთი-ორი კაცი მაინც დააფიქროს რუსეთის როლზე ჩვენს ისტორიაში, ნარკვევს დავასრულებთ ამონარიდით ილია მართლის პუბლიცისტური წერილიდან „ასი წლის წინათ":

„ცალკე სპარსეთი, ცალკე ოსმალეთი ხმალამოღებულნი თავს ადგნენ დამარცხებულს საქართველოს და მუქარას მუქარაზე უთვლიდნენ... გაძლიერება რუსეთისა, რომელმაც მაშინ საქართველოს საზღვრამდე მოაღწია ჩრდილოეთის მხრით, ერთსაც თავზარსა სცემდა და მეორესაც... სხვა გზა არ იყო, მეფე გიორგის ან ოსმალეთთან უნდა დაეჭირა საქმე, ან სპარსეთთან და ან რუსეთთან, რომ როგორმე გადაერჩინა საქართველო ამოდენ ერთად ზედმოსეულ უბედურებისაგან. ამ საქმეს აჩქარება უნდოდა. ღვთისმოსავმა და ღვთისმოყვარე მეფე გიორგიმ, რა თქმა უნდა, ერთმორწმუნე რუსეთი ირჩია. ამას ეუბნებოდა წინაპართა ანდერძიცა, რადგანაც, მისდა მეფობის წინათაც, ჯერ კიდევ 1576 წლითგან, საქართველოს მეფენი ბევრჯერ გამოჰლაპარაკებიან რუსეთს და მისგან ხელშეწყობას და ხელის გამართვას მოჰლოდებიან. ქრისტეს ჯვარისათვის ჯვარცმულ ერის მეფემ ქრისტეს ჯვარისვე მოსავი ერი მოიწვია საშველად და მფარველად...

იმპერატორმა პავლემ, მოისმინა რა გაჭირვება მეფე გიორგისა და საქართველოსი და იუწყა-რა ახალი მუქარა სპარსეთისა, აწიოკება ქვეყნისა ოსმალეთისა და ლეკთა თარეშობისაგან, მსწრაფლ შეუდგა, რომ მეფე გიორგის გადაწყვეტილი პასუხი მისცეს. 23 თებერვალს 1799 წელს ბრძანება მისცა ჩრდილო-კავკასიის ჯარის მთავარმმართველს, მოამზადოს საქართველოში წასასვლელად მეშვიდმეტე ეგერის პოლკი გენერალ-მაიორ ლაზარევისა...

დიდის ყოფით და ამბით დახვდა რუსეთის ჯარს მეფე და ერი. სასოწარკვეთილმა მეფემ და ერმა ძლივს ნუგეშითა და იმედით გაიცოცხლა გული. მეფის კარიდამ დაწყებული უკანასკნელ ქოხამდე სიხარულმა გაშალა თავისი სანატრელი ფრთა, სიხარულმა ხსნისამ და ნუგეშისამ. დიდი ხანია საქართველოს ამისთანა ბრწყინვალე დღე აღარ ენახა. ყველას, დიდიდამ პატარამდე, ქალით კაცამდე, გული აევსო იმ სანატრელ იმედითა, რომ რუსის მხედრობის დაბინავება საქართველოში საქართველოს მოუვლენს იმ მშვიდობიანობას, იმ მოსვენებას, იმ პატრონობასა და

გაგრძელება მე-15 გვ.-ზე

# სწორედ ყვარლის თავგვირგვინიანმა მთებმა, ატეხილმა ჭალებმა, ღვართქაფიანმა დურუჯმა და დარბაისელმა ალაზანმა მისცა ილიას დიდბუნებოვნება, სიდარბაისლე და შეუპოვრობა, მღელვარება და მქუხარება



## ილია და ყვარელი

ბატონი ილო ბეროშვილის სიტყვებს გავიმეორებ: „ქართველებს გვაქვს მრავალი კრძალვით გასახსენებელი დიდებული ადგილები – სხვიტორი, ჩარგალი და სხვა მრავალი, მაგრამ ყვარელი მაინც მრავალ ფიქრთა და გრძნობათა აღმძვრელია ჩვენთვის, რადგან აქ დაიბადა გენიალური მამულიშვილი, რომელსაც ერის წყლული აჩნდა წყლულად, ეწოდა მის ტანჯვით სული"; კაცი, რომელიც ღმერთთან იმიტომ ლაპარაკობდა, რომ წასძღოლოდა „წინა ერსა".

ვაჟა-ფშაველას აზრით „.... ხოლო ფესვები მწერლისა მისი სიყრმის დროის სიცოცხლეშია გართხმული; სიყმაწვილის შთაბეჭდილებანი უკვდავია ადამიანის გულში საერთოდ, მითუმეტეს ნიჭიერი ადამიანისა, და ნიჭის სათავე და დასაწყისიც სწორედ აქ არის... ეს სიყმაწვილის შთაბეჭდილებანი ასმევენ პოეტს შემოქმედების ნექტარს. დარწმუნდით, რომ სიყმაწვილის შთაბეჭდილებათა ბრალია, რომ შექსპირებმა და რუსთაველებმა გაგვაგონეს ხმები გულისა გასაგმირონი".

დიდი ილია, ხელმძღვანელი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიისა ამბობდა, ...ერი, რომელსაც ახსოვს თავისი დიდბუნებოვანნი კაცნი და დიდთა საქმეთა ამბავი, კეთდება, მხნევდება, ჰგულოვნდება და თავმოწონებულია ყველგან, ჭირია თუ ლხინი".

სწორედ ყვარლის თავგვირგვინიანმა მთებმა, ატეხილმა ჭალებმა, ღვართქაფიანმა დურუჯმა და დარბაისელმა ალაზანმა მისცა ილიას დიდბუნებოვნება, სიდარბაისლე და შეუპოვრობა, მღელვარება და მქუხარება. აქაურობას შესტრფოდა იგი ჯერ კიდევ ყმაწვილი თავის უკვდავ ქმნილებაში „ყვარლის მთებს", სადაც გამოხატა ეს დიდი სიყვარული.

„სამშობლო მთებო! თქვენი შვილი
განებებთ თავსა,
მაგრამ თქვენ ხსოვნას ვერ მივცემ
მე დავიწყებასა:
თქვენ ჩემთან ივლით განუყრელად,
ვით ჩემი გული,
თქვენთან, ჰე, მთებო,
ბუნებითა შეუღლებული".

ამ ლექსში უკვე ჩადებული იყო ის მარცვალი, ის დიდი დვრიტა, რამაც შემდგომში დიდ ილიას ათქმევინა უკვდავი სტრიქონი:

„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!"..

ყვარლიდან სულ სხვანაირად მოჩანს დიდი ილიაც, მთელი საქართველოც, კავკასიონის ამაყი მწვერვალებიც.

როცა დიდი ადამიანის ცხოვრებას ვეცნობით, რა თქმა უნდა, ჩვენ ყველაფერი გვაინტერესებს მისი, გვინდა ვიცოდეთ როგორი იყო იგი ბავშვობაში, როგორ გაატარა მთელი ცხოვრება.

ილიას გამზრდელი სალომე ლოლაძე, რომელიც წლოვანებით ილიაზე ბევრად უფროსი არ იყო, ასე იგონებს მის ბავშვობას: „ილია ანგელოზივით ბავშვი იყო. ცელქობა და თამაშობა აგრერიგად არ უყვარდა. ძრიელ მეცადინეობდა და კითხვა უყვარდა, მეტის-მეტი ჯანმრთელი იყო, ძრიელ სრულიც, ასე რომ, ეშინოდათ კიდეც მშობლებს ამისი გადაჭარბებული სიმსუქნისა. ...პატარაობიდანვე ლექსებს გამოსთქვამდა ხოლმე. მახსოვს ძალიან კარგი ლექსები გამოსთქვა კოშკზე, მარანზე... მეტისმეტი ხათრიანი ბავშვი იყო, ხმას არ აუმაღლებდა თავის დღეში. ხშირად გაგზავნიდა ხოლმე მისი მამიდა მუშების დასათვალიერებლად და დასაძახებლად. ილია მალე დაბრუნდებოდა მარტო და არავის მოიყვანდა. მამიდა გაუჯავრდებოდა ხოლმე, ილია კი უპასუხებდა: „ოჰ, მამიდა, ისე ტკბილად სძინავთ კაკლის ჩრდილში, რომ ვერ გავაღვიძე, შემეცოდნენო". ეს ბებერი ისტორიული კაკალი ახლაც ღირსშესანიშნავი ექსპონატია ჩვენი მუზეუმისა.

ილიას უმცროსი და ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილისა გადმოგვცემს: „ჩემის დის – ნინასაგან გამიგონია, ილია თურმე ბავშვობიდანვე ირჩეოდა მშვიდი, წყნარი, და-ძმობაში მოსიყვარულე. როდესაც ჩვენ, ბავშვები ვთამაშობდით, იშვიათად მიიღებდა ჩვენთან მონაწილეობას თამაშებში".

ილიას სიყრმის მეგობარი და მასთან თანაშეზრდილი კოხტა აფხაზი იგონებს: „უნდა მოგახსენოთ, რომ ილია პატარაობიდანვე მართალია, როგორღაც მიუკარებელი და უფრო ჩუმი იყო, მაგრამ ამასთანავე მაშინადვე ოხუნჯობის დიდი უნარი ემჩნეოდა, მეტის-მეტი მოსწრებული ხუმრობა იცოდა და თუკი ვისმეს სასაცილოდ აიგდებდა, მართლაც რომ მიწასთან გაასწორებდა!!.

განსაკუთრებულ დიდ ინტერესს იწვევს უკვე ზრდასრული ილიას დამოკიდებულება თავისი მშობლიური ყვარლისადმი, ნათესავებისა და ახლობლებისადმი.

შევეცდები ეს ურთიერთობები მისივე წერილების მიხედვით გადმოგცეთ. გიმნაზიის დასრულების შემდეგ იგი, როგორც ვიცით, პეტერბურგში მიემგზავრება სწავლის გასაგრძელებლად და ყვარლიდან სევდანარევ წერილს უგზავნის კარდენახში თავის დას – ნინო აფხაზს:

„... ვაპირობ წასვლას რუსეთში, მაგრამ შენმა გაზდამ, ისე მეძნელება დატევება ამ ჩვენ ყვარლისა, ნამეტნავათ ამ ჩვენს სახლისა, სადაც ყოველი ნაწილი ალაგისა მომაგონებს ხოლმე ჩემს დაუდევნელ ყმაწვილობის დროს, სადაცა ყოველი ხე არის ძვირფასი ჩემთვის სასიამოვნო მოგონებითა; ერთის სიტყვით, ვესალმები ყოველფერს, რაც არის ჩემის გულიდამ დაუვიწყარი და მივდივარ ერთს უცხო ქვეყანას, სადაც ერთი ტკბილი სიტყვა სავსე სიყვარულითა, ელირება ჩემთვის ნეტარებათ, სადაც უბედურებაში არავინ მეყოლება ნუგეშმცემელი და სიამოვნებაში ჩემთან მოხარული".

იგივე თავისი დის – ნინოსადმი გამოგზავნილი წერილი უკვე პეტერბურგიდან: „...ნეტავი ეხლა მანდ ვიყო, რომ გავძღე ყბედობით. ასეთი ლაპარაკი ჰსცოდნია და ჰყვარებია ჯიბეცარიელობას. ნეტავი ეხლა შენს ტახტზედ ვიყო წამოწოლილი და შენი განათლებული ბონჟურა პირის მთქნარებით და თავის ქექვით ნაცარქექიას ზღაპარს მეუბნებოდეს და შენი პატარა გიგლო დარბაისელ ბიძას მშვენიერ ლანძღვის სიტყვებით მამკობდეს... სხვა რა მოგწერო ჩემო დავ, პეტერბურღი ისევ პეტერბურღია, ცივი, ქვით მოსიპული და უზარმაზარი... ერთი რამა მაქვს შენთვის სათხოვარი და, თუ გიყვარდე, თუ ჩემი მცირედი სიყვარული გაქვს, ამისრულე. ერთმა ქალმა ქალური ვერცხლის ქამარი მთხოვა ხანჯლითა და დავპირდი; შენი ჭირიმე ნინუცი, ნუ გამამტყუნებ იმ ქალთან"...

ილიას ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ იგი სტუდენტობის პერიოდში მძიმედ ავად გამხდარა და პეტერბურგიდან საქართველოში გამოსაჯანმრთელებლად დაბრუნებული დროს ძირითადად ყვარელში ატარებს და 1859 წელს გაზაფხულიდან შემოდგომამდე ყვარელში რჩება, თუმცა კი მოახერხა და თბილისის გიმნაზიის სცენაზე, როგორც მისი და ელისაბედ ჭავჭავაძე საგინაშვილისა იგონებს, მისი უშუალო მონაწილეობით იდგმება „ძველი აღქმისა" და „მეფე ლირის" ცოცხალი სურათები. თვითონ ილია მეფე ლირს განასახიერებდა.

საქართველოდან უკან გაბრუნებული ილია უკვე 1860 წელს ყვარელში თავის მამიდა მაკრინეს დიდი მწუხარებით სავსე წერილს უგზავნის უმცროსი ძმის თემურის გარდაცვალებასთან დაკავშირებით: „...მამიდაჯან! რა დავუშავეთ ეგრეთი ღმერთსა, რომ ეგრეთ უწყალოდ და შეუბრალებლად გვიწამლავს დღეებს ამთვენ ტანჯვით. ჩემი პატარა თემურა სადღა არის, მამიდაჯან! დავკარგე საუკუნოთ პირველი და უკანასკნელი ძმა, მერე რა ძმა?! ველარა განახავთ ის საწყალი და უბედური. ნეტავი თავის ქვეყანაში, გარშემორტყმული ნათესავებით მაინც მიცვალებულიყო, ვაიმე, ჩემო პატარა ძმაო, ჩემო კარგო და ჭკვიანო თემურა, რაზედ გამაობლე და დამაგდე, შენ წახვედი და მოგვშორდი და შენ მაგიერ დაგვიგდე ნუგეშათ ცრემლი და წუხილი.

მაგრამ რაღას ვუშველით, მამიდაჯან! ღვთის ნება და ღვთის რისხვა აღსრულდა ჩვენზედ! რა ვქნათ? რაც გამოვზრდილვარ, სულ სიკვდილი მესმის გარეშემოდან, სიკვდილის მეტი ბედი არ დაგვყოლია ჩვენ; მადლობა ღმერთს ამგვარ ბედისთვის, ნუ იწუხებთ მამიდაჯან, ამ ცხოვრების ღელვისგან ბევრი მოგითმენიათ და ესეც მოითმინეთ".

სტუდენტი ილიას ფიქრი და ოცნება სულ უფრო ხშირად ყვარელთანაა; თავის ახლო ნათესავებს ანიკო ვაჩნაძეს და ნუნუ ანდრონიკაშვილს ასეთ წერილებს უგზავნის:

„...ჩემო ნენევ! მომწერეთ ყველაფერი; ძველი, ახალი ერთად აურიეთ და ჭრიანტული გამოვა,... უჰ! მაყვლის ჭრიანტული რათაც უნდა ღირდეს ახლა! პირში ნერწყვი მომივიდა ჭრიანტულის მოგონებაზედ".

ანიკო ვაჩნაძეს" „რაც უნდა კარგი იყოს პეტერბურღი, მერწმუნეთ, შენს აქლემივით კოზაკიან კოლაკს არ ემჯობინება, და ჩემს ყვარელს ხომ, რათქმა უნდა. ნეტავი ეხლა ეშმაკმა ამიტაცოს და მანდ ახლო-მახლო დამაგდოს სადმე. თუნდ ძუნწ და საძაგელ ჩალაუბანში, ვაჩნაძიანთ სამფლობელოში, ან თუ არა ჩემს წყლიანი ყვარლის ბარში, რა მადლობელი ვიქნებოდი იმ კუდიანი ეშმაკისა!"

ერთხელ ყვარელში ადგილობრივებს პატარა სალამო მოუწყვიათ. ამის შესახებ ილიასაც შეუტყვია და ხუმრობით ისევ ნენე ანდრონიკაშვილს სწერს: „...ჰო, მართლა, ეგ ვინ მადამი გაგიჩენიათ ყვარელში? ბარაქალა ყვარელო! ვერ უყურებთ კვირაში ორჯერ ვეჩერი ვის გაუგონია ყვარელში? ქვეყნის უბედურებას დახე! ყვარელში ვეჩერები?! არ გაუწყრეს ღმერთი ყვარელსა და ტეატრებიც არ გაიჩინოს და არ დაამციროს რუსეთის სატახტო ქალაქი... ყვარელში ორჯერ კვირაში ვეჩერი?"

პეტერბურგიდან დაბრუნებული ილია 1861-62 წლებში დროს ძირითადად ყვარელში ატარებს; 1861 წლის აგვისტოში აქ, ამ კედლებში იწერება მისი ბრწყინვალე, სამშობლოს, სიყვარულით, მასზე ზრუნვით უსაზღვროდ გამსჭვალული ლექსი: „მას აქეთ რაკი".

„მას აქეთ რაკი შენდამი ვცან
მე სიყვარული,
ჰოი, მამულო, გამიკრთა
მე ძილი და შვება!
შენს ძარღვის ცემას მე ყურს
ვუგდებ სულგანაბული,
ღამე თენდება ეგრეთ ჩემი
და დღე ღამდება...
დაჟინებითა ფიქრი ფიქრზედ
მოდის, გროვდება,
გრძობა გრძნობაზედ შეუპოვრად
იბრძვის ჩემს გულში
და მე არ ვჩივი, – მიხარიან
რომ ეგრეთ ჰშვრება
ჩემი ცხოვრება შენსა ფიქრში,
შენს სიყვარულში.
მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა
მხოლოდ ის არი,
ის არი მხოლოდ სავალალო
და საწუხარი,
რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში,
კაცი არ არი,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა
ჩემი განვუზიარო!..

ხოლო შემდეგ ოქტომბერში კი
„ჩემო კალამო!"
„ჩემო კალამო, ჩემო კარგო,
რად გინდა ტაში?
რასაც ვმსახურობთ, მას ერთგულად
კვლავ ვემსახუროთ,
ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშრად
მოვფინოთ ხალხში
ბოროტთ საკლავად, – მათ
სულ-ხდომის სეირს ვუყუროთ;
თუ კაცმა ვერ სცნო ჩვენი გული,
ხომ იცის ღმერთმა,
რომ წმინდა არის განზრახვა
და სურვილი ჩვენი,
აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ
ქართვლის ბედმა
და დაე გვძრახონ, – ჩვენ მის
ძებნით დავლიოთ დღენი.
ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს
ქართვლისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ
ცხადი სიძულვილია!
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული
კი მაშინვე სცნობს –
ამ სიძულვილში რაოდენი
სიყვარულია!"

ყვარელთან, თავის მშობლიურ ეზოკართან არის დაკავშირებული ილიას ყრმობის დროინდელი სამიჯნურო გატაცებისადმი მიძღვნილი ცნობილი – „გახსოვს ტურფავ?"

„გახსოვს, ტურფავ, ჩვენს დიდ ბაღში
მე და შენ რომ ერთად ვრბოდით?
ნეტა იმ დროს!.. სიყვარულის
მეტს არაფერს ჩვენ არ ვგრძნობდით!
შენ მოსწყვიტე ქორფა ვარდი,
გადმომიგდე საყვარელსა
და მითხარი: „ჩემო გიჟო!
ჩემ სახსოვრად გქონდეს ესა!"
ან შენ მაშინ რა იცოდი,
ან შენ გიჟმა რა იცოდა,
რომ იმ ვარდზე ადრე შენი
სიყვარული გასჭკნებოდა!...
გახსოვს, ტურფავ, იმავ ბაღში
აყრდნობდი ჩემს მხარზე თავსა,
შენ ჩემს სუნთქვას ჰგუშაგობდი
და მე შენსა წრფელ სუნთქვასა;
დაგყურებდი, ველარ გავძელ,
ლოყით კოცნა მე მოგპარე;
შენ შეკრთი და ლამაზ თითით
ღიმილით დამემუქრე.
ან შენ მაშინ რა იცოდი,
ან შენ გიჟმა რა იცოდა?
რომ ის კოცნა ბოლოს გესლად
შენის გმობით შემეცვლოდა!

ილიას ბიოგრაფიიდან ვიცით, რომ იგი სათავადაზნაურო ბანკის საკითხების მოგვარებასთან დაკავშირებით პეტერბურგსა და მოსკოვში დიდხანს დაბრკოლდა და აქაურობას მონატრებული კარდენახში მყოფ მეუღლეს ასეთ წერილს უგზავნის: „... ნეტავი შენ, ეხლა კარდენახში ზიხარ და გადაჰყურებ ჩვენს მშვენიერს და საკუთრად ჩემთვის საყვარელს ალაზნის მინდორს, მთებსა და მთებს შორის ჩვენ ყვარელს! ნეტავი მეც მანდ ვიყო, ის ალაზანი ენატრება ილიას, რომელსაც ჯერ კიდევ ჭაბუკმა სტუდენტმა უძღვნა სევდანარევი სიყვარულით სავსე ლექსი:

„... მდინარევ, ჩემი მშობლიური
მთის ცრემლით შემდგარო!
აწ შენს კედელზედ ვდგევარ,
დაგცქერ მე, მეგობარო!
დაგცქერ ჭმუნვითა და შენს
წყალში ვეძებ ჩემს წარსულს,
დროთა ბრუნვისგან შენს ზვირთთ
შორის დამარხულს, დანთქმულს.
შენც გამოცვლილხარ, ალაზანო,
მუხაც გამხმარა, ...
მეც უდრო უდროს გამერია
თმებში ჭაღარა,...
სად არს ის ღმერთი, იგი გრძნობა,
ის სიყვარული?
ყველა წარსულა, რად არ მიდის
ხსოვნა ბედკრული?!

ყვარელშივე, ოჯახში მიიღო ილიამ პირველდაწყებითი განათლება. მშობლები – გრიგოლ ჭავჭავაძე და მაგდანა ბებურიშვილი შესანიშნავი აღმზრდელები იყვნენ. მათ პირველებმა ჩაუნერგეს ილიას სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავდადება. მამისგან მოყოლილმა ჩვენი ქვეყნის ისტორიის საგმირო ამბებმა ვაჟკაცური სულისკვეთება ჩამოუყალიბა მომავალ დიდ ილიას; იგი ასე იგონებს მამის მონაყოლს: „...ჩვენს ქვეყანას ძალიან ემტერებოდნენ თათრები, მოსვენებას არ გვაძლევდნენ ხოლმე. ჩვენც, რაც შეგვეძლო, რაც ძალი და ღონე გვქონდა, ვებრძოდით, ვეომებოდით; ყველას უყვარს შვილებო თავის ქვეყანა, და როცა უჭირს, ძნელია კაცმა თავი არ გაიმეტოს. ბევრიც იმეტებდა თავს და ბევრმაც სახელი დაიგდო, სახელი გაითქვა თავისი ვაჟკაცობით; როცა სამშობლოს უჭირს, ძნელია მას კაცმა უმტყუნოსო".

ამიტომ იყო, რომ ილია დიდად აფასებდა მამა-პაპის გმირობას და მამულისათვის თავდადებას, ამაყობდა იმით, რომ მის წინაპრებს – ჭავჭავაძეებს სამშობლო უზომოდ უყვარდათ და სიამაყით ამბობს: „...თუ ვისმე სამართლიანად ეთქმის, რომ თვით დაიწვნენ და სხვას კი გზა გაუნათესო, ეს ჩვენს მამა-პაპას ეთქმის, და მადლობელნი შვილნი ლმობიერებით პირქვე უნდა დავემხოთ მათ საფლავთა წინაშე და ვუგალობოთ დიდება დიდებულთა და ქება ქებულთა".

დედამ დიდი როლი ითამაშა მის ზნეობრივ აღზრდაში: „...დედაჩემმა, – სწერს ილია, მშვენივრად იცოდა მაშინდელი ქართული მწერლობა, სულ ზეპირად ჰქონდა დასწავლილი თითქმის ყველა ლექსი და ყველა ძველებური მოთხრობა და რომანი, რომელიც კი იშოვებოდა მაშინ ან დაბეჭდილი ან ხელნაწერი. საღამოობით დაგვსხავდა ბავშვებს და გვიკითხავდა მოთხრობებსა და ამბებს; წაკითხვის შემდეგ გვიამბობდა შინაარსს და მეორე საღამოზე გვკითხავდა, აბა ვინ უფრო კარგად მიამბობს, რაც გუშინ გავიგონეთო. ვინც კარგად ვუამბობდით, გვაქებდა, და ამ ქებას ჩვენ დიდად ვაფასებდით".

რვა წლის ილია მშობლებს ყვარელში კვირაცხოვლის ტაძრის მთავრის სკოლაში მიუბარებიათ; მთავარმა ძალიან კარგად იცოდა ქართული და საღმრთო წიგნების უბადლო მკითხველი იყო. როგორც ილიას ერთ-ერთი ბიოგრაფი და „ივერიის" თანამშრომელი გრიგოლ ყიფშიძე იგონებს: „ეს გარემოება იყო მიზეზი იმისა, რომ ილიას შერჩა სიყვარული საღმრთო წერილის კითხვისა, მისის ქართულის ენა-მზიანობისა და სიღრმე-ძალისა, აგრეთვე სახარების კარგის, კილოიანის კითხვისა ეკკლესიაში. ილია იმ აზრს ადგა, რომ ქართულის ღრმა და ყოველმხრივ შესწავლისათვის აუცილებლად საჭიროა კითხვა საღმრთო წიგნებისა, ცოდნა ძველის ქართულისა. ქართულს ის შეისწავლის საფუძვლიანად, ვინც ხშირად კითხულობს საღმრთო წერილის წიგნებს, კითხულობს შეგნებით და უკვირდება ძველის ქართულის საგრამატიკო ფორმებს, მის მიმოხვრას და სინტაქსსაო. თვითონაც ხშირად კითხულობდა ძველ ქართულ წიგნებს, სახარება-სამოციქულოს და მოსმენაც უყვარდა ეკკლესიაში მათის წაკითხვისა, ისე აღდგომა არ გათენდებოდა, თითქმის, რომ განსაკუთრებული გულის-ძგერა არ აშლოდა და არ მოენდომებინა ეკკლესიაში წასვლა, უფრო კი სახარების კითხვის მოსასმენად".

თვითონ ილია ასე იგონებს: „მთავართან ვსწავლობდი ჩემ სამშობლო სოფლის გლეხ-კაცების შვილებთან. ხუთნი თუ ექვსნი ვიყავით, რამდენადაც მახსოვს. ყველანი ბინიდან დავდიოდით მთავართან დილ-დილით და სწავლა გვქონდა შუადღემდე. წერა-კითხვას, როგორც მახსოვს, სულ ერთ საათს ვანდომებდით ხოლმე. დანარჩენი დრო იმაში გადიოდა, რომ ვთამაშობდით თვით მთავრის ზედამხედველობით და

გაგრძელება მე-15 გვ. -ზე



დასაწყისი მე-14 გვ. -ზე

ხელმძღვანელობით და უმთავრესად უფრო იმაში, რომ ვისხედით და ვისმენდით იმის გასატაცებელ ნაამბობს. იმისი უმთავრესი ღირსება ის იყო, რომ მომხიბვლელი თქმა იცოდა ამბებისა. გვიამბობდა მდაბიურად და ბავშვებისთვის ადვილად გასაგების ენით უფრო საღმრთო და სამშობლო ქვეყნის ისტორიის ამბებს, ვის რა გმირობა მოემოქმედნა, ვის რა ფალავნობა გაეწია, ვის რა ღვაწლი და სიკეთე დაეთესა სამშობლოსა და სარწმუნოების სასარგებლოდ და დასაცველად“.

ყმაწვილი ილიას ბუნებაში ღრმად ჩაიმარხა ეს ამბები და როგორც თვითონვე ამბობს: „ერთ-ერთი მათ შორის – დიმიტრი თავდადებულის თემად გამოვიყენე მრავალი წლის შემდეგაო. ერთი კიდევ საშობაო მოთხრობად დავწერეო“. როგორც სჩანს, ეს მოთხრობა „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილია“... „გლახის ნაამბობშიც“ ერთ ადგილს ცხადად ამჩნევია კვალი მთავრის ამბების გავლენისაო“.

სწორედ თავისი სათაყვანებელი ყვარლის, თავისი ბავშვობის წლების საოცარი გახსენებაა ილიას ეს მშვენიერი პატარა მოთხრობა – „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“. „...მახსოვს, როცა პატარა ვიყავი, ვნატრობდი წინა ღამეს ახალი წლისა მალე გათენდეს მეთქი. მახსოვს ეს წინა ღამე ახალი წლისა ჩვენს პატარა სოფელში, სადაც ბღარტებსავით გარს გეხვიენით დედ-მამას, ორნი დანი და სამნი ძმანი. დედაჩვენი ბუხარში თაფლს ადნობდა და თაფლი თითქოს გვეუბნებოდა: დაიცადეთ ხვალამდე, დღეს მე თქვენთვის ვდნებიო. ჩვენ ბედნიერები ვიყავით, თუ როგორმე მოვასწრებდით და თითს ამოვავლებდით თაფლს, ხარხარს და დედის უგულოდ ტყუილად ჯავრობას ბოლო არ ქონდა...

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ბევრი რამ კარგი წაგვართვა, თან წაიყოლა. დაგვეხოცა დედ-მამა, მომიკვდა ორი ძმა, გარდამეცვალა ერთი დაცა, დავრჩით ამ ქვეყნიერებაზედ მარტო ორნი და-ძმანი. ეხლა ერთსაც და მეორესაც თმაში ჭაღარა



გვირევია, და როცა ახალი წელი მოდის, მინდა თუ არა, ცრემლიანი თვალით უკან მიმახედებს ხოლმე. ვხედავ ჩემს თავს პატარა სოფელში, ჩემს პატარა ყვარელთან.

ფუნჩულა და-ძმებს შორის ვხედავ როგორ დაგვხარიან შვილებს დედა და მამა. როგორ შევხარით ბავშვური სიხარულით დედას, მამას, მესმის მტრედივით უგუნური ტიტინი ჩემის პატარა დისა, პატარა ძმისა,„მომესმის ჭკუადამჯდარი, სიყვარულიანი ლაპარაკი დედაჩემისა, მამაჩემისა; დღეს ყოველივე ეს მარტო ტკბილი სიზმარია“. და გულდაწყვეტილი ილია სწუხს: „... დღეს იქ, იმ პატარა სოფელში, საცა ამოდენა სახსოვარი აუგია ჩემს გულს, მარტო ხუთი სამარეღაა და ამ სამარეებში მარხია ყოველივე, რისთვისაც ეხლა გული მეწვის, გული მედაგება. – დედა, მამა, ორი ძმა და ერთი და, და ამასთან ერთად ჩემი ყმაწვილობაცა, ე. ი. იგი ბედნიერება, რომელიც წავიდა და თავის დღეში აღარ დამიბრუნდება“.

სწავლის დასრულების შემდეგ პეტერბურგიდან დაბრუნებული ილია ჭავჭავაძის ძირითადი სამოღვაწეო ასპარეზი თბილისია, მთელი საქართველოა, მას ყვარელთან კავშირი და ურთიერთობა არასოდეს გაუწყვეტია, ყვარლისადმი ინტერესი და სიყვარული არასოდეს განელებია, მის გულს ყვარელი არასოდეს მოსცილებია.

მას გადაწყვეტილი ჰქონდა დროგამოშვებით მაინც ეცხოვრა ყვარელში და დაიწყო კიდეც აქ სახლის აშენებაზე ზრუნვა. იგი თავის მეუღლეს ოლღას ასეთ წერილს უგზავნის: „ორი პოვოსკა ვიყიდე ქალაქში და გავისტუმრე კახეთს მასალის საზიდად“. და მითითებას აძლევს მას – „იქნებ ნიკოლოზამ როგორმე პატარა გუთანი გააკეთებინოს და ცხენები შეაბას და ისე მოხნას, დუგანას კი ნუ შეაბამს. იქნება მოახერხოს და საქონელი თავისუფალი იქნება ხე-ტყის საზიდავად“ „... ჩვენ რომ ლაზათიანი სახლი არ დაყოფავს“.

სათავადაზნაურო ბანკის საკუთრებათან დაკავშირებით რუსეთს გამგზავრებული, ისევ სწერს მეუღლეს: „...თუ მე და შენ სახლებიც ავიშენეთ, დიდი ვინმეები ვიქნებით და ბინა გვექნება“.

ილიამ სახლის მშენებლობის საქმეში ცოლიც ჩააბა, რადგან თვითონ საქვეყნო საქმეებით იყო დაკავებული და ხან თბილისიდან, ხან პეტერბურგიდან წერილს წერილზე უგზავნის და სთხოვს მოაგვაროს მშენებლობასთან დაკავშირებული პრობლემები: „შენი ჭირიმე ოლიკო! იქნება როგორმე ხელი შეუწყო ჩვენი სახლის აშენებას, ღვინო იქნება, პურით თუ ფულით როგორმე ისე მოახერხო, რომ საქმე წინ წადგეს. ისევ – „შენი ჭირიმე, ოლიკო! დაწვრილებით შემიტყვე, ჩვენმა ფოდრიაჩიკმა ყველაფერი აღასრულა თუ არა, რაც პირობა ჰქონდა; ქვიშა, აგური დაწვეს თუ არა? ხე-ტყე მოიტანეს თუ არა? გასინჯე ყველაფერი გაუკეთებია თუ არა, რაც ვალად ედო?“

ამავე დროს მას არც ერთი სხვა საოჯახო სამეურნეო საკითხის მოწესრიგება არ ავიწყდებოდა, პირუტყვის პატრონობა იქნებოდა, ვენახის მოვლა, თუ ხვნა-თესვა. „აბა ვინძლო ყოჩაღად მოიქცე და მამულს კარგად მოუარო. სულ ამას ჩიოდი, რომ მოსავლელი არა მაქვს რაო და რა გავაკეთოო. აი, ჩემი მამული, შენი ჭირის სანაცვლოდ შენდა ფეხთა ქვეშ ფიანდაზად გამიშლია“. „...ახ, ნეტავი ჩემს მოსვლამდე ჩვენი სახლები შავად მაინც მომზადებულიყო!“ – სწერს იგი მეუღლეს.

პეტერბურგიდან გამოგზავნილი ერთ-ერთი წერილიდან კი შესჩივის: „... ის არა სჯობია ვეგდო ყვარელში... ღმერთს ერთი ლუკმა მოუცია და მშვიდობით და მოსვენებითა ვჭამო-მეთქი ჩემს ოლიკოსთან... იქნება აქედამ რომ მოვალ ამა ქვეყნის დავიდარაბას თავი დავანებო, და ჩვენ ყვარელში ჩავიკეტოთ თავი მე და შენ, თუ სამუდამოდ არა, იმ დრომდე მაინც, რომ პატარა მოსვენებით დავსტკბეთ ერთად ცხოვრებითა ქვეყნის ყაყანს მოშორებულნი“.

ამ პერიოდისათვის ილიას თავისი ყვარლის მამულების მოურავად ყავდა თავისი დის ნინოს ვაჟი – გიგო აფხაზი, რომლის მოურავობითაც, როგორც წერილებიდან ირკვევა დიდად კმაყოფილი არ უნდა ყოფილიყო.

„ოლიკო! ჩვენი სახლთუხუცესი გიგო როგორ ირჯება? ყოჩაღი ბიჭია თუკი მოინდომა, მაგრამ ცოტა ზარმაცი უნდა იყოს“. ერთ-ერთ წერილში კი თვითონ მას ასე მიმართავს: „შენი წიგნი ჩვენო მოურავთ-მოურავო, გვებოძა, მაგრამ ის, რაც მინდოდა შემეტყო, ვერ შემატყობინა, თუმცა წიგნი გაჭიანურებული იყო“.

ისევ პეტერბურგიდან მეუღლისადმი: „ჩემო უსაყვარლესო ოლიკო!... შინაური, ე.ი. ყვარლის ამბები ვერაფერი სანუგეშონი არიან, მაგრამ რა გაეწყობა ჩვენს ბედსა. ჩემმა სასიქადულო მოურავმა და გიორგიმ ვერაფერი კაცობა გამოიჩინეს. ერთმა თვითონ გაგვქურდა და მეორემ ჩვენი თავი სხვას გააქურდვინა“.

სწორედ ამ გიგოს ილია არ აძლევს უფლებას დაჩაგროს და უსამართლოდ მოექცეს მეზვრე გლეხებს და სწერს: „...თუ ღმერთი გწამს, გიგო, ეს ანდერძად გქონდეს ჩემგან: არა საქმეში უზნეობა, უპატიოსნობა არ გაურიო, გახსოვდეს ყოველთვის, რომ ქაღალდის გარდა არის კიდევ სინდისი, რომელზედაც იწერება პირობა იმ სიმკვიდრით და სიმტკიცით, რომ ვერავითარი ძალა ვერ ამოშლის და ვერ გააუქმებს... სამუდამოდ დაიმახსოვრე, რომ მოვალეობის გარეშე უფლება არ არსებობს, ხოლო მოვალეობა ისაა, რომ პატივი სცე და დაიცვა სხვისი უფლება და არ დაარღვიო იგი... ჩემს მოქმედებაში კანონის ნებართვას კი არ ვიმძღვარებ წინ, სინდისის ბრძანებას ვასრულებ ხოლმე. ამის გამო ვენახის ჩამორთმევაზე მე თანახმა არა ვარ“.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ილიას ყვარლის მამულების მოურავი იყო ნოშრევან ჯაფარიძე, მამა დიდი მხატვრის და ილიას ნათლულის ვახტანგ ჯაფარიძისა.

ჩვენამდე მოაღწია ნოშრევანისადმი ილიას გამოგზავნილმა წერილებმა: „გიგოზანი ნისქვილის ქვებს ორის ურმით და გთხოვ ორი საპალნე თავი ღვინო, ერთი საპალნე თეთრი და ერთი წითელი, ჩემთვის აილო და გამომიგზავნო ჩემის ურმებით“.

„... ნოშრევან, ვგზავნი წისქვილის ქვებს, რომელიც, სხვათა შორის, შენი მოწონებულიც არის. ქვები ყველამ მიქო, ვისაც კი გავასინჯე და არ ვიცი როგორი გამოდგება. დეპეშით მწერდი, რომ ღვინოებს ყიდულობენ, საპალნეს ექვსთუმანნახევრადაო. მეც ნება დაგრთე, მაგ ფასად გაჰყიდემეთქი. მერე წიგნი მოგწერე და დაგავალე, ორი საპალნე, ერთი თეთრი და ერთი წითელი თავი ღვინოები შეინახე – მეთქი. იმედი მაქვს შენახული გექნება და ამ ურმებს გამოატანე. ამ ურმებსვე გამოაყოლე ზაქი, სანდროს რომ მოუცია“.

„...ღვინის ფული სულ აქ უნდა ჩამაბარონ, ან პერევოდით გამომიგზავნონ და მინამ ჩემი ბარათი არ მოგივიდეს, ღვინო არ ამოაღებინო. დაწვრილებით მომწერე ღვინო რა პირობით გაჰყიდე, ფული როდის უნდა მოიტანონ, ან ამოწყვა როგორი უნდა იყოს. ამოწყვაში სანდრო მაყაშვილი დაისწარი, რომ მერე ჭორი-მორი არ იყოს რა: ყველა ეგ მეჯავრება. ქვები რა წამსაც მიილო, დააწყობინე, ერთი კოდი პური დააყრევინე და დანიშნე, რამდენს ხანს დაჰფქვავს და მომწერე. ამ სტეფანეს ტიკჭორა აქვს და ისე გამოატანე“.

ყვარელში ყოფნის და ცხოვრების სურვილი ილიას არასოდეს განელებია, რაც განსაკუთრებულად ნათლად სჩანს 1884 წელს უკვე ღრმად მოხუცებული მამიდა მაკრინესადმი გამოგზავნილი წერილიდან:

„... რამოდენა ხანია გარეთ ვეთრევი, რომ თრევით დავიღალე, და როგორც დალალული მგზავრი, ველი, როდის მომცემს ბედი ნებას, რომ ჩემი თავი ჩემს ქოხს შევაფარო, – ესე ამთვენი ხანია გარეთა ვარ უთქვენოდ, მაგრამ ისე როგორც ეხლა თქვენი ნახვა მე მინდა, ჩემს დღეში არ მომდომია. არ ვიცი ეს რისგან არის? იმისგან თუ, რომ ეხლა ბედმა ცოტად მაინც გამიღიმა, ცოლიც კარგი მყავს, ლუკმა-პურსაც ჩემი ცოდვილობით ვშოვობ და მაქვს. იქნება ამისგან მინდა, რომ ამ ყოფაში თქვენა მნახოთ მხიარული, ბედნიერი და თქვენც ჩვენის ამ ყოფით ისიამოვნოთ. მე თქვენთან ყოფნა რომ მინდა, იმისთვის, მამიდაჯან, რომ ბოლოს, ვინც თქვენ პატარაობაში დიდის მზრუნველობით გამოზარდეთ, ახლა იმან თქვენის ათასნაირი შრომისათვის ხელის გულზედ ერბო-კვერცხი იწვას და ისე გაცხოვროთ. სიკეთე, მამიდაჯან, დაუვიწყარია და რაც თქვენ ჩვენთვის სიკეთე გიქნიათ, ეგ უფრო განსაკუთრებით უკვდავი არის ჩემთვის. მე რომ მინდა მაინდ გადმოსვლა, იმიტომ უფრო, მამიდაჯან, რომ თქვენთან გახლდე და ჩემი დღენი თქვენს პატივისცემაში, სიამოვნებაში დავლიო“.

იური ჭავჭავაძის მეუღლე ელენე ჭავჭავაძე ასე იგონებს ილიას ერთ-ერთ ჩამოსვლას ყვარელში, ჩვენ რომ მივედითო ილია ეზოში, უცხოური ჯიშის ხეხილის ნერგებს არგვევინებდა. გლეხებსაც ურიგებდა და მათთვისაც რამოდენიმე ნერგი უჩუქებია და თან უთქვამს, – ხომ იცით როგორია ყვარლის დალოცვილი მიწა, თესლი უკულმა რომ გადააგდო, სწორად ამოვაო, გაუფრთხილდით, კარგად მოუარეთ და კარგადაც მოისხამსო.

1906 წელს მდინარე დურუჯის წყალდიდობას ყვარლისათვის დამანგრეველი ზარალი მიუყენებია და ილიამ ამ უბედურების დროსაც არ მოაკლო მზრუნველობა თავის მშობლიურ კუთხეს. საგანგებოდ ჩამოვიდა ყვარელში; მისი უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით მოხდა დურუჯზე პირველი სიმაგრეების მშენებლობა, რომლებსაც ეხლაც ყვარლელები ილიას დამბებს ვეძახით.

ილიას ჩამოსვლას ყვარელში შეიტყობდნენ თუ არა, იკრიბებოდნენ მასთან აქაური გლეხები: ხარატიშვილები, სეფაშვილები, ავაზაშვილები, ზაუტაშვილები, ფეიქრიშვილები, ბეუქლიშვილები, ბაიდოშვილები, ღონიაშვილები, კოკორაშვილები. ილია მათი მასპინძელი იყო და იმართებოდა სჯა-ბაასი წუთისოფლის ავ-კარგიანობაზე, ყვარელზე... სწორედ ამ გლეხებზე ამბობდა ილია: „... კიდევ დალოცა ღმერთმა გლეხნი, კაცურ-კაცობა თუ არის სადმე, კიდევ იმათშია“, მათთან მეგობრობას დიდად უფრთხილდებოდა და აფასებდა. მათი მონათხრობები გახდა თემა ილიას გენიალური ნაწარმოებებისა.

აუხდენელ ოცნებად დარჩა ილიას ყვარელში სახლის აშენება და აქ თავისი სიცოცხლის ბოლო წლების გატარება. წიწამურთან გასროლილმა ტყვიამ საქართველოს მოუკლა იგი, მაგრამ როგორც ვაჟაფშაველამ მაშინვე თქვა:

„და ილიაც არ მომკვდარა
მამულისთვის რჩება ლამპრად!“

ამ მამულისათვის ლამპრად ანთებული ილიას ეზო-კარის შესახებ დიდმა გოგლა ლეონიძემ, რომელიც აქაურობის ხშირი სტუმარი იყო, თქვა:

„ეზო როდია ნამოსახლარი
ამ სახლში დღესაც ცოცხლობს ილია“.

**ლიანა პაპაშვილი,**
*ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელი*

# გამოსათხოვარი

## მარიკა (მართა) სეფაშვილი



ჩვენო მარიკა, (მართა), ჩვენთვის განუმეორებელო, კეთილო ადამიანო, შენი გარდაცვალება ჩვენს ოჯახს მოუშუშებელ იარად დააჩნდა, ვერ წარმოგვედგინა უშენოდ როგორ შევძლებდით ცხოვრებას, მაგრამ თურმე ყველაფერს ეგუება ადამიანი, ეგუება იმიტომ, რომ ეს ყველაფერი უსაშველოა. ახლა ყველას მოგონებაში ხარ და ყოველთვის გიხსენებთ შენი კარგი ადამიანობით, როგორც შენი ახლობლები, ისე მეგობრები და ყოფილი თანამშრომლები. მაგრამ ერთი ცხადია, შენს შვილებს და შვილიშვილებს მოაკლდა ის სითბო და ის სიყვარული, რომელსაც უხვად გასცემდი. იძინე მშვიდად ჩვენთვის დაუვიწყარო, ოჯახზე უზომოდ მზრუნველო და შეყვარებულო, კარგო მეუღლევ, დედავ და ბებიავ. ჩვენ კი, აქ დარჩენილები, ყოველთვის ვილოცებთ შენი სულისთვის. ნათელი ედგეს შენს სამუდამო სასუფეველს.

**ოჯახი**

## გივი პაპაშვილის გახსენება



ჩემო ძმაო გივი! ჩემო ერთადერთო იმედო. წელს პირველად მოვიდა შენი დაბადების დღე, 10 ნოემბერი. დღე, რომელსაც შენი ოჯახი ყოველთვის დიდი სიხარულით ელოდა. მთელი ცხოვრება შრომაში გაქვს გატარებული. ყველაფერს აკეთებდი ოჯახის ფეხზე დასაყენებლად. ახლა კი ოჯახის მთელი ტვირთი დათოს დააწვა ზურგზე. შენც ხომ სრულიად ახალგაზრდას გამოგეცალა მამა ხელიდან და იმ დღიდან მუხლჩაუხრელად შრომობ. იყავი არაჩვეულებრივი მეუღლე, მამა და პაპა. სიცოცხლეზე შეყვარებული იყავ! ყველაფერი დათმე ოღონდაც გეცოცხლა და გაგეხარა შენს შვილებთან დათოსთან და მაიასთან. ამაყობდი შენი შვილიშვილებით.

შენმა მოურჩენელმა, ვერაგმა ავადმყოფობამ ორი ზაფხულია დაგავიწყა მთის გზა. შენ ყოველთვის მასპინძელი იყავი ყველა სტუმრის, ვინც კი მთაში სანადიროდ თუ დასასვენებლად ამოვიდოდა. ხშირად გამიგონია ასეთი ნათქვამი ბათოს ბიჭის ბინაზე ვიყავით, ღამე იქ გავათენეთ და კარგადაც გვიმასპინძლაო.

ჩემო კეთილო და ყველას პატივისმცემელო ძმაო, 68 წელი უღალატოდ იარე ყვარლის მიწაზე და კაცური კაცობის ლამაზი სახელი დატოვე.

მონატრება უფრო და უფრო გაუსაძლისია. რას არ მივცემდი, ოღონდაც იმ წარსულში დამაბრუნა და შენ გხედავდე თუნდაც ბოლო ორი თვის მოგონებით, როცა ძალიან გიჭირდა და ყოველ საღამოს ჩემს მოსვლას რომ ელოდი. ისე მენატრები ლამის გასკდეს გული.

უფალმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული. შენ მუდამ იცოცხლებ ჩვენს გულებში. გვიყვარხარ და გვენატრები.

**შენი ოჯახი და შენი და**
**ნაირა პაპაშვილი**

**მეუღლე გივი ცქვიტიშვილი, შვილები: დავით, ზურაბ ცქვიტიშვილები; რძლები: თამარ კანტროშვილი, ელენე ხუციშვილი; შვილიშვილები: გიორგი, მარიამ, ქეთო ცქვიტიშვილები იუწყებიან მარიკა (მართა) სეფაშვილის გარდაცვალებას.**

**მეუღლე როზა ოჩინსკაია, შვილები ბესიკი, ნანული; და თამილა, რძალი შორენა სოხაძე, სიძე ზაზა გელაშვილი; შვილიშვილები თორნიკე, დავით სეფაშვილები, დავით თამარ, გიორგი, ნიკოლოზ, ლუკა გელაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აკაკი იორდანეს ძე სეფაშვილი.**

**შპს „მედია-ცენტრის „ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გაზეთ „ყვარლის“ რედაქტორის ყოფილი მოადგილე აკაკი სეფაშვილი და მწუხარებაში თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახსა და ახლობლებს.**

**ახალსოფლის მე-2 საჯარო სკოლის პედკოლექტივი მწუხარებაში თანაუგრძნობს ამავე სკოლის დირექტორს მალხაზ ცერცვაძეს დედის თინა ცაგარელის გარდაცვალების გამო.**

# რას ლაღადებდა ილია მართალი?!

დასაწყისი მე-13 გვ. -ზე

მფარველობას, იმ ბედნიერადა და უტკივრად შინაურ ცხოვრებას, რომელთათვისაც ამდენს საუკუნეების განმავლობაში ასე თავგამეტებით, ასე თავდადებით იბრძოდა საქართველოს შვილი და თავისის სისხლით ჰრწყავდა ყოველს კუთხეს თავისის ქვეყნისას. ამ ღირსსახსოვარ დღიდამ საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა, დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემაძრწუნებელ სახსოვრადღა დაგვრჩა.

დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა, სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვრისათვის ჯვარცმულ საქართველოს, რომელიც ღმერთმა სააქაო სამოთხედ გაუჩინა ადამიანს და კინაღამ ერთ დიდ სასაფლაოდ არ გადაექცა მისს თავდადებულ შვილებს, რომელნიც უმწედ, უნუგეშ, ყველასაგან შორს, მარტოდმარტო იხოცებოდნენ ქრისტეს სარწმუნოების სადიდებლად და თავისის ვინაობის გადასარჩენად. დაიდვა საზღვარი მშვიდობისმყოფელ ცხოვრებისა. ის დღეა და ეს დღე, ველარავინ გადმოლახა იგი საზღვარი ცეცხლითა და მახვილით ხელში და 26 ნოემბერს 1799 წელს, კვლავ სასოებაგაღვიძებული მეფე და ერი, გულწრფელად მიენდო თავისს მომავალსა, დიდის რუსეთის მფარველობის იმედითა და ნუგეშინით ფრთაშესხმული.

დღეს, 26 ნოემბერს 1899 წ., სწორედ ასი წელიწადია მას აქედ“.

**გრიგოლ რუხაძე,**
**პროფესორი**

## მეცნიერები და ექიმები გვთავაზობენ,

# ტიბეტელი ბერების საუკუნო საიდუმლოს ფარდა აეხადა – ჯანმრთელობის ელექსირი ცნობილია



მედიცინა მეცნიერებისა და პრაქტიკული საქმიანობის დარგია, რომელიც მიმართულია ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის, დაავადებების თავიდან აცილებისა და მკურნალობის, სიცოცხლის გახანგრძლივებისაკენ. საუკუნეების განმავლობაში ადამიანთა გამოცდილებით დაგროვდა სამკურნალო საშუალებები და მეთოდები, რომლებიც შემონახულ იქნა, მათ შორის ხალხურ მედიცინაში და რომლებიც მოგვიანებით მეცნიერული მედიცინის ნაწილი გახდა.

კაცობრიობის ისტორია სავსეა და მოიცავს რიგ განვითარებებს. ის, რომ ჯანმრთელობის ფასი არაფერია, ტყუილი გამონათქვამი არ არის დამეთანხმებით. ძალიან კარგად ხვდებით, რომ ფულით იყიდით ბევრ რამეს, თუმცა გარკვეულ წილად ჯანმრთელობას ვერა. ეს უკანასკნელი (თუმცა უპირველესი) ხომ განაპირობებს ჩვენი ბედნიერების და ნორმალური ცხოვრების მსვლელობას. ცხადია, რომ დაავადებათა უმეტესი ნაწილი შეძენილი, თანდაყოლილი და გენეტიკური ფაქტორია, რომელთა წინააღმდეგ დღემდე იბრძვიან ჩვენი სწავლული მეცნიერები და ექიმები. წარსულიდან მოყოლებული დღემდე კი ჩვენი სამედიცინო ისტორია რიგ დაავადებებსა და მათი მკურნალობის მეთოდებს ინახავს. მაშასადამე მედიცინის ისტორია სავსეა ველური სიუჟეტებით, უცნაური მკურნალობითა და სამედიცინო პროცედურებით, რომელშიც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ტკივილმა და ტანჯვამ. მიუხედავად ექიმების კეთილშობილური და გულწრფელი სურვილისა ჰუმანური გზით განეკურნა ესა თუ ის პაციენტი, სამედიცინო პროცედურები უფრო საშიში აღმოჩნდა, ვიდრე დაავადება. თუმცა, ძველ სამედიცინო ტრაქტატში ე.წ. „ლურჯ ბერილს" ენიჭება მნიშვნელოვანი როლი, სადაც ძირითად სამკურნალო საშუალებას ბალახები წარმოადგენდა.

ტიბეტელი ბერები, ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ ცნობილი მკურნალები არიან უხსოვარი დროიდან, რომლებიც კურნავდნენ მრავალ დაავადებას საუკუნეების მანძილზე ბალახების მეშვეობით და თაობებიდან-თაობებს გადასცემდნენ მათი მომზადების რეცეპტებს. ძირითად სამკურნალო პროცედურას კი სისხლის გაწმენდა წარმოადგენდა, რომლის დროსაც იწმინდებოდა სისხლი და სრულიად ლიმფა, რაც ხელს უწყობდა პაციენტის ძალიან მალე გამოჯანმრთელებას და ითვლებოდა სხვადასხვა დაავადების პრევენციად.მრავალი წლის შემდეგ კი დაკარგული იყო მკურნალობის რეცეპტები და მხოლოდ უახლოეს წარსულში გახდა მათი კვლავ მოპოვება შესაძლებელი.

დღევანდელ სტატიაში კი მინდა შემოგთავაზოთ ტიბეტელი ბერების – სამი მეტად ეფექტური, სისხლისა და სისხლძარღვების გამწმენდი რეცეპტი. რა თქმა უნდა, მასში შემავალ თითოეულ პროდუქტს აქვს უკუჩვენება, ამიტომ ორსულებმა და კუჭ-ნაწლავის პრობლემების მქონე პაციენტებმა მხოლოდ ექიმთან კონსულტაციის შემდეგ ჩაიტარეთ მკურნალობის კურსი.

**1. ქრისტესისხლას ნაყენი – ლიმფურას გამწმენდი.** ამ მცენარის სამკურნალო და საკმაოდ ეფექტურ თვისებებზე მხოლოდ ტიბეტელი ბერებისგან როდი ვიცით, ხშირად მოიხმარდნენ ჩვენი წინაპრებიც ხალხურ მედიცინაში. (პირადად მაქვს გამოყენებული და მართლაც სასწაულებრივია) მისი ნაყენი ხელს უწყობს ლიმფური სისტემის ფუნქციის გაუმჯობესებას და წმენდს ჭარბი პათოგენური ბალასტისგან.

**მომზადება და გამოყენება:** ქრისტესისხლას მცენარე დაჩეჩქვეთ, გამოადინეთ წვენი და 10 წვეთი გააზავეთ 70 მილიგრამ სამედიცინო სპირტთან. ნაყენი ყოველთვის შეინახეთ მაცივარში. დილის საუზმის წინ მიიღეთ 1 წვეთი, სადილის წინ 2 წვეთი, სამხარის წინ 3 წვეთი და ა.შ... მომდევნო დღეს მოუმატეთ 1 წვეთი. მაგ: დილის საუზმის წინ 2 წვეთი, სადილის წინ 3 წვეთი, სამხარის წინ 4 წვეთი და ა.შ, როდესაც ახვალთ 15 წვეთამდე ყოველ დღე 1 წვეთის მატებით, შემდეგ – მომდევნო დღეს უკვე შეამცირეთ დოზა 1 წვეთით და ასე ყოველ დღე თითო შემცირებული წვეთით მიიღეთ ანალოგიური პრინციპით.





**2. კოჭას ნაყენი (იმბირი, ჯინჯერი, კოჭა).** კოჭას გააჩნია უნიკალური უნარი ორგანიზმიდან გამოდევნოს ყველა ტოქსინი – ქიმიური, საკვების და რადიაციული, რითიც ასუფთავებს სისხლს. მისი ხშირი მოხმარება ასევე სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის, ამარცხებს ჭარბ წონას და აუმჯობესებს თმასა და კანს.

**მომზადება და გამოყენება:** 10-20 გრამი კოჭას ნედლ ნედლეულს, ან 1 ჩაის კოვზ კოჭას ფხვნილს (რომელსაც მოიპოვებთ) დაასხით ერთი ჭიქა ადუღებული წყალი, გააჩერეთ 10 წუთის განმავლობაში და გემოვნების მიხედვით დაამატეთ 1 ჩაის კოვზი ლიმონის წვენი და თაფლი. მიღებული 1 ჭიქა ნაყენის ნახევარი დალიეთ დილით უზმოზე, სადილამდე ნახევარი საათით ადრე, ხოლო მეორე ნახევარი ასევე ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, დღის ნებისმიერ მონაკვეთში.

**3. ნიორი** – სიცოცხლის გახანგრძლივების ელექსირი. კარგად მოგეხსენებათ, რომ ნიორი ძალიან ბევრ რამეს კურნავს. მისი სადეზინფექციო და ანტიბაქტერიული თვისებები ყველასთვის ცნობილია. ის ასევე ძალიან სწრაფად აძლიერებს იმუნურ სისტემას, ზრდის მეტაბოლიზმს და კლავს პარაზიტებს. ტიბეტელი ბერები კი გვთავაზობენ ნიორის მეშვეობით სისხლისა და სისხლ-ძარღვების განმწმენდ ელექსირს.

**მომზადება და გამოყენება:** 40 გრამი დაქუცმაცებული ნიორი მოათავსეთ მინის კონტეინერში და დაასხით 100 მლ სპირტი ან არაყი. ნარევი შეინახეთ გრილ და ბნელ ადგილას 10 დღის მანძილზე. ჭამამდე ნახევარი საათით ადრე მიიღეთ ნაყენის 10 წვეთი, დღეში 2-3-ჯერ. კურსი ჩაიტარეთ 10 დღის განმავლობაში, დასაშვებია 1 თვემდე.

intermedia.ge



# 10 მიზეზი თუ რატომ არ უნდა გადავყაროთ კვერცხის ნაჭუჭი

კვერცხი შეიცავს ადამიანის ორგანიზმისათვის აუცილებელ ყველა ამინომჟავებს, მიკრო და მაკროელემენტებს – კალციუმს, კალიუმს, ფოსფორს, მაგნიუმს, ნატრიუმს, ქლორს, გოგირდს, რკინას, თუთიას, იოდს, სპილენძს, მარგანეცს, ქრომს, ფტორს, მოლიბდენს, ბორს, კობალტს. ის მდიდარია ჯგუფის ვიტამინებით (B1, B2, B3, B6, B9, B12), ასევე შეიცავს E, C, D, A, H, PP, K ვიტამინებს. ფაქტობრივად ერთადერთი პროდუქტია, რომლის 97%-ის შეწოვაც ხდება ორგანიზმის მიერ და არ ტოვებს შლაკებს, მდიდარია ცილებით და ორგანიზმის სწორი ფუნქციონირებისა და განვითარებისთვის უპირველესია. წარმოადგენს ნიაცინის წყაროს და აუცილებელია ტვინის კვებისთვის და სასქესო ჰორმონების ჩამოყალიბებისათვის.

ვისაც გიყვართ ეს ზემო ხსენებული პროდუქტი – გიხაროდეთ, თუმცა ჰარვარდის სკოლის ექიმები გვინმარტავენ, რომ კვირაში 7 ცალზე მეტი არ უნდა მიირთვათ, ვინაიდან გადამეტებული დოზით მათი მიღება ზრდის სიკვდილიანობის რისკს 23%-ით და განსაკუთრებით მამაკაცებში. ეს რაც შეეხება კვერცხს, მაგრამ გიფიქრიათ კი იმაზე რა სასარგებლოა მისი ნაჭუჭი, რომელსაც ჩვენს პრაქტიკულ ცხოვრებაში თითქმის ყოველ დღე ვაგდებთ ნაგვის ურნაში?

ყველაზე სასარგებლო გარეული ფრინველის კვერცხის ნაჭუჭი ყოფილა, თუმცა არც ჩვენი ქათმების არის ურიგო ჩვენი ჯანმრთელობისთვის. კვერცხის ნაჭუჭი დიდი ოდენობით და სულ 27 მიკროელემენტს შეიცავს – ფტორი, სპილენძი, რკინა, მარგანეცი, მოლიბდენი, ფოსფორი, გოგირდი, თუთია, სილიციუმი... ერთი კვერცხის ნაჭუჭი შეიცავს 2გრ კალციუმს. კვერცხის ნაჭუჭს შემდეგნაირად ამზადებენ: კვერცხი კარგად ირეცხება თბილ წყალში, ათავისუფლებენ ცილისგან და გულისგან, ისევ რეცხავენ და 5 წუთით მდუღარე წყალში დებენ, შემდეგ კი 2-3 საათის მანძილზე მშრალ ხელსახოცზე აშრობენ. გამომშრალ ნაჭუჭს ფქვავენ (შეიძლება ყავის საფქვავშიც) და ის მზადაა მოხმარებისათვის. მოზრდილებისთვის დოზირება განისაზღვრება დღეში 3 გრამამდე ასაკის მიხედვით. კვერცხის ნაჭუჭის კურსის ჩატარება შეიძლება წელიწადში ორჯერ, 15-20 დღიანი ხანგრძლივობით. 6 თვიდან წლამდე ბავშვებს ოდენობას დანის წვერით აძლევენ, ხოლო 1 წლიდან 3 წლამდე კი ორმაგი დოზით.

ახლა კი გამცნობთ იმ 10 მიზეზს, თუ რა სასარგებლო თვისებები აქვს ნაჭუჭს.

### 1. კურნავს მრავალ დაავადებას

მაშასადამე კვერცხის ნაჭუჭი გამოიყენება კარიესის, ოსტეოპოროზის, ხერხემლის, ღრძილებიდან სისხლდენების, გაღიზიანებისა და ალერგიის სამკურნალოდ. ასევე ეფექტურია ასთმის სამკურნალოდ, ამ უკანასკნელმა შეიძლება არ განკურნოს, თუმცა შესამჩნევი შედეგი მისი შემსუბუქებისა ადვილი შესამჩნევი გახდება. მედიცინა ასევე გვთავაზობს კვერცხის ნაჭუჭით თორმეტგოჯანაწლავის წყლულოვანი დაავადების მკურნალობას. ეფექტურია დამწვრობის, გასტრიტის და დიარეის დროს. ამცირებს კენჭებს თირკმელსა და ნაღვლის ბუშტში.

### 2. ამდიდრებს ორგანიზმს კალციუმით

კვერცხის ნაჭუჭი კალცის ბუნებრივი წყაროა. მართალია კალცს ვხვდებით თაბაშირსა და ნაცარშიც, მაგრამ ნაჭუჭი ერთადერთია, რომელიც ორგანიზმის მიერ თითქმის მთლიანად შეიწოვება და აუცილებელია ფუნქციონირებისთვის. ნაჭუჭის კალცი იდენტურია ადამიანის ძვლებისა და კბილებისა, ამიტომ მათი თავსებადობა უნივერსალურია.

ქალებს, რომლებიც უახლოეს მომავალში აპირებენ შვილის ჩასახვას, უკეთესია გაიარონ ეს კურსი, რათა აიცილონ თავიდან ორსულობის პერიოდით კალცის დაკარგვა ორგანიზმიდან და შვილიც ჯანმრთელი დაიბადოს.

### 3. ხელს უწყობს ბავშვებს ძვლის ფორმირებაში

მოგეხსენებათ, რომ 3 წლამდე ბავშვის ჩონჩხისა და ძვლების ფორმირება მიმდინარეობს და ხშირია ამ პერიოდში პედიატრების მიერ კალცის პრეპარატის დანიშვნა, თუმცა არ იქნება ურიგო ბუნებრივ კალციუმს თუ დავამატებთ და უზრუნველვყოფთ ჩვენი პატარების სიჯანსაღეს. 6 თვიდან 1 წლამდე ასაკში კვერცხის ნაჭუჭის პუდრს აძლევენ დანის წვერით დოზირებით რძესა და ფაფებში შერევით, 1 წლის შემდეგ 3 წლამდე კი დოზა ორმაგდება.

### 4. რადიოაქტიურ ნივთიერებებს გამოდევნის

ადამიანის ორგანიზმი სწრაფად იგროვებს რადიოაქტირუ ნივთიერებებს-რადიონუკლიდებს, რომლებიც არსებობენ გარშემო და საზიანოა ჯანმრთელობისთვის. სწორედ ამ მოტივით, რომ ისინი გამოიდევნონ ორგანიზმიდან, გამოიყენეთ კვერცხის ნაჭუჭის პუდრი 1/4 ჩაის კოვზი ყოველ დღე, რამდენიმე კვირის განმავლობაში.

### 5. აძლიერებს თმას და ფრჩხილებს

კალციუმი წყაროა ლამაზი თმისა და ფრჩხილებისთვის, თუმცა დღეს საყოველთაო პრობლემაა დაზიანებული თმა, მისი ცვენა და სუსტი ფრჩხილები. ამიტომ მიიღეთ კვერცხის ნაჭუჭის პუდრი კვირაში ერთხელ მაინც 1/3 ჩაის კოვზი 2 კაფსულა თევზის ქონთან ერთად.



### 6. ათეთრებს თეთრეულს

კვერცხის ნაჭუჭს საოცარი გამათეთრებელი ეფექტი გააჩნია, ამიტომ როდესაც გადაწყვეტთ დარეცხოთ თეთრი ტანსაცმელი ან თეთრეული, კვერცხის ნაჭუჭის პუდრი მოათავსეთ პატარა ნაჭერში, გამოკარით ტომარასავით და შეაგდეთ სარეცხის მანქანაში სარეცხთან ერთად, ეფექტს აუცილებლად შეამჩნევთ.

### 7. აუმჯობესებს ყავის გემოს

თუ გსურთ ყავის ნამდვილი გემო შეიგრძნოთ, გარეცხილი სუფთა ნაჭუჭები ჩაყარეთ მადუღარაში ყავის მოდუღების პროცესში (მოზრდილი ნაჭრები რომ იყოს, რათა შემდეგ ამოღება არ გაგიჭირდეთ). კალციუმი ანეიტრალებს მჟავას და ყავა აღარ იქნება მწარე.

### 8. ასუფთავებს ქვაბებს და ტაფებს

თქვენდა გასაოცად კვერცხის ნაჭუჭს გააჩნია ჭურჭლის მათეთრებელი ეფექტიც. მაგალითისთვის დაანაწევრედ ნაჭუჭი, ჩაყარეთ გასახეხ ტაფაში ან ქვაბში, კარგად შეარხიეთ და დააყოვნეთ ღამე, დილით ჭურჭელი სუფთა იქნება. ის ასევე კარგად აშორებს ტაფიდან ცხიმებს, დააყარეთ ცხიმიან ტაფას და სარეცხი ბუბკით შემოწმინდეთ.

### 9. გამოიყენება დაჩებსა და ბაღჩებში

აქამდე ალბათ არ იცოდით, რომ უებარია კვერცხის ნაჭუჭი გემრიელი მოსავლისთვის. გარეცხილი და ნაჭრებად დანაწევრებული ნაჭუჭი ნიადაგში მოაბნიეთ – ერთ კვადრატულ მეტრზე 100 ნაჭუჭი, სანამ თესვას დაიწყებთ. მნიშვნელოვნად შეამცირებს მიწაში მჟავიანობას და შესამჩნევად გემრიელი და სასარგებლო იქნება პომიდორი, კიტრი თუ კარტოფილი.

### 10. ანოყიერებს ქოთნის მცენარეებს

კვერცის ნაჭუჭის პუდრს დაასხით წყალი და დააყოვნეთ 24 საათი, შემდეგ კი ამ ნაზავით მორწყით ქოთნის მცენარეები, უებარი სასუქია თქვენი ყვავილებისთვის.

გ ვ ი რ ჩ ე ვ ე ნ ,  გ ვ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ე ნ

# როგორ ვიმკურნალოთ ფიტოთერაპიის დახმარებით



### 1. ზედმეტ კილოგრამებს ამ საშუალებით მოიცილებთ

ამ რეცეპტით არა მარტო ჭარბ წონას გაუმკლავდებით, მნიშვნელოვნად გაიუმჯობესებთ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუშაობასაც. აიღეთ ერთი პეშვი შვრიის ფანტელი „ჰერკულესი", შავი ქლიავი და უმი, მსხვილ სახეხზე გახეხილი ჭარხალი. დაასხით 2 ლიტრი მდუღარე წყალი და ადუღეთ 15 წუთის განმავლობაში ნელ ცეცხლზე. მიიღებთ კისელის მსგავს მასას, გადაწურეთ და დალიეთ დაძინებამდე 2 საათით ადრე.



### 2. ფარისებრი ჯირკვლის დარღვეულ ფუნქციას ეს ნარევი მოაწესრიგებს

მომინანქრებულ ქვაბში მოათავსეთ: თითო ჩაის ჭიქა დაფქული წიწიბურას ბურღული, გატარებული ნიგოზი და თაფლი. კარგად აურიეთ და გადაიტანეთ მინის ქილაში. კვირაში ერთი დღე მიიღეთ მხოლოდ ეს ნარევი და მეტი არავითარი საკვები, წყლის გარდა. გააკეთეთ ასე 6-ჯერ, ანუ 6 კვირის მანძილზე. შემდეგ ერთი თვე შეისვენეთ და

ისევ გაიმეორეთ მკურნალობის კურსი.

### 3. ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის პრობლემების დროს კარტოფილის ნახარში მიიღეთ

აიღეთ 1 კგ კარტოფილი, კარგად გარეცხეთ (არ გაფცქვნათ), დაასხით 6 ლიტრი წყალი, დაახურეთ სარქველი და ხარშეთ დაბალ ცეცხლზე 4 საათის განმავლობაში. დაუმატეთ ცოტა მარილი, ნახარში არ გადაღვაროთ და ჩაჭყლიტეთ. გამოგივათ ძალიან თხელი, თითქმის თხევადი პიურე. ქვაბი რამდენიმე საათით დატოვეთ, რომ პიურე ქვემოთ დაილექოს. ზემოდან წარმოიქმნება გამჭვირვალე სითხე, სწორედ ის გვჭირდება წამლად.

ფრთხილად გადაწურეთ და მიიღეთ 2 სუფრის კოვზი სამჯერ დღეში, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, ერთი თვის განმავლობაში. კარტოფილის ასეთი თერაპია განაახლებს ღვიძლს, გამოდევნის ორგანიზმიდან ზედმეტ სითხეს და მოაწესრიგებს ქოლეცისტიტით გამოწვეულ დისკომფორტს.

### 4. ნივრისა და თაფლის ნარევი – უებარი სამკურნალო, პროფილაქტიკური და ანტისეპტიკური საშუალება

ამ ნარევს იყენებენ როგორც დაავადების სამკურნალოდ, ისე პროფილაქტიკისთვის. ნივრიანი თაფლი გამოიყენება ორგანიზმის გასაძლიერებლად სუფთა სახითაც და წყალში გახსნილი ლიმონის წვენთან, ვაშლის ძმართან ან რძესთან ერთად. ამ საშუალებით შესაძლებელია ნაკბენების, ჭრილობის, ნაკაწრის მკურნალობაც.

აიღეთ საშუალო ზომის 2 თავი ნიორი და 450 გრამი თაფლი. ნიორი დანაყეთ ან გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში. ამ მასას დაუმატეთ 2 სუფრის კოვზი თაფლი და გააგრძელეთ დანაყვა ერთგვაროვანი მასის მიღებამდე. ასე თანდათანობით დაუმატეთ თაფლის მთელი მასა. კარგად აურიეთ და გადაიტანეთ ქილაში. დაავადების პროფილაქტიკისთვის (გაციება, გრიპი) მატონიზებელ საშუალებად მიიღეთ ნახევარი ჩაის კოვზი დღეში ერთხელ, დაავადების დროს კი – ნახევარი ჩაის კოვზი 3-6-ჯერ დღეში.

### 5. სილურჯეებს კომბოსტოს ფოთლები აგილაგებთ

კომბოსტოს ფურცლები მოხარშეთ რძეში, დააქუცმაცეთ ფაფისებრ მასამდე. წაუსვით სქელ ფენად ბამბის ხელსახოცს და დაიდეთ მტკივნეულ ადგილზე. 40 წუთის შემდეგ შეიმშრალეთ.

### 6. ყაბზობის პრობლემას ამ ნაყენით მოაგვარებთ

1 ჩაის კოვზ სელის თესლს დავასხათ 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, შევფუთოთ და გავაჩეროთ 4-5 საათი. ნაყენი მივილოთ საღამოს, ძილის წინ.

### 7. თმის ცვენას კარგად აჩერებს კრაზანას სპირტიანი ნაყენი:

აიღეთ 10 გრამი მშრალი კრაზანას ყვავილები, დაასხით 90 მლ არაყი (მშრალი თმისთვის) ან სპირტი (ცხიმიანი თმისთვის). გააჩერეთ 1 კვირა, გადაწურეთ და შეინახეთ მინის დახურულ ჭურჭელში. ამ ნაყენით უნდა გაიწმინდოთ თავის კანი კვირაში 2-ჯერ.

შეგიძლიათ თაობების ნაცადი კვერცხიც გამოიყენოთ:

აიღეთ 2 კვერცხის გული, აურიეთ 50 მლ წყალში, დაუმატეთ 100 მლ არაყი და 5-8 მლ ნიშადურის სპირტი. ეს ნარევი უნდა შეიზილოთ თმის ძირებში, ამის შემდეგ კი დაიბანოთ ცხელი წყლით. რამდენიმე კვირაში წყდება თმის ცვენა და ახალი ამოდის.

### 8. კუჭის წყლულის მკურნალობა მრავალძარღვას ანდეთ

ავიღოთ ერთნაირი რაოდენობით მრავალძარღვასა და სალბის ბალახი. წვრილად დავჭრათ და ერთმანეთში ავურიოთ. 1 სადილის კოვზ მცენარეთა ნარევს დავასხათ 2 ჭიქა ადუღებული წყალი და ვადუღოთ 5 წუთით, შემდეგ ეს ნაყენი 1 საათით გავაჩეროთ და მზად არის. გაზაფხულის დადგომისთანავე, როცა დაავადების გამწვავების რისკი ჩნდება, ვსვათ ნახევარი ჭიქა ნაყენი ერთხელ დღეში 10 დღის მანძილზე.



### 9. გაიწმინდეთ თირკმელები ასკილის ფესვებით

ასკილის ფესვების ნაყენი ეფექტიანი საშუალებაა ნებისმიერი ქვის დასაშლელად და გამოსადევნად: აიღეთ 2 სუფრის კოვზი ასკილის დაქუცმაცებული ფესვები და დაასხით 1 ჩაის ჭიქა წყალი, ადუღეთ 15 წუთით. გააცივეთ და დალიეთ 1/3 ჭიქა დღეში 3-ჯერ 1-2 კვირის განმავლობაში.

თირკმელებიდან ქვების გამოდევნა უმტკივნეულოდ შესაძლებელია ლიმონის დახმარებითაც:



ამისთვის საშუალო ზომის ლიმონი გაჭერით სამად, ერთ მესამედს გამოწურეთ წვენი, დაუმატეთ 200 გრამი ცივი ანადუღარი წყალი და დალიეთ 3 ჯერზე ყოველი ჭამის შემდეგ 10 დღის განმავლობაში. იგივე გაიმეორეთ 10 დღე, მაგრამ ამჯერად 1/2 ლიმონის წვენისგან დამზადებული წამლით. ამასთან, კვირაში 2-ჯერ (სამშაბათს და პარასკევს) უნდა დალიოთ 60 გრამ ზეითუნის ზეთში ჩაწურული 1/2 ლიმონის წვენი. მე-20 დღეს ქვები დაშლილი უნდა გამოვიდეს ორგანიზმიდან შარდთან ერთად ყოველგვარი ტკივილის გარეშე.

### 10. ჰაიმორიტი ნუ შეგაშინებთ

ჰაიმორის ღრუს გამოსარეცხად მეტად სასარგებლო ყოფილა მცენარეთა ასეთი ნაკრებისგან მომზადებული ნაყენი:

3 სუფრის კოვზი მრავალძარღვა, 1 სუფრის კოვზი კაკლის ფოთოლი, 2 სადილის კოვზი ფარსმანდუკი დააქუცმაცეთ და აურიეთ ერთმანეთში. 3 სუფრის კოვზ ნაკრებს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე, გააჩერეთ 1 საათით. ამ ნაყენით დღეში ორჯერ უნდა გამოირეცხოთ ჰაიმორის ღრუ ცხვირის ნესტოებიდან შესრუტვით.

# დიდგულა და ანწლი – სამკურნალო თვისებები, გამოყენება

### დიდგულა

დიდგულა (ლათ. Sambucus nigra) მსხვილი ბუჩქნარია, მოპირისპირედ განლაგებული კენტფრთიანი ფოთლებით, ყვავილები წვრილია, სურნელოვანი, მოყვითალო-მოთეთრო, შეკრებილია მრავალყვავილედოვან ფარებად.

ცალკეული ყვავილები მჯდომარეა ან სხედან მოკლე ყუნწებზე. ჯამი ხუთკბილიანია, ფოთლებშეზრდილი, ოდნავ შესამჩნევი. გვირგვინი მრგვალია, ხუთფურცლიანი, დიამეტრით 5-6 მმ.

მტვრიანები (5) მიმაგრებული არიან გვირგვინზე და მთავრდებიან ყვითელი სამტვერეთი. ბუტკოს (1) ქვედა ნასკვით, ზედა ნაწილში აქვს მასიური ბადრო სამი მოკლე დინგით. ნაყოფი შავია, კურკიანი, 3-6 კურკით. დიდგულას ქართლ-კახეთში დუდგულას ეძახიან, ზემო იმერეთში – ხეკროს, ქვემო იმერეთში – ანწლს, რაჭაში – ხრეკოლას, გურიაში – ხელთოფას.

ვარაუდობენ რომ ამ მცენარის ლათინური სახელწოდება წარმოდგა ირანული მუსიკალური საკრავიდან – სამბუკი, რომელსაც დიდგულას ღეროდან ამზადებენ.

დიდგულა გვხვდება ფოთლოვანი ტყეების ქვეტყეებში, ბუჩქნარის ბარდებში, ხშირად ნახავთ ბაღებსა და პარკებში.

ნედლეულად ძირითადად იყენებენ ყვავილებს. აგროვებენ მთელ ყვავილედს მათი სრული გაშლის შემდეგ. აშრობენ ჩრდილში, შემდეგ კი, ხეხავენ ცხრილზე ყვავილის ყუნწის მოსაცილებლად.

ნედლეულის შეგროვებისას შესაძლებელია შეყვეს მყრალი დიდგულა, რომლის მტვრიანები წითელი ფერისაა, აგრეთვე წითელი დიდგულა. წითელი დიდგულას ყვავილები უფრო პატარა ზომისაა, მომწვანო; ბუსუსიანი ყვავილის ყუნწით.

დიდგულას ქიმიური შემადგენლობა არ არის კარგად შესწავლილი. ცნობილია, რომ ყვავილი შეიცავს ოფლმდენ გლიკოზიდს, ფლავონურ გლიკოზიდ რუტინს, ეთერზეთის კვალს. გლიკოზიდი სამბუცინიგრინი აღმოჩენილია მხოლოდ ახალ ყვავილში, გაშრობის შემდეგ ის ორთქლდება.



დიდგულას პრეპარატებს იყენებენ როგორც ოფლმდენ საშუალებას გაციების, ქრონიკული ბრონქიტის, ბრონქტოექტაზების დროს. ასევე იყენებენ გრიპისა და ანგინის საწინააღმდეგოდაც. მისი პრეპარატები გამოიყენება აგრეთვე ღვიძლის ზოგიერთი დაავადების, ხოლო როგორც შარდმდენი საშუალება – თირკმლის დაავადების დროს, თუ თან ახლავს შეშუპება.

ხალხურ მედიცინაში დიდგულას ყვავილს იყენებენ როგორც ოფლმდენ საშუალებას. 1 სუფრის კოვზ ყვავილს ასხამენ 200 მლ (1 ჩაის ჭიქა) მდუღარე წყალს, აჩერებენ თავდახურულს 20 წუთის განმავლობაში, გაწურავენ და სვამენ ცხელ ნაყენს. ყვავილი შედის აგრეთვე ოფლმდენი ჩაის შემადგენლობაში.

ყვავილის ნახარშს ივლებენ პირის ღრუსა და ცხვირ-ხახაში ანთებითი პროცესების და რინიტისა და ანგინის დროს. გარდა ამისა მას იყენებენ საფენების სახით დამწვრობის, ჭრილობებისა და ძირმაგარების დროს, მიოზიტების, ნევრალგიისა და სახსრების ტკივილებისას. ბუასილის დროს რეკომენდებულია ყვავილის ნაყენის ან ნახარშის აბაზანის მიღება.

### დიდგულას ყვავილის ნაყენი

დიდგულას ყვავილის ნაყენის მისაღებად აიღეთ 5 გ (1 სუფრის კოვზი) ნედლეული, მოათავსეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 200 მლ (1 ჩაის ჭიქა) მდუღარე წყალი, დაახურეთ თავსახური და გააცხელეთ წყლის აბაზანაში 15 წთ-ის განმავლობაში. გააცივეთ 45 წთ, გაწურეთ და დაასხით ანადუღარი წყალი საწყისი მოცულობის (200 მლ) მიღებამდე. ნაყენი შეინახეთ გრილ ადგილას არაუმეტეს 2 დღე-ღამისა. მიიღეთ თბილი სახით 1/2 – 1/3 ჭიქა 2-3-ჯერ დღეში.

დიდგულას ნაყოფს ხალხურ მედიცინაში იყენებენ როგორც სუსტ საფაღარათო საშუალებას, ხოლო ქერქის ნახარშს – როგორც ოფლმდენ და შარდმდენ საშუალებას. დიდგულას ნაყოფისაგან ტკბილი ნაყენის მისაღებად აიღეთ დიდგულას 200 გ სიროფი (ვაჟინი) 1 ლ არაყი და 1 ჩაის ჭიქა წყალი. სიროფი გახსენით წყალში, დაუმატეთ არაყი და დადგით 3-4 დღე. დღეგრძელთა სასმელის მისაღებად 1 სუფრის კოვზ გამშრალ ნაყოფს დაასხით 0,5 ლ წყალი, მოხარშეთ, გაწურეთ, დაუმატეთ 2 სუფრის კოვზი თაფლი და მიიტანეთ სუფრასთან ცხელი სახით.

დიდგულა ტოქსიკური მცენარეა.

### ანწლი

ანწლი (ლათ. შამბუცუს ებულუს) მყრალი ბალახოვანია მცენარეა. აქვს სწორი 0,6-1,4 სიმაღლის დატოტვილი ღერო, რომელსაც გარედან მთელ სიგრძეზე ჩასდევს ნაღარები.

კენტფრთართული ფოთლები ღეროზე ერთიმეორის საპირისპიროდაა განლაგებული, თითოეული მათგანი 5-9 წაგრძელებულლანცეტა, დაკბილული ფოთოლაკისგან შედგება.

თეთრი ყვავილებისამ მთავარტოტიან ქოლგადაა შეკრებილი. კენკრა შავი ფერისაა, მწიფდება აგვისტო-სექტემბერში.

მცენარე სპეციფიკური სუნით ხასიათდება. გავრცელებეულია საქართველოში, იზრდება ღობეების ძირში, გზების პირას, არცთუ იშვიათად ასარევლიანებს ამეჩხერებულ ტყეებს და ხელს უშლის ტყის ბუნებრივ განახლებას. მცენარე შხამიანია. ხალხურ მედიცინაში უმთავრესად ფესვურები და ფესვები გამოიყენება, ზოგჯერ კი ფოთლები და ყვავილები, რომლებიც აყვავებული მცენარეებიდან გროვდება, ხოლო ფესვურები და ფესვები შემოდგომით, უმეტესად უფრო ახალგაზრდა ეგზემპლარებიდან.



წვრილად დაჭრილი ფესვებისა და ფესვურების ნახარშის მოსამზადებლად 30 გ მასალას იღებენ 1 ლიტრ წყალზე, ადუღებენ 20 წუთის განმავლობაში. სვამენ თითო ჭიქას დღეში სამჯერ, იყენებენ როგორც ძლერ შარდმდენ სასუალებას თირკმლების ტკივილისა და წყალმნაკის დროს, აგრეთვე დიაბეტის დროსაც.

### ანწლის არაყი

არაყი ანწლისა. ანწლის მტევანს რომ მარცვლები გაუშავდეს და შემოუვიდეს, იმას მოამტვრიეთ, დამარცვლეთ, ჩაყარეთ რაშიმე, წყალი დაასხით; როცა დამჟავდეს, როგორც ჭაჭის არაყი, ისე გამოხადეთ. (ბარბარე ჯორჯაძე. რჩეული სამზარეულო. 1914 წ.)

agrokavkaz.ge

## გამოსათხოვარი – კაკო სეფაშვილი

# ფეხბურთის მოედანზე ხომ სასწაულებს ახდენდა, მაგრამ მინდორს მიღმა კიდევ უფრო საოცარი ადამიანი იყო



წუთისოფლის ამაოების თაობაზე ოდითგანვე არაერთხელ თქმულა და ასე იქნება სამარადჟამოდ. ადამიანს ამქვეყნიურ ცხოვრებას ჩვენმა ბრძენმა წინაპრებმა შემთხვევით როდი უწოდეს წუთისოფელი. ამ უკიდეგანო და მარადიულ სამყაროში ჩვენი არსებობა მართლაც წამის ერთი გაელვება, თვალის ერთი დახამხამება ყოფილა. ერთი საუკუნეც რომ იცოცხლოს ადამიანმა, ეს საუკუნეც წამის ტოლფასი იქნება მხოლოდ.

ფიქრობ ამ ყველაფერზე და ცნობიერებაში თავისთავად გაიელვებს ცნობილი ქართველი პოეტის ლექსის ბწკარები, რომელიც მან თავისი ცხოვრების მიმწუხრის ჟამს დაწერა:

„ოთხმოცი წელი მიილია, დადგა წამებად,

არც გათენება მიხარია, არც დაღამება.





# მან ისეთი სახელი დატოვა ყვარლის სინამდვილეში, რითაც კანონიერად უნდა იამაყოს მისმა შთამომავლობამ

სიცოცხლე გრძელი რომ მეგონა, მოკლე ყოფილა,

მოკლე ყოფილა, თვალის ერთი დახამხამება!“

ამ უნდო და მუხანათი წუთისოფლის გამოისობით რამდენი ღირსეული მამულიშვილი და უბრალოდ რომ ვთქვათ, რამდენი კარგი კაცი გავაცილეთ უკანასკნელ გზაზე. ამჯერად, სამწუხაროდ, კიდევ ერთ სახელიან კაცთან გვიწევს გამომშვიდობება.

გასული საუკუნის 50-60-იანი წლების საუკეთესო მეკარე მოუკვდა ყვარელს, ლამაზი წარსულისა და დიდი გულის კაცი – კაკო სეფაშვილი, ჩვენი საამაყო იორდანოვიჩი!

ფიქრობ მასზე და წარმოსახვაში ძალაუნებურად ცოცხლდება წარსულის დაუვიწყარი დღეები: მაყურებლებით გადაჭედილი ყვარლის სტადიონი ჩვენს ისტორიულ ციხე-გალავანში, „დურუჯის“ გოლკიპერის თავგანწირული ნახტომები და მისი ოსტატური თამაშით აღფრთოვანებული გულშემატკივრების მქუხარე ოვაციები!

ისეთი ჟინითა და თავდადებით იცავდა ყვარლის „დურუჯის“ კარს, როგორც ამ ბებერი ციხე-გალავნის დამცველები იცავდნენ ხოლმე სამშობლოს კარიბჭეს მომხდურისაგან. რამდენჯერ გადაურჩენია გუნდი ერთი შეხედვით გარდაუვალი გოლებისაგან. ფეხბურთის მოედანზე ხომ სასწაულებს ახდენდა, მაგრამ მინდორს მიღმა კიდევ უფრო საოცარი ადამიანი იყო – ალალი, ნაღდი, უღალატო, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხიბლით. უანგაროდ, უხვად უნაწილებდა თავის მრავალრიცხოვან სამეგობროს სითბოსა და სიყვარულს.

დაიბადა 1939 წლის 16 იანვარს ყვარელში. აქვე მიიღო საშუალო განათლება, შემდეგ კი დაამთავრა თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი.

საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ შინაარსიანი ცხოვრების გზა განვლო რაიონის საზოგადოებრივ ასპარეზზე. სხვადასხვა დროს ეკავა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ თავმჯდომარის, პარტიის რაიკომის ინსტრუქტორის, გაზეთ „ყვარლის“ რედაქტორის მოადგილის, რაიონის კულტურის განყოფილების გამგის, ყვარლის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის, სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის ხელმძღვანელის, რაიონის გამგეობის სახელმწიფო ქონების მართვის სამსახურის უფროსის თანამდებობები. პენსიაზე გასვლის შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე წარმატებით მოღვაწეობდა კერძო სექტორში.

სადაც კი იმუშავა, ყველგან გამოიჩინა თავი, როგორც უნარიანმა ორგანიზატორმა და დაკისრებული მოვალეობის უზადო შემსრულებელმა. საუკეთესოდ ფლობდა ადამიანებთან ურთიერთობის უნარ-ჩვევებს, უყვარდა, პატივს სცემდა და აფასებდა მშრომელ ადამიანებს. პიროვნული თვისებებითა და აზროვნების წესით იყო ულალატო საქმის კაცი. სწორედ ამ თვისებების გამო მოიპოვა დიდი სიყვარული და ავტორიტეტი რაიონის მასშტაბით.

სხვა კაცურ ღირსებებთან ერთად, რაც მისი პიროვნების დამახასიათებელი თვისება გახლდათ, როგორც ჭეშმარიტ ქართველს შეეფერება, გამოირჩეოდა განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობით, იყო ქართული სუფრისა და ლხინის ნამდვილი მეხოტბე, ძალზე კარგი და ძლიერი თამადა! სხვა ყველაფერთან ერთად, შესანიშნავი ქართული ოჯახის – ღირსეული მეუღლის, სამაგალითო შვილებისა და მრავალრიცხოვანი შვილიშვილების პატრონი.

და რამდენიც არ უნდა ვისაუბროთ მის კაცურ ღირსებებსა და მის მიერ განვლილ ცხოვრების გზაზე, კაკო სეფაშვილი ყვარლის ისტორიაში და ჩვენს მეხსიერებაში უპირატესად დარჩა, როგორც ბრწყინვალე სპორტსმენი და შეუდარებელი მეკარე, რითაც იგი სამართლიანად ამაყობდა, სადაც არ უნდა ყოფილიყო, რაც არ უნდა ეკეთებინა, იგი ფეხბურთის გარეშე ვერ ძლებდა და ბოლო წუთამდე სულით და გულით ფეხბურთში იყო, სიჭაბუკისა და ულამაზესი წლების იმ მოგონებებში, რომლებიც არასოდეს ტოვებდა და რისი გახსენებაც უზომო სიხარულს გვრიდა!

18 წლის ასაკში დადგა პირველად ყვარლის „დურუჯის“ ფეხბურთელთა



გუნდის კარში. 1970 წლამდე ცამეტი საფეხბურთო სეზონის მანძილზე შეუცვლელად ითამაშა გუნდის შემადგენლობაში. სამოციანი წლების საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ეშელონში გამოსვლის პერიოდში იგი გახლდათ მრავალთაგან ერთ-ერთი გამორჩეული გოლკიპერი. როგორც საიმედო კარის დარაჯს, მას მთელი საქართველო იცნობდა და აფასებდა.

მეხის დაცემას ჰგავდა მისი სიკვდილი, უეცარი და დაუჯერებელი. ჯერ კიდევ წინა დღეს ჩვენი საერთო უფროსი მეგობარი ერთად გავაცილეთ უკანასკნელ გზაზე, ჭირის სუფრაზეც ერთად ვიყავით... არაფერი მოასწავებდა ტრაგიკულ დასასრულს, მაგრამ არსთა გამრიგემ სხვაგვარად განსაჯა – ის ღამე უკანასკნელი აღმოჩნდა და გათენებისას განერიდა ამ წუთისოფელს... არადა, სხვა გეგმებს ვისახავდით – ამბობდა, იანვარში 80 წლის გავხდებიო და ამ თარიღის შესაფერისად აღნიშვნა გვსურდა!

ფიქრობ და კვლავ იღვიძებს ხსოვნაში ის განუმეორებელი და ლამაზი დღეები, რომელთა დავიწყება შეუძლებელია: მაყურებლებით გადაჭედილი ყვარლის სტადიონი, ბურთისაკენ მიმინოსავით გაფრენილი და ცაში აჭრილი ჩვენი გოლკიპერის, კაკო სეფაშვილის დიდოსტატური თამაშით აღტაცებული ტრიბუნების გუგუნი და მქუხარე ოვაციები!

დასანანია და გულსატკენი, რომ ყველაფერი ეს და ამ ღირსსახსოვარი მოგონებების ადრესატიც ამიერიდან შორეული წარსულის კუთვნილება გახდა!

დღეს კიდევ ერთხელ და აწ უკვე საბოლოოდ აიჭრა ცაში ჩვენი მეკარე, ჩვენი კაკოს ნათელი სული – წავიდა მარადიულ სასუფეველში, საიდანაც უკან აღარ ბრუნდებიან!

ყვარელს თავისი მეკარე მოუკვდა... ამ დღეს ჩვენ ყვარლის სიამაყეს ვასაფლავებდით! მივაცილებდით უკანასკნელ გზაზე კაცს, რომელიც სიკვდილის შემდეგაც ისეთივე იყო, როგორც ყოველთვის – ლამაზი, ამაყი და შეუპოვარი – „ სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველი!“

„სიცოცხლე უნდა ქარიშხალს ჰგავდეს,

მეხის დაცემას ჰგავდეს სიკვდილი,

მტერიცა გყავდეს, მოყვარეც გყავდეს,

მაგრამ არც ერთთან ჭამო სირცხვილი!“

პოეტის ეს სტროფი სრულად მიესადაგება კაკო სეფაშვილის აღსასრულით გამოწვეული ტკივილის პათოსს: მისი სიცოცხლე მართლაც ჰგავდა ქარიშხალს, ასევე მეხივით გავარდა ხმა მისი გარდაცვალების შესახებ და რაც მთავარია, ცხოვრებაში არასოდეს არავისთან უჭამია სირცხვილი და პირნათელი წავიდა ზეციურ სამყაროში.

კაკო სეფაშვილი ადამიანთა იმ კატეგორიას მიეკუთვნებოდა, ვინც კაცურად დაიბადა, კაცურად იცხოვრა და კაცურად წავიდა ამ ქვეყნიდან. მის მიერ ლამაზად და ლაზათიანად განვლილი ცხოვრების გზა და ნათელი კვალი იმის უტყუარი საწინდარია, რომ ცივი მიწა და ყველაფრის მსახვრალი დროის სრბოლა ვერ წაშლის მის ნაკვალევს და ვერ გააფერმკრთალებს მის ხსოვნას. მან ისეთი სახელი დატოვა ყვარლის სინამდვილეში, რითაც კანონიერად უნდა იამაყოს მისმა შთამომავლობამ!

ვემშვიდობებით და მადლობას ვუხდით ძვირფას მეგობარს კარგი კაცობისათვის, კარგი ქართველობისათვის, სამაგალითო მამულიშვილობისათვის, ულალატო მეგობრობისათვის.

მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური ყვარლის მიწა! გვჯერა, რომ ამ ქვეყნად დათესილი სიკეთე და გაწეული ამაგი სინათლის სხივად დაადგება მის კეთილშობილ სულს მარადიულ სასუფეველში!

**მეგობრებისა და თანაგუნდელების სახელით**
**ალიმან ლაფაჩიშვილი**





ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის როსტომ სესიაშვილის მხარდაჭერით 2018 წლის 5 ოქტომბერს ჩამოყალიბდა ახალგაზრდა ჟურნალისტთა კლუბი „კალამოედანი“, რომელიც აერთიანებს ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლების IX – XII კლასების მოსწავლეებს. აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს ჟურნალისტური ნიჭითა და უნარებით გამორჩეული ახალგაზრდების ხელშეწყობას, მათი წახალისებისა და შემდგომი პროფესიული განვითარების გზით. დღესდღეობით, კლუბში თხუთმეტი მოსწავლეა, რომლებიც გამოგვეხმაურნენ ფეისბუქგვერდზე – „კალამოედანი“ და ენთუზიაზმით გაწევრიანდნენ ჯგუფში.

მიგვაჩნია, რომ გაზეთი „ყვარელი“ სწორედ ის ხელსაყრელი სივრცეა, სადაც ჩვენი თანადგომით კლუბის წევრები საკუთარ აზრებს და შეხედულებებს გაუზიარებენ მკითხველებს, სიტყვასთან ჭიდილში, თანდათანობით, დაიხვეწებიან და კარგ კალმოსნებად ჩამოყალიბდებიან.

ამჯერად, გთავაზობთ ყველაზე გაბედული კალამოედნელების დებიუტს.

„ჰა, კალამი და ჰა, მოედანი!“ – ასეთია კლუბის სლოგანი. კეთილი იყოს მათი პირველი ნაბიჯები გაზეთის სამყაროში!

**„კალამოედანი“-ს ხელმძღვანელი:**
**ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე,**
**ლია გიგიტაშვილი**

# დუმილი...

**(ჩანახატი)**

კედლებიც კი ტირიან, თავში აზრები ეხეთქება ერთმანეთს. ჩემში ორი „მე“ სახლობს; ერთს უნდა რომ ბოლო ხმაზე იყვიროს და ხმა ზეცას მიაწვდინოს, მაგრამ მეორე დუმს...დაკარგა სიტყვებმა ფასი, უწინდებურად აღარ ჰქრის ქარი. დუმილი... – ეს ყველაზე საშინელი ხმაურია, რაც კი არსებობს დედამიწაზე და მის ფარგლებს გარეთაც კი... სიტყვებს აზრი აქვს? არა.... როდესაც ცრემლები არსებობს, როდესაც დუმილი არსებობს. ახლა სქელი საბანია მხოლოდ შენი თბილი თავშესაფარი, რაც ბავშვობის დემონებისგან დაგიცავს!

არ დანებდე, იბრძოლეო – მითხრეს . ეს დუმილი დაგლუპავსო! და მართალიც იყო. ხალხს იმდენად გადავეჩვიე, ქუჩაში გასვლის მეშინია! ჩემში ის ბავშვობის დემონები გაცოცხლდნენ. შესაძლოა კი, სიმშვიდემაც შეგაშინოს? წლებია გულით უმძიმეს ბორკილებს ვატარებ. საკუთარი ანარეკლიც იმას მეუბნება, რომ საჭირო აღარ ვარ. უსიცოცხლოთა ცივი ოთახია ჩემი ბოლო? ერთი კატა ამოვიჩემე. კატას ვუყვები ყველაფერს, რომ დარდები დამავიწყდეს. ხოდა ეს კატაც ისე დავღალე, რომ „შვებულებაში“ აპირებს წასვლას! გადაწყვიტა მანაც დამტოვოს. დიახ, მიმატოვეს... პირველი დედა იყო :

– სადაც მეუბნები, რომ წასვლას აპირებ, იქ თბილა?

– იქ მარადიული ნათელია!

– მაშინ მეც წამიყვანე რა...

– ჯერ ადრეა. ახლა აქ დაგსვამ და სანამ არავინ არ მოვა არ ადგე, კარგი?

– კარგი, მაგრამ შენ? დე, შენ?

მკოცნის, მეხუტება, ტირის და ფანჯრიდან უმოწყალოდ ეშვება ...ოცდახუთმა წელმა განვლო. ყველაზე საყვარელი ადამიანი მყავდა გვერდში და მეგონა ბედნიერი ვიყავი. სანამ...სანამ არ წავიდა! სიტყვაც კი არ უთქვამს, ისე მიმატოვა. ამასაც გავუძელი, მე ხომ პატარა მყავდა გასაზრდელი...

ორი წელიწადი ძალისძალით კიდევ გაიწელა. დაავადება ყოფილა გავრცელებული. ერთ დღეს ბაღიდან დამირეკეს. ვერ დავიცავი, ვერ ვუპატრონე! იმ ერთადერთმა პატარა იმედის ნაპერწკალმაც კი დამტოვა.

ოფისში უსაშველო გლოვა გამოვაცხადე. ორმოცი დღის თავზე ამანათი მომივიდა. გავხსენი, ვიცი ახლა არაფერი გამახარებდა, გარდა მამის პოვნისა. მამისა, რომელზეც ყოველ ღამე ვლოცულობდი და იმ იმედით ვიძინებდი, რომ დამესიზმრებოდა მაინც. ამანათი გავხსენი, ბანკნოტებით იყო სავსე. ამდენი ფული ერთად არასოდეს მინახავს. სამწუხაროდ, არც ახლა გამოჩნდა. ალბათ, რცხვენია მეთქი, ჩემი... ამ ფულით გადავწყვიტე ადამიანს დავმსგავსებოდი. პირველ რიგში მაღაზიები მოვიარე და ყველა ქალისთვის სანატრელი ოცნება ავიხდინე. ახლა საკმარისად მქონდა ტანსაცმელი, რომ ხალხში გამოჩენის არ მომრიდებოდა... და კიდევ სხვა მსგავსი იდიოტობა. აშკარა იყო, ძველ, მავნე ჩვევებს, კვლავ ვერ შეველიე. სასმელი და მოსაწევი ისევ ჩემი ყოველი ღამის საუკეთესო მეგობარი იყო.

ყველა ვალი დავფარე, აღარც სამსახურში ვიყავი გამოუსადეგარი... მეგობარი ბარებიც მივატოვე... და რაც მთავარია, არც ამდენ ფულს გავუგიჟებივარ! ერთ მზიან დღეს, როცა გავიღვიძე და ჩემი ტკივილის მოზიარე კატა ველარ ვიპოვე, გადავწყვიტე ჩემი ანგელოზი მომენახულებინა. მისი საყვარელი ყვითელი ყვავილები ვიყიდე და თაიგულით ხელში სასაფლაოს გზას გავუდექი. აშკარად თვალები მღალატობდა! იქ „ის“ იყო... ყველა უბედურება ხომ მის გამო



დამემართა? ჩქარი ნაბიჯით მივუახლოვდი. ახლა ის დიალოგი უნდა შემდგარიყო, წლების განმავლობაში რომ წარმოვიდგენდი. ცრემლები მახრჩობდა. უწინდებურად უელავდა მწვანე, არაამქვეყნიური თვალები. ასე უსიტყვოდ მივჩერებოდით ერთმანეთს ჩვენი შვილის საფლავთან. უამრავ მწუხარებას ვხედავდი. ახლა ან უნდა მომეკლა, ან მეპატიებინა და მეთქვა, თუ როგორ გიჟურად, ცინიკური ენთუზიაზმით და ზიზღით გამსჭვალული სიყვარულით მიყვარს! უმოწყალოდ ვურტყი მუშტები მკერდზე. გაქვავებული იდგა და უხმოდ, სისხლისფერი ცრემლებით ტიროდა. შეგრძნება იმისა, რომ მისი გულის გაძლიერებული ხმაური უწინდებურად მესმოდა, ხელმეორედ მკლავდა.! ჩემთან ერთად მიწაზე დაემხო და გულში ჩამიკრა. ეს დასასრული არ ყოფილა...

**მარიამ კილასონია,**
**ჭიკაანის საჯარო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე**

# რეალობა და შესაძლებლობები

დღევანდელობაში ბევრ სირთულესთან გვიწევს გამკლავება ადამიანებს; ბევრია დაუსაქმებელი და გაჭირვებული ადამიანი ჩვენს ქვეყანაში, რასაც ემატება გაძვირებული ფასები პროდუქტებზე, მედიკამენტებზე, საწვავზე და ა. შ.

მინახავს მაღაზიაში ბავშვი, რომელიც ხარბი თვალებით მისჩერებია დახლს, სადაც საჭმელები და ნუგბარია გამოფენილი, შევხვედრილვარ ადამიანებს დახეული, ძველი ტანსაცმლით, თვალებში უდიდესი სევდით და მწუხარებით, დათრგუნული, დაჩაგრული იერით, თითქოს მათთვის დრო გაჩერდა... მინახავს და გული ძალიან მტკენია! ასეთია დღევანდელი რეალობა ყოველდღიურობა, რომელსაც ვერაფრით ვშველით.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ელემენტარული საარსებო პირობებისთვის ბრძოლაში უკანა პლანზე იწევს უფრო მნიშვნელოვანი, რაც ძალიან გვჭირდება: ერთმანეთის პატივისცემა, მეგობრობა, სიყვარული, ლამაზი ხედვები... თითქოს ეს ყველაფერი უფერულდება და იკარგება.

ჩვენი ქვეყანა, განვითარების მხრივ, ნამდვილად არ არის მოწინავე პოზიციებზე. ქალაქებში იმატა მათხოვრების რიცხვმა, მოწყალებისთვის გაწვდილმა ხელებმა...

ფსიქოლოგები ამბობენ, რომ მოზარდებისათვის ყოველდღიური ჯიბის ფული აუცილებელია, რადგან, მან თავი არ იგრძნოს დაჩაგრულად. დაჩაგრული ბავშვის პროტესტის ერთ-ერთი ფორმა – ესაა ქურდობა, თუმცა, საბედნიეროდ, ყველა გაჭირვებული არ ირჩევს ამ გზას. აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ოჯახური აღზრდა და მორალი. მაშინ როცა ოჯახის ყველა წევრი უმუშევარია და არც სოციალური დახმარება არ გააჩნია, რა უნდა ქნან ამ შემთხვევაში? რითი უნდა ირჩინონ თავი, ან ჯიბის ფული საიდან უნდა მისცენ შვილებს?

ყველაფერთან ერთად, სწავლა-განათლება უმაღლეს სასწავლებლებში და კერძო სკოლებში ძვირი სიამოვნებაა



და ბევრს არ აქვს დაფინანსების საშუალება. ჩნდება კითხვა: რა გააკეთოს ადამიანმა, თუ არ ისწავლა, არ იმუშავა? რა იქნება მისი მომავალი?

ეს არის ჩემთვის ყველაზე დიდი კითხვის ნიშანი, რომელზეც, ჯერ-ჯერობით, პასუხი არ გამაჩნია!

**მარიამ დათუკიშვილი,**
**საბუის საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე**

# ბედნიერება

**(ჩანახატი)**

ზოგჯერ უბრალოდ ზიხარ და ფიქრობ, ფიქრობ საკუთარ ცხოვრებაზე, განვლილ გზაზე, იმაზე თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო და რა მოხდა. ..იმაზე, თუ როდის დავუშვით შეცდომა, როდის ვიყავით უბედურები და როდის ბედნიერები..მაგრამ რა არის ბედნიერება?და რაში მდგომარეობს ის? ყველანი ვყოფილვართ ბედნიერები რაღაც მომენტში მაინც, ან თუნდაც ახლა. ზოგიერთისთვის ბედნიერებაა: მატერიალური მდგომარეობა, ზოგისთვის პოპულარობა, ზოგისთვის სიყვარული და ა.შ. ადამიანები არასდროს არ ვაფასებთ იმას, რაც გვაქვს,სანამ არ დავკარგავთ. მაგრამ შეიძლება ასე? რატომ ვერ ვხედავთ და არ ვაფასებთ სიყვარულს? რატომ არ გვესმის ერთმანეთის? რატომ ვტკენთ ერთმაანეთს გულს? სანამ ამ კითხვებს არ დავუსვავთ საკუთარ თავს და პასუხებს არ მოვუძებნით, მანამდე ბედნიერებას ვერ ვიპოვით,ვერ გავიგებთ იმას, თუ რაოდენ დიდი ბედნიერებაა, როცა იცი, რომ ვიღაც შენზე გამუდმებით ფიქრობს, როცა იცი,რომ ვიღაც სიზმარში ყოველღამე გნახულობს, როცა იცი,რომ ვიღაცას ძლიერ ენატრები, როცა იცი,რომ ვიღაცას უბრალოდ შენი არსებობა ახარებს,როცა იცი,რომ ვიღაც შენს ფოტოს ტელეფონში ჩუმად ინახავს და ძილის წინ აცრემლებული თვალებით უყურებს, როცა... რაოდენ საშინელი ხმაც არ უნ-



და გქონდეს, ვიღაცას ტკბილად და სასიამოვნოდ ეჩვენება...არაფერია იმაზე დიდი ბედნიერება, როცა იცი,რომ შენს ცხოვრებაში ეს „ვიღაც“ არსებობს. „ვიღაც“, რომელიც უბრალოდ გაბედნიერებს, დღეს გილამაზებს,ცხოვრების ხალისს გმატებს, მეტად პოზიტიურს გხდის, თვალებს სიყვარულისფერად გიფერადებს და უბრალოდ შენ – შენ აღარ ხარ!! გვიყვარდეს ერთმანეთი! პატივი ვცეთ ერთმანეთს! გავაბედნიეროთ ერთმანეთი!....და ცხოვრება ბევრად უფრო მშვენიერი და სასიამოვნო იქნება!

**მარიამ სიფრაშვილი,**
**ჭიკაანის საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე**

* * *

შენი ხელები
ისევ იბრძვის...
ანუ ჩერდება,
თითქოს ფიქრებიც გზას
გვიკეტავს საერთმანეთოს,
ამოიწურა ყველა გზა და
მხოლოდ მანძილი
შემოგვრჩენია, მაგრამ მაინც
არ ვიბრძვით ამ დროს.
რადგან ვამთავრებთ ბრძოლებსაც და
მერე პირიქით –
ვიხსენებთ წარსულს და
წარსულში წაგებულ დღეებს,
რომლითაც ისე ვვარსებობდით,
რომ არ ვიბრძვოდით
და ამის შემდეგ ყველა შანსი
უდროოდ დავთმეთ...
ქარს გავატანეთ წვიმებიც და
ფოთოლცვენებიც,
ეს შემოდგომაც ხელებიდან
გამოგვეცალა!
ალბათ იმიტომ, რომ ტკივილებს
ვამტვრიეთ ძვლები,
რადგან ტკივილმა ყველა
გრძნობა გამოგვაცალა.
ხელები ისევ განაგრძობენ
ბრძოლას მალულად,
მხოლოდ ერთია; მე აღარ ვარ
ბრძოლის ნაწილი,
ან იქნებ სულაც არ ვყოფილვარ
და მხოლოდ სევდამ
შემომიმტვრია ჩარაზული
რკინის კარები.
რა ჯანდაბაა?!
საკუთარ თავს ისევ ვეცლები...
და ზოგჯერ თავი, საკუთარი,
თავად მეცლება...

**ხატია ველიჯანაშვილი,**
**ყვარლის №2 საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე**



# მე გამოგიგონე

ქარია, სრულდება
ღრუბლების არია...
ვზივარ და ფეხშიშველ ოცნებებს
ვასვენებ....
ჩემი სიყვარული უღმერთო
რამეა,
წვიმისგან გადაღლილ სამყაროს
მახსენებს...
სხეულში თარეშობს მოთქმა და
ვედრება-
პატარა ხელები მკლავებზე
მოგხვიო...
შენს სუნთქვას შევეხო და გულში
ჩაგეკრა,
და ჩემი გიჟური სურვილი
მოგრიო...
ქარია სრულდება ღრუბლების
არია...
ვაჩერებ ოცნებას,სათუთს და
ნაფერებს...
მე გამოგიგონე და ჩემი ბრალია,
სხეული მტკივა და თვალებსაც
ასველებს...

**ნაზი ყანჩელიშვილი,**
**საბუის საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე**

# გვირილა

ძლიერი ქარია...

ქალი ფანჯარაში იყურება. გამხდარი სახიდან თვალები შველას ითხოვენ.

ქარმა თავის მტვერში გაახვია ქალაქი. მტვრის გარდა არაფერი ჩანს... ყველაფერი გაუფერულდა.

ქალი ისევ იყურება. უფრო გაფართოვებია თვალები. ვერაფერს ხედავს...

იქნებ სამყარო თავისი არსებობის ბოლო, სიბერის ხანაში შევიდა.

გამხდარ სახეზე მხოლოდ წვეთები ერთობიან. ლოყაზე ჩასრიალდებიან და ქრებიან.

ქარი არ უყვარს.

უფრო მეტიც... სძულს...

თმა გაიშალა...

ხელით ნელა ეხება მას... ისე ფრთხილობს, თითქოს ღრუბლებს ეფერებაო... ცრემლები თვალის გუგებს არ შორდება....

იგრძნო...

ცრემლის შეკავება გაუსაძლისი იყო. ცრემლი დამალა გიშრის წამწამმა. მერე ერთნაირად წასკდა და ქარის მტვრიან ფანტელებს შეუერთდა.

მორჩა...

ყველაფერი დამთავრდა...

ფანჯარასთან მხოლოდ პატარა გვირილა დარჩა, რომელიც ქარის მოსვლას მარტო შეჰყურებს.

გვირილა...

ქარის მტვრიანი ტალღები...

**ლიკა მიხელიძე,**
**ბალღოჯიანის საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასის მოსწავლე**

# გული შემომილე

ტკივილს, ტკივილებზე ამიკინძავ...
ისე შემომილებ გულის კარებს...
ღამის ზმანებასთან მოგზაურობ...
ერთად მესტუმრებით მთელი ღამე...
მე კი შემოგიშვებ მხიარულად,
იმედს იმედები ერთვის მუდამ...
მე ხომ სულ მგონია გამოსწორდი,
იმედს სულ მალე რომ გადაწურავ.
ბოლოს ისევ მტოვებ უხმოდ,შენით,
დრო ყველაფერს კურნავს –
სამშვიდობოდ.
ვითომ, დავუჯერო ამ ნათქვამებს?
დროს რა შეუძლია საბოლოოდ?!
მე რომ დავუჯერო, ჩემს ზმანებას...
ისევ უხმოდ..ჩუმად, გამოგყვები..
გული შემომილე სიყვარულო,
უნდა გამოგყვე... ნუ მემალები...

**თეკლა ზუზიტაშვილი,**
**ყვარლის №1 საჯარო სკოლის მეათე კლასისი მოსწავლე**

# ცვლილებათა ფერები



რამდენი დღეც არ უნდა გათენდეს, შენ მაინც ისეთივე ერთფეროვნად იღვიძებ, როგორც ერთი დღის წინ. იგივე ქმედებები გაქვს, უბრალოდ შეიძლება ყავამ ჩაანაცვლოს ჩაი, რომელსაც ყოველ დილით აუცილებლად მიირთმევ შენ იმდენად ერთფეროვანი ხარ ადამიანო. შაქარსაც კი იმდენ კოვზს იყრი, რამდენსაც ერთი დღის წინ. შენ იმდენად გძულს ცვლილებები, წვიმიანი ამინდის მზიანით ჩანაცვლებაც წარმოუდგენლად გეჩვენება...

შენ იმდენად შეეჩვიე შავ ფერს, ლურჯის სილამაზეს აღარ ხედავ, შენთვის დღისა და ღამის ფერების შერწყმით განთიადი არ იქმნება, შენთან არ არსებობს რაიმეს დასაწყისი, ყველაფერი უკვე დაწყებულია, შენ კი ასე უბრალოდ ზიხარ და დასასრულს ელოდები, ისიც არ გაინტერესებს, შენი მუქი ფარდების მიღმა რომ ოქროსფერი შემოდგომა აფერადებულა...

დრო არ გელოდება, არც შენ ჩქარობ. სიტყვები სწყდება შენს ბაგეს და ძირს ეცემა, ვითარცა ფოთოლი, რომელიც სიცოცხლეს ასრულებს. ყველა და ყველაფერი სიცივეს გაურბის, მხოლოდ შენ არა... როგორ მიჩვეულხარ სიჩუმეს, ჩრდილებს, ნისლს და როგორ ვერ ამჩნევ გარშემო რა ხდება...

კალამს იღებ და წერას ვერ იწყებ, კალამი გაურბის შენს გაუხეშებულ თითებს. ფუნჯს იღებ და... არა... მაინც არაფერი გამოგდის, დიდი ხანია ყოველგვარმა ხელოვნებამ შენი კარის ზღურბლს გადააბიჯა. ახლა მიზეზის პოვნას ცდილობ, მაგრამ არც ეს გამოგდის, და იცი რატომ? შენ, ადამიანო, იმდენად უძლური გახდი, აღიარების უნარიც კი დაკარგე!

**ლულუ ტაბატაძე,**
**ყვარლის № 1 საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე**



# კომაროვის შაბათის სკოლაში სწავლება განახლდა

ყვარელში არსებულ „კომაროვის საშაბათო სკოლას“, ჯერ კიდევ გასულ წელს, შეექმნა პრობლემები სასწავლო პროცესისთვის შესაბამისი ფართის არქონის გამო. ფაქტიურად სკოლას დახურვა ელოდა, რომ არა ყვარლის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა.

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის, ბატონ როსტომ სესიაშვილისა და ქალბატონ ლია გიგიტაშვილის დახმარებით, კომაროვის შაბათის სკოლას გამოეყო სასწავლო სარგებლობისთვის ფართი, რომელიც აღჭურვილია სწავლისთვის და მეცადინეობისთვის საჭირო ნივთებითა და ყველა სხვა ინვენტარით.

სკოლამ პრეზენტაცია მოაწყო 27 ოქტომბერს, რომელსაც ესწრებოდნენ კომაროვის სკოლის დირექცია თბილისიდან, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ყვარლის მუნიციპალიტეტის რესურს-ცენტრის უფროსი, ქალბატონი ქეთევან ჭიპაშვილი და მოსწავლეთა მშობლები.

– განათლების განვითარების ხელშეწყობა ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენ ყოველთვის მხარს დავუჭერთ ყველა საკითხს, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტში მოსწავლეებს შეუქმნის უკეთეს პირობებს სწავლისა და განვითარებისთვის. აღნიშნა, მუნიციპალიტეტის მერმა, როსტომ სესიაშვილმა.

პრეზენტაციაზე, ყველამ ხაზი გაუსვა მათემატიკის მნიშვნელობას ბავშვების გონებრივი განვითარების პროცესში და ზოგადად ცხოვრებაში.

„კომაროვის შაბათის სკოლის“ მენეჯერმა, ბატონმა მერაბ ფირცხალაიშვილმა მადლობა გადაუხადა ბატონ როსტომ სესიაშვილსა და ქალბატონ ლია გიგიტაშვილს, ხელშეწყობისთვის და თანადგომისათვის.

„კომაროვის შაბათის სკოლა“ ახალ მისამართზე – ქ. ყვარელი კუდიგორის ქუჩა №2 აგრძელებს ფუნქციონირებას. ყვარლის მუნიციპალური შენობის პირდაპირ.მუნიციპალიტეტის II შენობაში (ყოფილი „ალმასკომი“), პოლიციის ახალი შენობის გვერდით. I სართულზე. (ხელმარჯვნივ პირდაპირ).




# ნახანძრალი შემოდგომა

**(ჩანახატი)**

შემოდგომა წლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დროა. იგი ნელ-ნელა, წითელ მელასავით მოიპარება. ბუნება იცვლება. ირგვლივ ყველაფერი ჯადოსნურ ფერებში ეხვევა: ოქროსფერი ედება ბალახს, წითლად, ყვითლად და ალისფრად ელავენ ხეთა ფოთლები. ტყე აგიზგიზებულ ცეცხლს ემსგავსება. ხანძრის ენები ხიდან ხეს სწვდება და ქარი შორს ავრცელებს მას, მაგრამ დიდხანს არ გრძელდება შემოდგომის ბუნების ფერთა ეს დღესასწაული. ხიდან ფერადი ფოთლები ჩამოცვივა, სამოსშემოძარცული მიდამო ემსგავსება ნახანძრალს, სიმხიარულე ეკარგება ბუნებას.

ტყე დუმდება. სიჩუმე ისარგებლებს ირგვლივ. აღარ ისმის ფრინველთა ლაღი ჭიკჭიკი. მზიან, კაშკაშა ამინდებს ღრუბლიანი ამინდები სცვლიან. მოკრიალებული ცის კაბადონი ხშირად ლეგა ღრუბლებით იფარება. მერე გულდაწყვეტილი ღრუბლებიც ატირდებიან და... წვიმის თქეშში, გაბზარული ზარის ხმასავით, წუხილით მგრგვინავი ხმა ხევიდან ხევს გადაივლის და მთელი სივრცე ქარიშხლის მოლოდინში, ოდნავ ატოკებულ ზღვას ემსგავსება. კოკისპირული წვიმა ტყეს აახმაურებს, მაგრამ მალეც გადაიღებს. ცოტა ხნის წინ გაგიჟებული მიდამო თანდათან წყნარდება. ნაწვიმარი ცა დაცხრილულ ნაბადს ემსგავსება, რომლის ჭუჭრუტანებიდან მზის სხივები ბურბუშელებივით ცვივიან ქვევით.

**მზია კუპრაშვილი-ოთიაშვილი**



# ს პ ო რ ტ უ ლ ი ა ს პ ა რ ე ზ ო ბ ე ბ ი

## თავისუფალი ჭიდაობა

მიმდინარე წლის 12-14 ოქტომბერს ქ. ონში ჩატარდა ევროპის, მსოფლიოს ორგზის და სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის დავით გობეჯიშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის, სადაც წარმატებით იასპარეზეს ყვარლის სასპორტო სკოლის აღსაზრდელებმა.

მათ წონითი კატეგორიების შესაბამისად პირველი, მეორე და ორი მესამე ადგილი მოიპოვეს.

ბრინჯაოს მედლის მფლობელები გახდნენ: მიხეილ ბერძნიშვილი 61 კგ. წონით კატეგორიაში და ნიკა ბუშელაშვილი 65 კგ. წონით კატეგორიაში.

61 კგ. წონით კატეგორიაში მხოლოდ ფინალური შეხვედრა დათმო და ვერცხლის მედალი მოიპოვა დავით ქაქალაშვილმა.

57 კგ. წონით კატეგორიაში ყველა შეხვედრა დიდი აღმავლობით ჩაატარა და ღირსეულად მოიპოვა ტურნირის ჩემპიონის ტიტული ბესიკ სეფაშვილმა.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ბესიკ სეფაშვილი და დავით ქაქალაშვილი ასპარეზობდნენ 2 წლით უფროსებთან (მწვრთნელები: გივი მეტრეველი, ვანო ჭანტურიძე, მალხაზ როზომაშვილი).

**სურათზე: დავით ქაქალაშვილი და ბესიკ სეფაშვილი**





## ხელბურთი

მიმდინარე წლის 4-5 ნოემბერს ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის შეხვედრები ხელბურთში 2004-2005 წლებში დაბადებულ გოგონათა შორის.

სასიხარულოა, რომ ჩვენმა ხელბურთელებმა თავიანთი უფროსი თანაგუნდელების მსგავსად წარმატებით დაიწყეს მიმდინარე ჩემპიონატი, მათ სამი კალენდარული შეხვედრა ჩაატარეს თბილისის გუნდებთან და სამივე შეხვედრაში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს.

ანალოგიურ შედეგს მიაღწია ვაჟთა ნაკრებმა, მათ ორი შეხვედრა ჩაატარეს და ორივეში წარმატებას მიაღწიეს.

დღეისათვის სატურნირო ცხრილების სათავეში ყვარლის გოგონათა და ვაჟთა ნაკრებები ლიდერობენ (მწვრთნელები: ზ. ხარებაშვილი, გ. ღონიაშვილი).

# ფ რ ე ნ ბ უ რ თ ი

## სპორტულ ოლიმპიადაზე

3 ნოემბერს ყვარლის სასპორტო სკოლის დარბაზში ჩატარდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული რაიონული შეჯიბრება ფრენბურთში, როგორც ვაჟთა ისე გოგონათა შორის.

ვაჟთა შორის თვალსაჩინო იყო საბუის საჯარო სკოლის ფრენბურთელების თამაში. მათ ყველა შეხვედრა დიდი აღმავლობით ჩაატარეს და პირველობაც არავის დაუთმეს.

გოგონათა შორის ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ახალსოფლის პირველი და მეორე საჯარო სკოლის ნაკრებები. პირველ პარტიაში უპირატესობას ფლობდნენ პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეები და მათივე გამარჯვებით დასრულდა. მეორე სკოლის სახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ გარდატეხა შეიტანეს თამაშში, მოიგეს მეორე და მესამე პარტია და ღირსეულად დაიკავეს პირველი ადგილი.

**ლევან მირიანაშვილი,**
**ყვარლის სასპორტო სკოლის დირექტორი**
**ალექსანდრე გიგილოშვილი**





გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86